

171  
1969



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

**კრებულში**

**СБОРНИК**

**ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ**

*Министерства просвещения Грузинской ССР*

1-2

იანვარი—თებერვალი

თბილისი—1969

რედაქტორი უშ. თბილისი  
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 10 კპკ.

ხელმოწერილია დახაბეკდად 7/V-69 წ. ანაწილის ზომა 6×9,5. ქალაქის ზომა  
60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 8.

შეკ. 264.

უე—00756

ტირაჟი 5.000.

---

ხაქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო  
კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწველობის ხტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.  
Типография № 11 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете  
Министров Груз. ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19



## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 3 იანვრის ბრძანება № 3

საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა  
იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მდგომარეობისა და გაუმჯობესების  
ღონისძიებათა შესახებ

სადირექტივო ორგანოების მიერ ჩატარებულ გამორკვე-  
ვათა საფუძველზე დადასტურებულია, რომ რესპუბლიკის პარ-  
ტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა და სახალხო განათლე-  
ბის ორგანოებმა უკანასკნელ წლებში გარკვეულ წარმატებებს  
მიადწიეს მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის  
საქმეში. გაიზარდა სკოლების მოსწავლეობისა და პირველ-  
ადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების უზრუნველ-  
შეცემლობა მოსწავლეთა შორის იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი  
სრულყოფისათვის. სკოლებს დიდ დახმარებას უწევენ საქართვე-  
ლოს ალკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, რომ-  
ლებიც მოსწავლეთა იდეური ზრდის დარგში ბევრი წამოწყების და  
ღონისძიების ინიციატორები არიან. არსებითად გაუმჯობესდა ეს-  
თეტიკური აღზრდის ფორმები. ამ მიმართულებით ნაყოფიერ მუ-  
შაობას ეწევიან მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები. მეტ ყუ-  
რადღებას უთმობენ ინტერნაციონალური და სამხედრო-პატრიო-  
ტული აღზრდის საკითხებს რესპუბლიკის გაზეთები, ჟურნალები,  
კინო, თეატრები და ტელევიზია.

ჩვენს რესპუბლიკაში ახალგაზრდობის აღზრდა გადაქცეულია  
საერთო პარტიულ, საერთო სახელმწიფოებრივ საქმედ, რადგან  
იგი ჩვენი საზოგადოების მომავალი განვითარების საკითხია. სა-  
ქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები თავისი მუ-  
შაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბნად მუდამ თვლიან ზოგად-



სავანმანათლებლო სკოლებისადმი ხელმძღვანელობას და დახმარებას  
 კომუნისტებისათვის მტკიცე მებრძოლთა აღსაზრდელად. რესპუბლი-  
 კის ზოგადსავანმანათლებლო სკოლები იბრძვიან იმისათვის, რომ  
 კომუნისტური იდეოლოგია თითოეული მოსწავლის პირადი რწმენა  
 გახდეს. კომუნისტური რწმენა, რომელსაც სკოლები მოზარდ თაო-  
 ბაში ნერგავენ, ის უმძლავრესი იარაღია, რომელიც აწრთობს ჩვენი  
 მომავლის მშენებელთა შეგნებას, აძლევს მათ ძალას, ემარება  
 მათ სწორად ორიენტირებაში. ამას ნათლად გვიჩვენებს სკოლა-  
 დამთავრებულ ჭაბუკთა და ქალიშვილთა შრომითი სიმამაცის შე-  
 სანიშნავი მაგალითები სოფლად და ქალაქად, კოლმეურნეობებსა  
 და საბჭოთა მეურნეობებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში; კომუნის-  
 ტური მშენებლობის საქმისათვის თავდადების, მაღალ მორალურ  
 და მოქალაქეობრივ თვისებებს გვიჩვენებს სკოლადამთავრებული  
 ახალგაზრდობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა  
 დარგში.

მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში არსე-  
 ბულ მიღწევებთან ერთად რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არის სერიო-  
 ზული ნაკლოვანებანი. როგორც შემოწმებამ გვიჩვენა ქალაქების  
 თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, აგრეთვე  
 წულუკიძის, ამბროლაურის, ქარელის, ქედის, მარნეულის, მაია-  
 კოვსკის, ონის, სამტრედიის, ხაშურის და სხვა რაიონების ზოგი-  
 ერთ სკოლაში შედარებით დაბალია მოსწავლეთა ერთი ნაწილის  
 პოლიტიკური და საერთო კულტურული დონე. მოსწავლეები ხში-  
 რად სუსტად ერკვევიან სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ  
 კომუნისტური მსოფლმხედველობის საკითხებში. ზოგიერთ მათგანს  
 გამომუშავებული არა აქვს მტკიცე მორალური და სულიერი  
 პრინციპები, რის გამოც ისინი ზოგჯერ ჩვენი საზოგადოებისათვის  
 უცხო გავლენის ქვეშ ექცევიან. მოისუსტებს სწავლება საზოგა-  
 დოებათმცოდნეობისა და იმ დისციპლინებისა, რომლებიც ძირი-  
 თად გავლენას ახდენენ მოსწავლეთა იდეურ ზრდაზე; პედაგოგთა  
 ნაწილი ზერელედ, უინტერესოდ ატარებს ვაკეითლებს, არ კი-  
 თხულობს მეცნიერულ-პოპულარულ და მეთოდურ ლიტერატურას,  
 უშვებს მეცნიერულ, ფაქტობრივ შეცდომებს, ორგანულად ვერ  
 უკავშირებს სწავლებას მიზანსწრაფულ პოლიტიკურ აღზრდას.

სკოლების ერთი ნაწილის პედაგოგიური საბჭოებისა და მე-  
 თოდურ გაერთიანებათა მუშაობაში არ არის გამახვილებული ყუ-



რატღება სასწავლო პროცესის პოლიტიკური დონის სრულყოფილ სათვის მეთოდებისა და ხერხების გაუმჯობესებაზე.

სასკოლო საგნობრივი წრეების საქმიანობა საზოგადოებათ-მცოდნეობაში, ისტორიაში, ლიტერატურასა და ზოგად ბიოლო-გიაში ჯერ კიდევ ვერ ემსახურება სათანადოდ მოსწავლეთა კო-მუნისტური მსოფლმხედველობის და კლასობრივი თვითშეგნების ფორმირებას.

მრავალრიცხოვანი შიდასასკოლო და სკოლისგარეშე კონფე-რენციები, თვითმოქმედების დათვალიერებანი, ოლიმპიადები, კონ-კურსები და შეკრებები ხშირად თვითმიზნად აქცევა და არ ტარ-დება მაღალ იდეურ დონეზე. განათლების ზოგიერთი განყოფილება საჭირო მეთოდურ მუშაობას არ აწარმოებს მასწავლებლებთან, ნაკლებად ზრუნავს მათი პოლიტიკური მომზადების დონის ამაღ-ლებაზე; სკოლების მუშაობის შესწავლისას საჭირო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებს.

სკოლის დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სას-წავლო მუშაობის დარგში გაკვეთილებზე დასწრებისას იშვიათად აანალიზებენ გაკვეთილის იდეურ მხარეს და არ აძლევენ მასწავ-ლებლებს საჭირო მითითებებს გაკვეთილის მაღალ იდეურ-მეცნიერ-ულ დონეზე ჩატარებისათვის. მთელ რიგ სკოლებში მუშაობა პიონერთა ორგანიზაციებში ფორმალურად ტარდება და ყოველ-თვის ვერ აღწევს მიზანს. კომკავშირის სასკოლო კომიტეტები ყველგან ვერ იჩენენ ჯეროვან დამოუკიდებულებას და ინიციატივას. ჯერ კიდევ ადგილი აქვს მშობლების ზედმეტ მეურვეობას ბავშვე-ბისადმი, ამავე დროს პედაგოგიური კოლექტივები სათანადოდ არ იბრძვიან ცალკეულ ოჯახებში შენიშნული არაჯანსაღი ტენდენ-ციების წინააღმდეგ, რაც მეტად უარყოფით გავლენას ახდენენ ბავშვებში მორალური სიმტკიცის ჩამოყალიბებაზე.

უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა შორის დისციპ-ლინის განმტკიცებაზე აგრეთვე ცალკეული მასწავლებლის შეუფე-რებელი ქცევის შემთხვევები (უკანასკნელი ორი წლის მანძილზე თბილისის სამედიცინო გამოსაფხიზლებელში იმყოფებოდა 19 მას-წავლებელი და სკოლის დირექტორი დმანისის რაიონიდან, სოხუ-მის რაიონში—11 მასწავლებელი და ლიხნის სკოლის დირექტორი, ბათუმის რაიონში—8 მასწავლებელი). ამასთან, სასკოლო დის-ციპლინის ამაღლების მიმართულებით გეგმაზომიერი მუშაობის უქონლობით არის გამოწვეული ის, რომ დამნაშავეობა არასრულ-წლოვანთა შორის კვლავ დიდია.





შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს ვაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ საქმიანობა. კიდევ არასაკმარისადგილი ეთმობა მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდასადმი, თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიტიკისადმი მიძღვნილ მასალებს. მოსწავლეთა მსოფლმხედველობისა და მორალური სახის ჩამოყალიბებას მცირე ზიანს როდი აყენებს საღამოს სპექტაკლებსა და კინოსეანსებზე მოზარდთა უკონტროლოდ დასწრება, აგრეთვე განუზრუნვლად ყველა ტელეპროგრამის ყურება.

სკკპ XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ გვასწავლიან, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური პროგრესის ქვაკუთხედი, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ფორმირების აუცილებელი საფუძველია.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის; რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა:

ა) მიიღონ ქმედითი ზომები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად; ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა იდეოლოგიური მომზადების გაუმჯობესებისა და რეალური ცოდნის დონის ამაღლების საკითხებს, ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სკოლებს მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფაში, სკოლასა და ოჯახს შორის კონტაქტის განმტკიცებაში; ბავშვთა აღზრდაში ჩააბან საზოგადოების ფართო მასები;

ბ) მიიჩნიონ მოსწავლეთა იდეოლოგიური აღზრდის ძირეული გაუმჯობესება თავიანთი მუშაობის ერთ-ერთ პირველხარისხოვან



საკითხად; მიიღონ გადაწყვეტი ზომები ამ საქმეში არსებულ ნაკლებობათა აღმოსაფხვრელად; სისტემატურად გააუმჯობესონ ამ მიმართულებით სკოლის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების მუშაობა. მიაღწიონ იმას, რომ მასწავლებლის ხელში საგანი, რომელსაც იგი ასწავლის, იყოს იარაღი ბავშვთა კომუნისტური მსოფლმხედველობის, მათი იდეური რწმენის განვითარებისათვის;

გ) მტკიცედ იხელმძღვანელონ იმით, რომ კომუნისტური რწმენა, რომელსაც მოსწავლე ახალგაზრდობას სკოლა უნერგავს, თანამგზავრია ადამიანისა მთელ სიცოცხლეში—ამიტომ იდეოლოგიურ მუშაობაში არ უნდა იყოს გრაფიკი, ის ყველგან და ყოველთვის უნდა სწარმოებდეს—გაკვეთილსა და დასვენებაზე, სასწავლო და კლასგარეშე მუშაობაშიც;

დ) იბრძოლონ სკოლებში მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის განუხრელი ამაღლებით, მოსწავლეთა მიერ საზოგადოებრივი განვითარების კანონთა საფუძვლების დაუფლების ხელშემწყობი მეთოდებისა და ხერხების სრულყოფისათვის; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა სულიერი სახის ჩამოყალიბებას, ბავშვებში მაღალი მოქალაქეობრივი აქტიურობის და სოციალისტური საზოგადოების წინაშე მოვალეობის გრძნობის გამომუშავებას, მათ აღზრდას ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო გავლენათა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით;

ე) სრულყოთ პედაგოგთა კოლექტივების მუშაობა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე მოსწავლეთათვის ყოველდღიური ინფორმაციის მიწოდების დარგში, რათა თვითოეული მოსწავლე, განსაკუთრებით უფროსკლასელი, მისაწვდომი ფორმით იღებდეს პასუხს საშინაო და საერთაშორისო ამბების გარშემო წამოჭრილ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე;

ვ) დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებში სასწავლო დისციპლინების სწავლების იდეოლოგიური ღონის ამაღლებისათვის და ბავშვთა პოლიტიკური პორიზონტის გაფართოების ქმედით საშუალებად გამოყენებისათვის; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ლიტერატურის, ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობისა და ზოგადი ბიოლოგიის სწავლების ხარისხის ამაღლებას;



ზ) იბრძოლონ, რათა თვითეული მასწავლებელი იყოს მკაცრად  
პროფესიული, მორალური და იდეური თვისებების მატარებელი;  
ყოველმხრივ აამაღლონ მასწავლებელთა პასუხისმგებლობა მოსწავ-  
ლეთა იდეოლოგიური და სულიერი აღზრდისათვის; ფართო პრო-  
პაგანდა გაუწიონ მოწინავე მასწავლებელთა დადებით გამოცდი-  
ლებას; მკაცრად, პრინციპულად (სამუშაოდან განთავისუფლებამ-  
დეც კი) მოახდინონ რეაგირება მასწავლებელთა მიერ საზოგადო-  
ებრივი წესრიგის დარღვევებზე;

თ) მიიღონ გადამწყვეტი ზომები მოსწავლეთა შეგნებული  
დისციპლინის განსამტკიცებლად; აამაღლონ ყოფაქცევის შეფასე-  
ბის ქმედითობა, მიიჩნიონ ეს შეფასება არა მარტო გაკვეთილზე  
ბავშვის ქცევის მაჩვენებლად, არამედ აგრეთვე მთლიანად ბავშვის  
საზოგადოებრივი სახის კვალიფიკაციად; უზრუნველყონ, რომ  
სრულად იყოს მოცემული მოსწავლის იდეურ-მორალური სახე სკო-  
ლის დახასიათებაში, აღმოფხვრან ტრაფარეტულობა და ფორმა-  
ლური მიდგომა ამ დახასიათების შედგენისადმი;

ი) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა სკოლები-  
სადმი; მიაღწიონ იმას, რომ პედაგოგიური საბჭოები, მეთოდგაერ-  
თიანებები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს სწავლების მეთოდებისა  
და ჭერხების გაუმჯობესებას, რაც საშუალებას მოგცემს სრულ-  
ყოთ საგნების სწავლების პოლიტიკური დონე; განსაკუთრებული  
ყურადღება მიაქციონ ეთიკური და ესთეტიკური აღზრდის ფორ-  
მების გაუმჯობესებას;

კ) მიიღონ კონკრეტული ზომები სკოლებში საგნობრივი წრე-  
ების საქმიანობაში ფორმალიზმის ელემენტების აღმოსაფხვრელად;  
სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა საქმიანობაში ძირითადი  
ყურადღება დაუთმონ მოსწავლეებში შრომისა და საზოგადოებ-  
რივი მოვალეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდას;  
ფართოდ გამოავლინონ და განავითარონ ბავშვთა პროფესიული  
მიდრეკილებანი, ხელი შეუწყონ მათი მეცნიერული ტექნიკური  
და პოლიტიკური ჰორიზონტის გაფართოებას;

ლ) კომკავშირის ორგანოებთან ერთად განსაკუთრებული ყუ-  
რადღება მიაქციონ სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების  
ბრძოლისუნარიანობისა, ინიციატივიანობის ამაღლებას, იმის გა-  
თვალისწინებით, რომ ისინი აშენებენ კომუნისტური საზოგადოე-  
ბის ადამიანის იდეური და პოლიტიკური წრთობის საძირკველს;  
ყოველმხრივ იბრძოლონ პიონერული ორგანიზაციების მუშაობის  
გაუმჯობესებისათვის, გააძლიერონ მეცადინეობის ახალი ფორმე-

ბისა და მეთოდების ძიება, კომკავშირლებისა და პიონერებისათვის ახლობელი და გასაგები გახადონ მიზნები, რომლებისათვისაც იბრძვის კომუნისტური პარტია; მიიღონ ქმედითი ზომები მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის; გაუღვიძონ მისწრაფება სიმტკიცისადმი, სიამაყისადმი, ნაკლოვანებებთან შეურიგებლობისადმი;

მ) იბრძოდნენ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის მეტი პოლიტიკური მიზანსწრაფულობისა და ქმედითობისათვის; დილეების, საღამოების, კონცერტების, კონკურსების, კონფერენციების, საუბრების, დათვალიერებების, შეკრებებისა და ოლიმპიადების ჩატარება გადააქციონ ბავშვებთან იდეოლოგიური მუშაობის აქტიურ საშუალებად; ფართოდ დანერგონ საინახაობრივ და კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ორგანიზებული სვლა, ხშირად მოაწყონ ექსკურსიები და შეხვედრები ოქტომბრის რევოლუციისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან, წარმოების ნოვატორებთან;

ნ) აამაღლონ მშობელთა კომიტეტების როლი, წარმართონ მათი საქმიანობა პირველ რიგში იმ მშობლებთან სამუშაოდ, რომლებიც ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ბავშვთა აღზრდას; მიიღონ ქმედითი ზომები მათი პედაგოგიზაციის დონის ასამაღლებლად; გააუმჯობესონ მშობელთა უნივერსიტეტების მუშაობა;

ო) განათლების განყოფილებების სკოლების შემოწმების აქტებში ჩანდეს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხები, ასევე დირექტორებისა და მისი მოადგილეების მიერ გაკვეთილების მოსმენისას ღრმად იქნეს გაანალიზებული გაკვეთილების იდეური მხარეები.

2. განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მენეჯერებათა საკვლეო-სამეცნიერო ინსტიტუტმა მეტი ყურადღება დაუთმოს იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხების შესწავლას, განამტკიცოს ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის სექტორი, ყურადღება მიაქციოს სკოლებში საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების საკითხების დამუშავებას.

3. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ახალგაზრდობის პოლიტიკური, სულიერი, მორალური, ეთიკური და ესთეტიკური აღზრდის პრობლემებს; მიაღწიონ იმას, რომ გამოსაქვეყნებელი მასალების თეორიული დონე შეესაბამებოდეს საზოგადოებრივ მენეჯერებათა განვითარების თანამედროვე დონეს.



4. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლებისა და სკოლის პედაგოგიური კოლეგიების სხდომებზე და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადება დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, იმ ადამიანისა, რომელიც უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა აღზრდას, სწავლებას, სახალხო განათლებას. განათლების ორგანოები და სკოლები ღირსეულად უნდა ახორციელებდნენ დიდი ლენინის ანდერძს, ზრდიდნენ მომავლის ადამიანებს, აძლევდნენ მათ კომუნისტურ რწმენას, შეგნებას.

სკოლა უნდა ზრდიდეს კაცობრიობის სიკეთისათვის დაუღალავ მებრძოლებს.

ახლოვდება საბჭოთა საქართველოს 50-ე წლისთავი. ღირსეულად უნდა შეხვდეს ჩვენი სკოლა ამ თარიღს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 27 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**



ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ  
საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი  
13 დეკემბერი 1968 წ.

3. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი

მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების კონკურსის

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### § 1

კონკურსის მიზანია, ბავშვთა შემოქმედებაში (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, კერამიკა, ხის მხატვრული დამუშავება, ჭედურობა, ქარგვა, ქსოვა და სხვ.) აისახოს დიდი ლენინის შთამაგონებელი სახე, დიდი ბელადის ბრძოლისა და თანამედროვეობის ამსახველი თემები: მისი თანამებრძოლების სახეები, მისი გარემო და ცხოვრების გზა. მოწინავე ადამიანების პორტრეტები, საქართველოს თვალწარმტაცი პეიზაჟები; ჩვენი ხალხის მიღწევები ქალაქებსა და სოფლად, ჩვენი სკოლის საქმიანობის ამსახველი ეპიზოდები, დღესასწაულები და სხვ.

კონკურსის ყოველი მიერ მოწონებული საუკეთესო ნამუშევრები გაიგზავნება მოსკოვში ბავშვთა ნახატების საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც გაიხსნება 1969 წლის დეკემბერში, საუკეთესო ნამუშევრები დაჯილდოვდება.

### § 2

კონკურსის სათანადო დონეზე ჩატარებისათვის იქმნება საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. უშ. ობოლაძე—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, თავმჯდომარე



2. ჯ. მუჯირი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური  
კაბინეტის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

3. ელ. გორგაძე—ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სა-  
მეცნიერო-მეთოდური კაბინეტის სახვითი ხელოვნების სექტორის  
გამგე—მდივანი

4. ჟ. მეძმარიაშვილი —საქართველოს მხატვართა კავშირის  
მდივანი, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი

5. ირ. ლასურაშვილი — საქართველოს ალკა ცენტრალური  
კომიტეტის ინსტრუქტორი

6. შ. დევდარიანი—ქ. თბილისის ბ. ძნელაძის სახ. შრომის  
წითელი დროშის ორდენოსანი, რესპუბლიკური პიონერთა და მო-  
სწავლეთა სასახლის დირექტორი

7. ნ. ჯიღაური—ქ. თბილისის მხატვარული აღზრდის სახლის  
დირექტორი

8. ვ. მელიქიშვილი—მხატვარი

9. ე. ამბოკაძე—მხატვარი

10. ხახუტაშვილი — საქართველოს სსრ დამსახურებული  
მხატვარი

11. გ. ოჩიაური — საქართველოს სსრ დამსახურებული  
მხატვარი.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსე-  
თის ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში იქმნება სა-  
თანადო საორგანიზაციო კომისიები, რომლებსაც ევალება ადგილზე  
შესრულებული ნამუშევრების შერჩევა გამოფენისათვის.

§ 3

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია მოსწავლეებს  
1-დან მე-10 კლასის ჩათვლით დასაშვებია ნახატი 10-მდე შესრუ-  
ლებული აკვარელით, გუაშით, ზეთით, ფერადი ცარციით და სხვა  
ტექნიკით.

სკოლის სახვითი ხელოვნების წრე, პიონერთა სასახლის,  
რაიონული სახლების აღსაზრდელები ან თვითელი მონაწილე  
ინდივიდუალური წესით წარმოადგენს ნამუშევარს არა უგვიანეს  
პირველი ივნისისა, რაიონულ, საქალაქო, საოლქო ან ავტონომიური  
რესპუბლიკის საორგანიზაციო კომიტეტში, ხოლო თავის მხრივ,  
ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები შეკრებილ ნამუშევ-  
რებს არაუგვიანეს 1 ივლისისა გაუგზავნიან კონკურსის საორგანი-  
ზაციო კომიტეტს შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, შ. დადიანის

ქ. № 11, ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის სახელით ხელოვნების სექტორი.

3. ნამუშევარს თან უნდა ერთვოდეს შემდეგი ცნობები: ექსპონატის სახელწოდება, ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, სკოლის, კლასის დასახელება, მისამართი.

ნახატები უნდა იყოს ჩარჩოს გარეშე.

**საქართველოს სსრ განათლების  
სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის  
რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური  
კ ა ბ ი ნ ე ტ ი**



### ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების კონკურსი

ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი აცხადებს მეორე რესპუბლიკურ კონკურსს, რომელიც ეძღვნება ჩვენი დიდი მასწავლებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ბავშვებო! ჩვენ ვიცით, რომ თვითეული თქვენგანი დიდი გაცდებით ემზადება ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის, ხოლო ვინ იქნება ამ გრანდიოზული გამოფენის მონაწილე—თქვენს ბეჯით შრომასა და მონდომებაზეა დამოკიდებული.

თქვენ გახსოვთ ჩვენი პირველი კონკურსი დევიზით „ჩემი სამშობლო“. ამ კონკურსის შეჯამება მოხდა მოსწავლეთა მე-რესპუბლიკური ოლიმპიადის მხატვრული ნამუშევრების გამოფენაზე.

ექსპოზიცია მოეწყო სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზებში: ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, ხის მხატვრული დამუშავების, ჭედურობის ნიმუშებმა, ნაქსოვებმა და ნაქარგებმა დიდი მოწონება დაიმსახურა, დამთვალეიერებლებმა საინტერესო ჩანაწერები დაგვიტოვეს შთაბეჭდილებათა წიგნში. აი ერთერთი ჩანაწერი: აქ „თვითეული ნამუშევარი იწვევს გაკვირვებას სრულყოფილობით, სერიოზულობით, საქმის დიდი სიყვარულით, ნიჭიერების გამოვლინებით: მაღლობის ღირსნი არიან ვინც ამდენ სიამოვნება განგვაცდევინა, იმედი და ოპტიმიზმი ჩავვინერგა, სულიერი სიმშვიდე მოგვანიჭა“. ამ ჩანაწერების ავტორები დამსახურებული მასწავლებლები არიან.

ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა სათანადოდ შეაფასა ნორჩ მხატვართა ნამუშევრები და საუკეთესონი 1-ლი, მე-2 და მე-3 ხარისხის დიპლომებით და მედლებით დააჯილდოვა.



### გთავაზობთ კონკურსის პირობებს:

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ყველა მოსწავლემ 1-ლი კლასიდან მე-10 კლასის ჩათვლით.

საკონკურსოდ წარმოდგენილი უნდა იქნეს ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, კერამიკის, ხის მხატვრული დამუშავებისა, ქსოვისა და სხვა ნიმუშები.

ნამუშევრებში უნდა ასახოთ, რაც ყველაზე უფრო გიყვართ, გიტაცებთ: დიდი ლენინის შთამავონებელი სახე, მოწინავე ადამიანების პორტრეტები, საქართველოს თვალწარმტაცი პეიზაჟები, ჩვენი ხალხის მიღწევები ქალაქებსა და სოფლად, თქვენი სკოლის ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები, დღესასწაულები და სხვ.

ნამუშევრები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

ქ. თბილისი, შ. დადიანის ქ. № 11.

ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი.

არ დაივიწყოთ: ნახატებს უკანა მხრიდან დააწეროთ გვარი, სახელი, მამის სახელი, სკოლა და დასათაურება, რაც შეეხება სხვა ნაკეთობებს, მათ წარწერა ისე უნდა გაუკეთოთ, რომ არ მოძვრეს და ექსპონატი არ დარჩეს უმისამართოდ.

საჭიროა გაითვალისწინოთ, რომ საკონკურსო ნამუშევრების მიღების უკანასკნელი ვადაა 1969 წლის 1 ივლისი.

საუკეთესო ნამუშევრები გაიგზავნება მოსკოვში, ბავშვთა თვითშემოქმედების საერთაშორისო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად, რომელიც 1969 წლის დამლევს გაიხსნება, ამაზე გაუწყებდათ გაზეთ „პიონერსკაია პრავდას“ 17 სექტემბრის, „ნორჩი ლენინელის“ 5 დეკემბრის ნომრები.

გამოფენის ყველა მონაწილე მიიღებს სიგელებს, საუკეთესონი დიპლომებს, სამკერდე ნიშნებს და სამახსოვრო საჩუქრებს.

## დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლე-  
გიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეც-  
ნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის  
საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის  
პრეზიდიუმისა

1968 წლის 1 ნოემბერი

1968—1969 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნა-  
ტებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესო მომზადები-  
სათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების  
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და  
განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების  
მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის  
პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ 1968—1969 სასწავლო წლისათვის  
სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების  
საუკეთესოდ მომზადებისათვის, დროულად გაიშალა სოციალის-  
ტური შეჯიბრება. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრო-  
მელებმა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების  
ხელმძღვანელობითა და დახმარებით, დიდი მუშაობა ჩაატარეს სკო-  
ლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების  
მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მატერიალური ბაზის  
განმტკიცებისათვის.

სასკოლო კაბინეტ-ლაბორატორიები და სახელოსნოები შეიგ-  
ნო ხელსაწყო-იარაღებით, მოწყობილობებით და სხვა თვალსაჩინო  
მასალებით.



სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქ. თბილისის, ქ. ჭიათურის, გორის, ჩოხატაურის, ქარელის, წყალტუბოსა და ზუგდიდის რაიონებმა. მათ შეასრულეს სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები.

ახალი სასწავლო წლისათვის აგრეთვე კარგად მოემზადნენ ქ. ფოთის, ბათუმის, წალენჯიხის, ბოლნისის, ვალის, ზესტაფონის, ონის, თერჯოლისა და ცხაკაიას რაიონები.

ამასთანავე, აღსანიშნავია რიგი რაიონებისა და ქალაქების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, რომლებმაც მიუხედავად შეხსენებებისა, განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს არ გამოუგზავნეს მასალები, ეს რაიონებია: აბაშის, ასპინძის, ბოგდანოვკის, გურჯაანის, დმანისის, კასპის, ლენტეხის, მახარაძის, საჩხერის, წითელწყაროს, ჯავის.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმში აღგენენ:

1. ეთნოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს 1968—1969 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა წარმატებით მომზადებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები დარჩეს ქ. ჭიათურას, ქ. თბილისის და მესამე დროშა გადაეცეს გორის რაიონს.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცეს ჩოხატაურის, წყალტუბოს, ქარელის და ზუგდიდის რაიონებს.

ჩოხატაურის, ქარელის, ზუგდიდისა და წყალტუბოს რაიონებს, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, განათლების სამინისტროს ბიუჯეტის სახსრებიდან გამოეყოთ 1000—1000 მანეთი თითოეულს სასკოლო ინვენტარისა და კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობილობის შესაძენად და შესავსებად.



3. 1968—1969 სასწავლო წლისათვის სკოლების და ბავშვო დაწესებულებების წარმატებით მომზადებისათვის დაჯილდოვდეს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით მუშაკთა ჯგუფი წარმოდგენილი სიის მიხედვით.

4. მკაცრად გაფრთხილებული იქნენ აბაშის, ასპინძის, ბოგდანოვკის, გურჯაანის, დმანისის, კასპის, ლენტეხის, მახარაძის, საჩხერის, წითელწყაროსა და ჯავის რაიონების განათლების განყოფილების გამგეები, რომლებმაც არადაამაკმაყოფილებლად იმუშავეს 1968—1969 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მზადების საქმეში და არ წარმოუდგინეს მასალები სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს.

5. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რაიონულ, საქალაქო და ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეებს:

ა) ამთავითვე გაშალონ რაიონებსა და ქალაქებსა, სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებს შორის სოციალისტური შეჯიბრება ახალი 1969—1970 სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ;

ბ) 1969 წლის 1 ოქტომბრამდე შეაჯამონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება და შედეგები წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტს.

საქართველოს სსრ განათლების  
მ ი ნ ი ს ტ რ ი  
თ. ვ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის  
თავმჯდომარის მოადგილე  
ლ. თვაური



საქართველოს სსრ განათლებისა და სოფლის მეურ-  
ნეობის სამინისტროების 1968 წ. 22 ნომერის  
ბრძანება № 730/2—454

მანარაძის, გორისა და ცხაკაიას რაიონების სოფლად არსებულ  
სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების  
შ ე ს ა ხ ე ბ

მანარაძის, გორისა და ცხაკაიას რაიონების სოფელ ადგი-  
ლებში მომუშავე სკოლამდელი დაწესებულებები მნიშვნელოვან  
ლონისძიებებს ატარებენ ბავშვთა სწორი აღზრდისა და სასოფლო-  
სამეურნეო საქმიანობაში ქალთა ჩაბმის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნულ დაწესებულებებს, განსაკუთრებით კი მუდმივმო-  
ქმედ საბავშვო ბაღებს, მჭიდრო კავშირი აქვთ ქალაქის საბავშვო  
ბაღებთან და პროგრამის მოთხოვნილების საფუძველზე წარმა-  
რთავენ მუშაობას. ამ რაიონების მეთოდგაერთიანებები უნარიან  
საქმიანობას ეწევიან ქალაქისა და სოფლის მოწინავე სკოლამდელ  
მუშაკთა გამოცდილების ურთიერთგაზიარების გასაფართოებლად.

მიუხედავად ამისა, სოფლებში არსებულ საბავშვო ბაღების  
მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი; სკოლამდელი  
დაწესებულებები, როგორც მუშაობის შინაარსით, ასევე გარეგნუ-  
ლი ელფერით ჯერ კიდევ ჩამორჩებიან ქალაქის საბავშვო ბაღებს.  
განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა საკოლმეურნეო სეზონურ  
საბავშვო დაწესებულებებში, რომლებშიც პედაგოგიურ-აღმზრდე-  
ლობითი მუშაობა ძალზე სუსტად მიმდინარეობს. მაგალითად, მა-  
ნარაძის რაიონის სეზონურ საბავშვო ბაღებში საჭირო ყურადღება  
არ ექცევა მშობლიური ენის სწავლების საქმეს. აღმზრდელები სა-  
თანადოდ არ მუშაობენ ბავშვთა მეტყველების განვითარებისა და  
ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე, არ ასწორებენ შეცდომით  
წარმოთქმულ სიტყვებს და ზოგჯერ თვითონაც უშვებენ შეცდო-  
მებს. ბავშვებთან საუბრისას ხშირად იყენებენ რუსულ გამოთქმებს  
(სტოლი, პოლი, კუხნა და სხვა); იშვიათად აწყობენ ექსკურსიებს



ახლომდებარე მნიშვნელოვანი ობიექტების დასათვალიერებლად ბავშვებს არ ასწავლიან პროგრამით გათვალისწინებულ ლექსებს. სათანადო სიმაღლეზე არ დგას მუსიკალური აღზრდის საქმე—ბავშვები მღერიან მათი ასაკისათვის შეუფერებელ სიმღერებს.

შემოწმებულ დაწესებულებებში სრულებით არ ტარდება სახვითი საქმიანობა (ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კონსტრუირება), არ მოეპოვებათ საამისოდ საჭირო მასალა (ფერადი ფანქრები, პლასტელინი, ფერადი და სახატავი ქაღალდი), არც ერთ საბავშვო ბაღში (ბავაში) არ აქვთ ხატვასა და ძერწვაში ან ბუნებრივი მასალისაგან შესრულებული ნამუშევრები. არადამაკმაყოფილებელია ადრეული ასაკის ბავშვებთან მუშაობა, მიუხედავად ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების პერიოდული დახმარებისა, ბავის ჯგუფების აღმზრდელები სუსტად ფლობენ ამ ასაკის ბავშვებთან მუშაობის სპეციფიკას.

ზოგიერთ საბავშვო დაწესებულებაში სათანადო დონეზე არ ტარდება ზნეობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა; ნაკლები ყურადღება ეთმობა ქცევის უარყოფითი ჩვევების აღმოფხვრისა და დადებითის აღზრდის საქმეს, რის გამო ბავშვთა უმრავლესობა დარცხენილია, თავისუფლად ვერ პასუხობს მარტივ კითხვებზე, უფროსებთან საუბრის დროს ზის, ვერ ფლობს მკაფიასთან ჯდომისა და ჭამის წესებს (მაკვანეთის № 2 ბავა-ბაღი). სათანადო ყურადღება არ ექცევა ესთეტიკურ აღზრდას, თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს ბავშვთა ჩაცმულობა, ვარცხნილობა (სოფ. შრომის № 5 ბავა-ბაღი).

საკოლმეურნეო სეზონურ სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ასეთი დაბალი დონე პირველყოფლისა განპირობებულია იმით, რომ დარღვეულია ასაკობრივი ჯგუფების შესაფერისი კონტინგენტი დაკომპლექტების პრინციპი; ბავის ასაკის ბავშვები საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისაგან არ არიან გამოყოფილი, ერთ ჯგუფში ირიცხებიან 2 თვიდან 7 წლამდე ასაკის ბავშვები. ანალოგიურ დარღვევებს ზოგჯერ ადგილი აქვს მუდმივმოქმედ სკოლამდელ დაწესებულებებშიც (გორის რაიონის ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღი, ბავა).

პედაგოგიურ მუშაობას ართულებს ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა სოფელ ადგილებში მომუშავე სკოლამდელი დაწესებულებების შესაფერისი პედაგოგიური კადრე-



ბით დაკომპლექტებას. მაგალითად, გორის რაიონის კარალეთის მუნიციპალიტეტის საბჭოთა მეურნეობის № 1 საბავშვო ბაღში შემცველ აღმზრდელად ოთხი თვის წინ დაინიშნა საშუალო განათლების მქონე პირი; მეურნეობა (დირექტორი გ. ჯაშაშვილი) დღემდე არ უთანხმებს განათლების განყოფილებას სკოლამდელ დაწესებულებებში აღმზრდელების დანიშვნის საკითხს. ანალოგიური მდგომარეობაა სეზონურ სკოლამდელ დაწესებულებებში, სადაც ძირითადად მუშაობენ ზოგადი საშუალო განათლების მქონე პირები, ხოლო ცხაკაიას რაიონის სოფ. ზანის კოლმეურნეობის საბავშვო ბაღის გამგე და აღმზრდელი საანგარიშო დარგის მუშაკები არიან. სათანადო ყურადღება არ ექცევა სეზონურ სკოლამდელ დაწესებულებათა აღმზრდელების პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ გადამზადებას განათლების ორგანოების მიერ მოწყობილ კურს-სემინარებზე; აღნიშნული სკოლამდელი დაწესებულებები კონტაქტში არ არიან ქალაქის საბავშვო ბაღებთან.

სოფლის სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადოდ გაშლას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ მათ არ აქვთ საკმარის რაოდენობით მეთოდური და მხატვრული ლიტერატურა (განსაკუთრებით სეზონურ სკოლამდელ დაწესებულებებში). მაგალითად, აღზრდის პროგრამა დღემდე არ აქვს ხელზე ბევრ აღმზრდელს, მახარაძის რაიონის სოფელ მაკვანეთში პროგრამები აღმოჩნდა კოლმეურნეობის კანტორაში. ზოგან არ აქვთ შესაფერისი სათამაშოები (სოფ. შრომის კოლმეურნეობის № 5 ბავა-ბაღი). ცხაკაიას რაიონის სეზონურ სკოლამდელ დაწესებულებებში დარღვეულია „საკოლმეურნეო სეზონური საბავშვო დაწესებულებების დებულებით“ გათვალისწინებული საშტატო განრიგი; არც ერთ საბავშვო ბაღს არ ჰყავს ჯგუფში დამლაგებელი, თითოეულ ჯგუფს მომსახურებას უწევს მხოლოდ აღმზრდელი და მზარეული. ზოგიერთ სეზონურ სკოლამდელ დაწესებულებაში არ არის დადგენილი ბავშვების მიღებისა და სახლში გასტუმრების საათები. შემოქმედის № 2 და მაკვანეთის № 4 სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვები ზოგჯერ 11—12 საათამდე არ მიჰყავთ, რაც დიდად უშლის ხელს დადგენილი დღის რეჟიმის დაცვას. სეზონურ სკოლამდელ დაწესებულებებში სათანადოდ არ არის მოწყობილი კვების საქმეც. ბაგისა და საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვებზე იწერება ერთნაირი ნორმა და მათ ეძლევათ ერთი და იგივე სახის კერძები. დადგენილი კვების ნორმები თვითნებურადაა





შეცვლილი: ზრდიან პურის ნორმას და მის ანგარიშზე ამცირებენ სხვა სახის პროდუქტს. კვება ერთფეროვანია, ზოგჯერ ბავშვებს სადილზე ეძლევათ მხოლოდ ერთი თავი საჭმელი (სოფ. მაკვანეთის, შრომის, შემოქმედის საბავშვო ბაღები—მახარაძის რაიონი), ცხაკაიას რაიონის სოფ. ზანის კოლმეურნეობაში მთელი სეზონის (5 თვის) განმავლობაში მხოლოდ ერთ დღეს მიეცათ ბავშვებს ხორცი.

სოფლის საბავშვო ბაღები სათანადოდ არ არიან მომარაგებული დგამ-ავეჯით. აკლიათ სათამაშოების, ბავშვთა ნამუშევრებისა და ტანსაცმლის შესანახი კარადები, მაცივრები, მუსიკალური ინსტრუმენტები; ზოგან პრიმიტიულად შექმნილ სკამებსა და მაგიდებს იყენებენ.

ცხაკაიას რაიონის ზანის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის სეზონურ სკოლამდელ დაწესებულებებს დღემდე არ აქვთ საკუთარი შენობები. კარაღეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის № 3 საბავშვო ბაღში სივიწროვის გამო ორ ჯგუფს აქვს ერთი საძინებელი და ერთი სამეცადინო ოთახი. კეთილმოწყობელია ცხაკაიას რაიონის სოფ. ფოცხოს კოლმეურნეობის საბავშვო ბაღის ეზო.

საერთოდ რესპუბლიკაში და, განსაკუთრებით, ისეთ დიდ სოფლებში, როგორცაა შრომა, შემოქმედი (მახარაძის რაიონი), ზანა, ფოცხო (ცხაკაიას რაიონი) და მრავალი სხვა, დღემდე არ არის გახსნილი მულტიმედი საკოლმეურნეო საბავშვო ბაღები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სწორი აღზრდისა და მათი სკოლისათვის მომზადების საქმეზე.

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ**

1. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა და სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებმა:

- ა) გააუმჯობესონ სოფლის სკოლამდელი დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობისა და მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში;
- ბ) უზრუნველყონ ქალაქის სკოლამდელ დაწესებულებათა შეფობა სოფლის სკოლამდელი დაწესებულებებისადმი;
- გ) საბავშვო ბაღების პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტება არ დაუშვან ურთიერთშეთანხმების გარეშე, ამ საქმეში ვა-

ნუხრელად იხელმძღვანელონ ზემდგომი ორგანოების სათანადო დადგენილებით;

დ) რჩევა მისცენ კოლმეურნეობებს, რომლებსაც ეკონომიურად ამის საშუალება აქვთ, მუდმივმოქმედები სკოლამდელი დაწესებულებებისათვის ტიპობრივი პროექტით შენობების აგების შესახებ;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კოლმეურნეობებისა და სააჭოთა მეურნეობების „სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის საუკეთესო ორგანიზაციის შესახებ“ საკავშირო დათვალიერები მალალ დონეზე ჩატარებას;

ვ) ორი კვირის ვადაში განიხილონ ეს ბრძანება, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სოფლის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს არაუგვიანეს მ/წლის დეკემბრისა.

2. სოფლად არსებულ სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ ასაკობრივი ჯგუფების სწორად დაკომპლექტებისათვის და არ დაუშვან ბავისა და საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების ერთ ჯგუფში გაერთიანება;

ბ) თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში პედაგოგიური მუშაობა წარმართონ აღზრდის პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად;

გ) მიიღონ ყველა ზომა, რათა საბავშვო ბაღები უზრუნველყონ სასწავლო ნივთებით, სათამაშოებით, საჭირო მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით;

დ) სეზონურ საბავშვო ბაღებში განუხრელად იხელმძღვანელონ საკოლმეურნეო საბავშვო დაწესებულებათა შესახებ არსებული დებულებით;

ვ) პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტმა (ამხ. გ. ფოფხაძე), სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან ერთად, ორი თვის ვადაში დაამუშაოს კონკრეტული მეთოდური მითითებანი საკოლმეურნეო სეზონური საბავშვო ბაღების მუშაობის შესახებ.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) (ახლო მომავალში გაითვალისწინოს კურს-სემინარების მოწყობა სოფლის სკოლამდელი მუშაკებისათვის.

5. გაზეთ „სახალხო განათლების“ (ამხ. ნ. შველიძე), მეურნეობის  
„დაწყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდის“ (ამხ. ბ. კინიჭავჭავაძე)  
რედაქციებმა პერიოდულად გააშუქონ სოფლის სკოლამდელ დაწე-  
სებულებათა მუშაობის აქტუალური საკითხები და განაზოგადონ  
მოწინავე მუშაკთა გამოცდილებანი.

6. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშე-  
ლიშვილი), სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეო-  
ბისა და კოლმეურნეობების საქმეთა სამმართველოებმა (ამხ. ამხ.  
ა. ბერიძე და დ. მანწკავა):

ა) სოფლის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის უკეთ  
დაყენების მიზნით წარმოადგინონ წინადადებანი 1969 წელს რეს-  
პუბლიკის სკოლამდელ მუშაკთა ერთობლივი თათბირ-სემინარის  
ჩატარების შესახებ;

ბ) დააწესონ კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლებისა და სოფლის  
მეურნეობის სამინისტროების კოლეგიების 1968  
წლის 1 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მ ი ნ ი ს ტ რ ი  
თ. ვ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ სოფლის  
მეურნეობის მინისტრის  
მ თ ა დ გ ი ლ ე  
ბ. ფალავანდოშვილი



УТВЕРЖДАЮ  
Министр просвещения СССР  
**Т. Лашкерашвили**

1 ноября 1968 года

СОГЛАСОВАНО  
Зам. Министра охраны обще-  
ственного порядка СССР  
**В. Шадури**

29 октября 1968 года

## ПОЛОЖЕНИЕ

### О работе школьного общественного инструктора по безопасности движения

1. Педсовет школы по согласованию с органами Госавтоинспекции избирает общественного инструктора по безопасности движения, который назначается приказом директора школы и утверждается районным, городским отделом народного образования.

2. Общественный инструктор является организатором всей профилактической работы среди учащихся, их родителей по безопасности движения.

В течение учебного года общественный инструктор проводит следующее:

а) составляет раздел общешкольного плана внеклассной работы с учащимися по изучению правил уличного движения и профилактике детского транспортного травматизма;

б) оказывает помощь учителям начальных классов и классным руководителям в планировании работы с учащимися по изучению правил движения;

в) контролирует выполнение мероприятий, включенных в общешкольный план и план воспитательной работы каждого учителя;



г) ведет ежемесячный учет всей проводимой работы в школе по профилактике детского травматизма;

д) систематически информирует о результатах работы каждого классного руководителя дирекцию школы и педсовет;

е) обобщает опыт воспитательной работы по правилам уличного движения среди учащихся и их родителей, распространяет его среди всего коллектива учителей.

3. По профилактике детского транспортного травматизма рекомендуются следующие формы и методы работы:

а) проведение занятий с учащимися по изучению правил безопасности движения, руководствуясь методическим пособием, изданным Министерством просвещения ГССР и Управлением Милиции МООП ГССР;

б) систематическое обсуждение на родительских классных и общешкольных собраниях вопросов по усилению надзора за поведением детей на улицах и дорогах;

в) изготовление на уроках труда макетов улиц, дорог, светофоров, дорожных знаков и указателей „ПЕРЕХОД“, проведение экскурсий на ближайшие перекрестки улиц и дорог;

г) организация „уголков безопасности“ в классах, в пионерской комнате;

д) пионерские сборы на темы правил безопасности движения с приглашением работников милиции и Госавтоинспекции

е) выпуск школьной стенной газеты по вопросам безопасности движения с заметками о нарушителях правил;

ж) разъяснение правил движения перед организованным посещением кино, театров, выставок и экскурсий на предприятия. Строго контролировать соблюдение правил при массовом движении учащихся по улицам и дорогам;

з) организация дежурств общественных автоинспекторов, дружинников—учащихся старших классов, членов родительских комитетов около зданий школ перед началом и концом занятий;

и) организация игр учащихся по правилам движения на специально устроенных площадках.

4. Общественный инструктор по безопасности движения должен работать в тесном контакте с органами милиции, ко-

торые обязаны оказывать повседневную помощь школам в деле осуществления задач по борьбе с детским травматизмом.



**Управление школ Министерства  
просвещения Грузинской ССР**

**Государственная автомобильная инспекция  
Управления милиции Министерства охраны  
общественного порядка ГССР**



## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 5 ნოემბრის ბრძანება № 695

### რეხუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში სამხედრო-სასწავლო იარაღების მოვლისა და შენახვის შ ე ხ ა ხ ე ბ

იმასთან დაკავშირებით, რომ საშუალო სკოლებმა, რომლებშიც 1968 წლის 1-ლი სექტემბრიდან შემოღებულია დაწყებითი სამხედრო სწავლება უკვე მიიღეს ტაბელით გათვალისწინებული სამხედრო-სასწავლო იარაღები

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებთან და მილიციის ორგანოებთან ერთად ა/წლის 18 ნოემბრამდე შეამოწმონ სკოლებში სამხედრო-სასწავლო იარაღების მოვლისა და შენახვის მდგომარეობა. შემოწმების დროს მთავარი ყურადღება მიაქციონ ამ საკითხზე საქართველოს სსრ განათლების 1968 წლის 16 ივლისის № 443 ბრძანების მოთხოვნათა ზუსტად გატარებას და საწყობების დაცვის უზრუნველყოფას ღამის დარაჯებით;

ბ) შემოწმების შედეგები ა/წლის 20 ნოემბრამდე განიხილონ კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოებისა და საჭირო შემთხვევაში აღმასკომების სხდომებზე.

2. მოხსენებითი ბარათი ამ ბრძანების შესრულების შესახებ ა/წლის 25 ნოემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

3. დაწყებითი სამხედრო მომზადების ინსპექტორთა ჯგუფში (ამხ. ა. ორახელაშვილი) ქმედითი კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე და შედეგები მომახსენოს.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ვ. დაშქარაშვილი

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
31 დეკემბრის ბრძანება № 684**

**სხვადასხვა ასაკის პიონერებთან მუშაობის შინაარსისა და მეთოდის (პროგრამა „ორიენტირი“) რეკომენდაციების შემოქმედებითი გამოყენების შესახებ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში**

საბჭოთა სკოლის განვითარების დღევანდელ ეტაპზე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის სრულყოფისა და სასკოლო პიონერული ორგანიზაციებში საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის აუცილებელია ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებების ყოველმხრივი გათვალისწინება. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში ჩვენს მასწავლებლებს, პიონერხელმძღვანელებსა და სკოლისგარეშე ბავშვთა დაწესებულებების მუშაკებს დიდ დახმარებას უწევს „სხვადასხვა ასაკის პიონერებთან მუშაობის შინაარსისა და მეთოდის რეკომენდაციები“ (პროგრამა „ორიენტირი“, დამტკიცებული საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ 1967 წლის 17 მარტს).

მთელი რიგი სკოლების მუშაობის გამოცდილების შესწავლამ ცხადყო, რომ იქ, სადაც მოსწავლეთა სხვადასხვა ასაკის კოლექტივებთან მუშაობის დაგეგმვისას პროგრამა—„ორიენტირს“ შემოქმედებითად იყენებენ, საგრძნობლად ამაღლდა პიონერთა და მოსწავლეთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტივობა, განმტკიცდა დისციპლინა, ახალი შინაარსით გამდიდრდა და უფრო საქმიანი გახდა პედაგოგიური კოლექტივების ხელმძღვანელობა პიონერთა ორგანიზაციების მიმართ, მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები დამკვიდრდა სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც კეთილმყოფელ გავლენას ახდენს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის საბოლოო შედეგებზე. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, მახარაძისა და სამტრედიის სკოლების მუშაობის გამოცდი-





ლებამ ცხადყო ისიც, რომ პროგრამა „ორიენტირი“ შედგენილია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და სკოლაში მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ღრმა ცოდნით და იგი საფუძვლად უნდა დაედოს, როგორც სასკოლო-პიონერულ ორგანიზაციების საქმიანობას, ასევე პედაგოგიური კოლექტივების, განსაკუთრებით კი პიონერული კლასების მასწავლებელთა ყოველდღიურ სააღმზრდელო მუშაობას.

ამასთან დაკავშირებით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილებას, განათლების რაიონულ და საქალაქო განყოფილებებს:

—მასწავლებელთა აქტივს, განსაკუთრებით კი I—VIII კლასების ყველა მასწავლებელს გულდასმით გააცნონ პროგრამა „ორიენტირის“ ძირითადი მოთხოვნები, მისცენ მათ აუცილებელი მეთოდური მითითებანი სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში მისი შემოქმედებითად გამოყენების შესახებ, იზრუნონ იმისათვის, რომ ყველა პიონერული კლასის ხელმძღვანელი ბავშვთა კოლექტივთან მუშაობას ძირითადად გეგმავდეს და ახორციელებდეს პროგრამა „ორიენტირის“ პრინციპების გათვალისწინებით.

—სისტემატურად შეისწავლონ საკითხები სკოლების სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში პროგრამა „ორიენტირის“ შემოქმედებითი გამოყენების შესახებ, იზრუნონ მოწინავეთა მუშაობის გამოცდილების შესწავლისა და განზოგადება-დანერგვისათვის;

—ამ მიზნით უფრო აქტიურად გამოიყენონ მასწავლებელთა აგვისტოს თათბირები და სხვადასხვა მეთოდგაერთიანებები; შესაბამის კომკავშირის კომიტეტებთან ერთად მოაწყონ პიონერული მუშაკებისა და პედაგოგების ერთობლივი თათბირ-სემინარები, კონფერენციები, მათი საქმიანი შეხვედრები.

2. დაევალოს საქართველოს პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს (ამხ. გ. ფოფხაძე) მასწავლებელთა დახლოვნების ინსტიტუტთან (ამხ. თ. ზახაშვილი) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებასთან ერთად:

—მასწავლებლებისა და სკოლისგარეშე ბავშვთა დაწესებულებების მუშაკებისათვის უახლოეს ვადებში შეიმუშაონ მეთოდური მითითებანი I—VIII კლასების მოსწავლეებთან სასწავლო-სააღმზრ-



დელი მუშაობაში პროგრამა „ორიენტირის“ შემოქმედებითი გამოყენების შესახებ, შეისწავლონ და განაზოგადონ საუკეთესო მუშაობის გამოცდილება და იზრუნონ მისი განზოგადება-დანერგვისათვის;

—პროგრამა—ორიენტირის“ ძირითადი პრინციპები საფუძვლიანად გააცნონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოწვეულ მასწავლებლებს.

3. ეთხოვოს გამომცემლობა „განათლებას“ (ამხ. ხ. ბერულავა) საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებასთან ერთად მოამზადოს და 1969—1970 სასწავლო წლისათვის მასობრივი ტირაჟით გამოსცეს „სხვადასხვა ასაკის პონერებთან მუშაობის შინაარსისა და მეთოდის რეკომენდაციები (პროგრამა-„ორიენტირი“) ქართულ და რუსულ ენებზე, სათანადო მეთოდური მითითებებისა და რეკომენდაციების თანდართვით.

4. უურნალ „სკოლა და ცხოვრებისა“ და გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ პროგრამა „ორიენტირით“—პედაგოგიური კოლექტივებისა და პიონერული ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობის საკითხები; შეისწავლონ და განაზოგადონ მოწინავე მასწავლებლების, პიონერხელმძღვანელებისა და სკოლისგარეშე ბავშვთა დაწესებულებების მუშაკთა დადებითი გამოცდილება და მოაწყონ მკითხველთა კონფერენციები აღიზრდელობით მუშაობაში პროგრამა—„ორიენტირის“ გამოყენების შესახებ.

5. აღნიშნული ბრძანების შესრულებას მიმდინარეობის სისტემატური შემოწმება და კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. დ. ჯავახია).

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების საზინისტროს  
კოლეგიის 1968 წლის 13 დეკემბრის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სკკბ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „აღკკ 50 წლის-  
თავი და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანები“  
შეხსრულების დონისძიებათა შესახებ

1968 წლის 29 ოქტომბერს საბჭოთა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა საკავშირო კომკავშირის 50 წლისთავი. სკკბ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში „აღკკ 50 წლისთავი და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანები“ მაღალი შეფასება მისცა ლენინური კომკავშირის მოღვაწეობას. დასახული იქნა თანამედროვე პირობებში ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანები, კონკრეტული ფორმები და პროგრამა.

მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა, განათლების სისტემის დაწესებულებათა მუშაკებმა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავი აღნიშნეს როგორც დიდი მოვლენა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც მთელი საბჭოთა ხალხის, საბჭოთა ახალგაზრდობის ღირსშესანიშნავი ზეიმი.

ლენინური კომკავშირის იუბილესათვის მზადებამ გამოიწვია დიდი აღმავლობა სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, მოსწავლეთა კოლექტიურ საქმიანობაში. პედაგოგიურ საბჭოებზე, კომკავშირულ კრებებზე ფართოდ იხილება პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, ეწყობა მიტინგები, ლენინური კომკავშირის სახელობის პარკების, ხეივნების გაშენება, მოსწავლეთა საზეიმო სვლები, დაღუპულ გმირთა საფლავების ყვავილებით შემკობა. ახალი წარმატებებით სწავლასა და შრომაში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით





შეზღვენენ ჭაბუკები და ქალიშვილები ლენინური კომკავშირის იუბილეს.

ხელმძღვანელობს რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში სკოლისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის შემდგომი სრულყოფის მიზნით, განათლების სამინისტროს კოლეგია ადგენს:

1. დაევალოს სახალხო განათლების ორგანოების, სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელმძღვანელებს დასახონ ქმედითი ღონისძიებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების—„ალკკ 50 წლისთავი და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანები“—შესრულებისათვის.

სახალხო განათლების ორგანოებმა და პედაგოგიურმა კოლექტივებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ:

—მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსისა, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, მთელი აღმზრდელობითი მუშაობა მიმართონ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად; მიაღწიონ იმას, რომ აღმზრდელობითი მუშაობა ატარებდეს მებრძოლ, ქმედით ხასიათს, პასუხობდეს ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო, პოლიტიკურ და კულტურულ დონეს.

—მოსწავლეებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, მათში მეცნიერებისადმი, ტექნიკისადმი ინტერესების გაღვივებას, მოსწავლეთა მომზადებას შრომით საქმიანობისათვის ჩვენი საზოგადოებისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

—საზოგადოებრივი და სხვა ჰუმანიტარული საგნების სწავლების სრულყოფას, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად დაუფლებას; ყოველნაირად დაეხმარონ კომკავშირულ ორგანიზაციებს მოსწავლეთა შორის პოლიტიკური სწავლების დონის ამაღლებაში, სისტემატურად გააცნონ მოსწავლეებს ჩვენს ქვეყანაში თუ საზღვარგარეთ მომზდარი მოვლენები, დამაჯერებელი პასუხები გასცენ მათ მიერ დასმულ კითხვებზე; აამაღლონ პოლიტიკური ინფორმაციების დონე;—ქმედითად შეუწყონ ხელი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ რეკომენდებული ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის შესწავლას და ლენინური კომკავშირის ისტორიის შემსწავლელი წრეების საქმიანობას; მეტი ყურადღება მიაქციონ პატრიოტული კლუბების „სამშობლოს“, „პრომეთეოსის“ მუშაობას. სათანადო დახმარება გაუწიონ პიონერულ რაზმეულებს „ლენინური ორწლედის“ ორგანიზაციისა და ჩატარების საქმეში;

უფრო აქტიურად მიიზიდონ ახალგაზრდებთან სამუშაოდ პარტიის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლები.

—მაქსიმალურად გამოიყენონ პრესის, ტელევიზიისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები, გაუღვივონ მოსწავლეებს ინტერესი პარტიულ და კომკავშირულ პრესაში დაბეჭდილი მასალების სისტემატური შესწავლისათვის; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღმზრდელობით მუშაობაში გაზეთების „კომსომოლსკაია პრავდის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდიოჟ გრუზიის“, „ნორჩი ლენინელისა“ და ჟურნალების „მოლოდოი კომუნისტის“, „კომსომოლსკაია ჟიზნის“ უნარიანად გამოყენებას.

—აღზარდონ მოსწავლეთა შორის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, დაეხმარონ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობას, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე; ხელი შეუწყონ უფროსკლასელთა შრომისა და დასვენების ბანაკების შექმნას, მიიზიდონ მოსწავლეები სასკოლო მშენებლობისა, ეზო-გარემოსა და კაბინეტების მოწყობის საქმეში.

—გააძლიერონ მოსწავლეთა შორის სამხედრო-პატრიოტული მუშაობა, ყოველნაირად დაუჭირონ მხარი საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ღირებების ადგილებზე საკავშირო ლაშქრობებში მოსწავლეების ჩაბმას; დაეხმარონ პიონერულ რაზმეულებს სამხედრო-სპორტული თამაშის „ცისკარის“ ჩატარებაში; კომკავშირულ, სპორტულ ორგანიზაციებთან, დოსააფის კომიტეტებთან ერთად გაზარდონ სამხედრო-სპორტული ბანაკებისა და ტექნიკური წრეების ქსელი.

—ყოველდღიური პრაქტიკული დახმარება გაუწიონ კომკავშირის კომიტეტებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პიონერული რაზმეულის საქმიანობას; მიადწიონ იმას, რომ თვითეული რაზმის ცხოვრება იყოს საინტერესო და მრავალფეროვანი; აღზარდონ პიონერებში მისწრაფება სწავლისა და შრომისადმი, პიონერებთან მუშაობისას გაითვალისწინონ მათი ფსიქოლოგიური და ასაკობრივი თავისებურებანი; შემოქმედებითად გამოიყენონ პროგრამა „ორიენტირი“, გააუმჯობესონ პიონერხელმძღვანელთა შერჩევის და სწავლის საქმე.

—გაზარდონ სკოლისგარეშე დაწესებულებების როლი მოსწავლეთა შორის პოლიტიკური და კულტურულ-მასობრივი მუშაო-

ბის დარგში, მეთოდური დახმარება გაუწიონ კომკავშირის ორგანიზაციებს და პიონერულ რაზმეულებს მათ საქმიანობაში, განსაკუთრებული ადგილი დაუთმონ მოსწავლეებთან მუშაობას არა-დეგების პერიოდში.

II. დაევალოს განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს, ალკ ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილებასთან ერთად:

— შეისწავლოს უფროს პიონერხელმძღვანელთა სწავლებისა და მომზადების საქმე რესპუბლიკაში და შეიმუშაოს წინადადებანი მისი გაუმჯობესების შესახებ თანამედროვე მოთხოვნის შესაბამისად;

— შეისწავლოს განათლების სამინისტროსა და ალკ ცენტრალური კომიტეტის პიონერხელმძღვანელთა რესპუბლიკური სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა და მოამზადოს 1969 წლის თებერვლისათვის საკითხი ამ სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

III. განათლების სამინისტროს პედაგოგიკის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტმა (ამხ. გ. ფოფხაძე) სათანადო ღონისძიებანი განახორციელოს კომკავშირისა და პიონერული ორგანიზაციების მუშაობის ძირითადი პრობლემების შესახებ სამეცნიერო გამოკვლევების შექმნის მიზნით:

IV. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებს სისტემატურად გააშუქონ კომკავშირული ორგანიზაციების და პედაგოგიური კოლექტივების ერთობლივი მუშაობის საუკეთესო გამოცდილება, მიიღონ ზომები ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საკითხებზე საუკეთესო სკოლების გამოცდილების განზოგადებისათვის.



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
16 დეკემბრის ბრძანება № 768

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების უმრავლესობა, დროულად გატარებული რეონისძიებების შედეგად, მზად არიან ზამთრისათვის.

აფხაზეთის ასსრ სოფ. განთიადის № 1 და № 2, გუდაუთის რაიონის სოფ. კალდახვარის, ქ. რუსთავის, ხაშურის რაიონის სოფ. ტაშისკარის, თბილისის ფიზიკა-მათემატიკური და რვაწლიანი, ბათუმის № 1 და № 2 (სალიბაური), გორის რაიონის სოფ. ატენის სკოლა-ინტერნატები, ონის, კოჯრის № 1 და № 2 საბავშვო სახლები, თბილისის ყრუ და № 1 დამხმარე სპეციალური სკოლა-ინტერნატები (დირექტორები ა. კონჯარია, დ. ნარაკიძე, მ. ცარგუში, ვ. პაიჭაძე, ნ. გრიგალაშვილი, ვ. მელაძე, ვ. თუშანიშვილი, ლ. ცეცხლაძე, ი. დიასამიძე, ა. საგანელიძე, ჟ. ლებანიძე, მ. მგალობლიშვილი, ზ. ვაწაძე, ი. ხეთერელი და მ. დუღუჩაევა) ზაფხულშივე შეუდგნენ ზამთრისათვის მზადებას. ჩატარეს შენობა-ნაგებობათა რემონტი, წესრიგში მოიყვანეს ელექტროგაცვანილობა, შიგა და გარე კომუნიკაციები, მოიმარაგეს საჭირო რაოდენობის სათბობი მასალა, შეიძინეს აღსაზრდელთათვის საზამთრო ტანსაცმელ-ფეხსაცმელი; უზრუნველყვეს ხანძარსაწინააღმდეგო იარაღ-მოწყობილობების წესრიგში მოყვანა; გაწმინდეს და მზადყოფნაში აქვთ წყლის აუზები და სხვ.

ონის საბავშვო სახლის და № 2 სკოლა-ინტერნატის დირექციამ საჭირო რაოდენობის სათბობი მასალა შეიძინა და ადგილზე მიიტანა ზაფხულში; საშეფო ორგანიზაციის დახმარებით აითვისა შენობა-ნაგებობათა რემონტისათვის ბიუჯეტით გამოყოფილი 5,0 ათასი მანეთი და დამატებით, შეფის საშუალებით, შესრულებული



იქნა 12,0 ათასი მანეთის სარემონტო სამუშაოები. სოფ. ხეარის სკოლა-ინტერნატის ზამთრისათვის ორგანიზებულად მომზადებისათვის დაიხარჯა 20,0 ათასი მანეთი. სკოლა-ინტერნატი უზრუნველყოფილია სასმელი წყლით, სასადილოს შენობაზე მიაშენეს სააქტო დარბაზი, მოწყობილია წრეობრივი მუშაობისათვის საჭირო ოთახები, ეზოს დაჭაობებულ ნაწილს გაუკეთდა დრენაჟი და ამჟამად უკვე მოასფალტებულია. ონის საბავშვო სახლის დირექციამ ოქტომბრის თვეში კოლმეურნეობიდან იაფ ფასებში შეიძინა ზამთრისათვის საჭირო ხილი. ქ. თბილისის რვაწლიანი, რუსთავის საშუალო, თბილისის № 1 დამხმარე, თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატების გათბობის სისტემა გადაყვანილია ბუნებრივ გაზზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ერთი ნაწილი მოუმზადებლად ხვდება ზამთარს.

თელავის რაიონის შუამთის საბავშვო სახლი (დირექტორი ვ. ჭურღულაშვილი, განათლების განყოფილების გამგე ა. ნაღაშვილი) არაა მომზადებული ზამთრისათვის. შენობა-ნაგებობანი არაა შეკეთებული. აბანო-სამრეცხაო არაა წესრიგში მოყვანილი, შენობის ერთი ნაწილი ავარიულ მდგომარეობაშია. კვების პროდუქტებით მომარაგება არაა დამაკმაყოფილებელია. ამ საბავშვო სახლს საშეფო ორგანიზაცია—წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, არავითარ დახმარებას არ უწევს.

მოუმზადებელია ზამთრისათვის კოჯრის № 4 საბავშვო სახლი (დირექტორი მ. სიმონიშვილი, განათლების განყოფილების გამგე ა. ერტელიშვილი); მიმდინარე წელს არც ბიუჯეტით და არც საშეფო ორგანიზაციის საშუალებით არ ყოფილა გამოყოფილი სარემონტო თანხები, საბავშვო სახლის შენობა კი შესაკეთებელია, კედლები და იატაკი დაზიანებულია, შესაცვლელია ელექტროგაყვანილობა, არაა მოყვანილი წესრიგში ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებანი.

კოჯრის № 5 და № 6 საბავშვო სახლების შენობები ატაა შეკეთებული, № 5 საბავშვო სახლის აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი საზამთრო ტანსაცმელით; აკლიათ: 77 ცალი თბილი ქუდი, 135 ცალი სვიტრი, 135 წყვილი ხელთათმანი და სხვ. შესაკეთებელია კოჯრის სკოლა-ინტერნატის საძინებელი კორპუსი; სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს დიდი რაოდენობით აკლიათ რბილი ინვენტარი. ანალოგიური მდგომარეობაა მიუსერას

დამხმარე სკოლა-ინტერნატსა და ზოგიერთ სხვა სკოლა-ინტერნატსა და საბავშვო სახლში.

## გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, ს/ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ყველა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებას 10 დღეში შეისწავლონ სკოლა ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობა და მიიღონ საჭირო ზომები შემჩნეული დეფექტების გამოსასწორებლად.

2. თელავისა და გარდაბნის განათლების განყოფილებათა გამგეებმა აშ. აშ. ა. ნადაშვილმა და ა. ერტელიშვილმა სასწრაფო ზომები მიიღონ შუამთისა და კოჯრის № 4 საბავშვო სახლებში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ საბავშვო სახლების ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ მოახსენონ კოლეგიას მ/წლის 30 დეკემბრამდე.

3. მიღებული იქნეს ცნობად, რომ კოჯრის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთათვის საჭირო რბილი ინვენტარის შესაძენად გამოყოფილია სათანადო თანხები და ამჟამად მიმდინარეობს საზამთრო ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შექმნა.

4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლს ვავალებ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 13 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე უშ. **ობოლაძე**



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
13 დეკემბრის ბრძანება № 795

წულუკიძის რაიონის განათლების განყოფილებისა და ზოგიერთი  
სკოლის სასწავლო-აღმწრდელობითი მუშაობის შემოწმების  
შედეგების შესახებ

სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილ მოხსენებით  
ბარათიდან ირკვევა, რომ წულუკიძის რაიონის განათლების გან-  
ყოფილების და შემოწმებული სკოლების სასწავლო-აღმწრდელობით  
მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომელთა  
გამოსწორების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. წულუკიძის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე  
გ. თედორაძე):

ა) პირველ იანვრამდე, ადგილობრივ საბჭოებთან ერთად, საფუ-  
ძვლიანად შეისწავლოს რაიონში საყოველთაო-სავალდებულო რვა-  
წლიანი განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობა; გამო-  
არკვიოს ცალკეულ სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის  
შეთესრულებლობის მიზეზები, დასახოს და განახორციელოს ღონის-  
ძიებანი მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესასრულებლად და  
სკოლიდან ჩამოცილებული ბავშვების სწავლებაში ჩასაბმელად;  
მკაცრი სასჯელი დაადოს იმ სკოლის ხელმძღვანელებს, რომლებიც  
გულგრილად ეკიდებიან მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შე-  
სრულებისა და საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლე-  
ბის კანონის განხორციელების საქმეს;

ბ) სკოლის ხელმძღვანელებთან ერთად გაატაროს ქმედითი  
ღონისძიებანი, რათა სასწავლო სახელოსნოები, ლაბორატორიები,  
კაბინეტები უზრუნველყოფილი იქნას სათანადო დაზვევითა და  
დანადგარებით, სამუშაო იარაღებით, მასალებით, ღკამ-ავეჯით,



ელექტროგაყვანილობით, წყლით, დაბნელებით, ამწოვი კარბონატებით, საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, მოდლებით, შესაფერისი დაფებით და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სწავლებაში თანამედროვე, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებას და ამ მიზნით რამოდენიმე სკოლაში სანიმუშოდ მოაწყოს ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტი;

გ) აღმოფხვრას ის დაუშვებე ი უყურადღებობა, რასაც რაიონის სკოლები იჩენენ სასწავლო-საცდელი ნაკვეთების მოვლისა და დაცვის მიზნით; გაატაროს აუცილებელი ღონისძიებანი, რათა სასწავლო-საცდელი ნაკვეთები ბიოლოგიისა და ქიმიის სწავლების სოფლის მეურნეობაში მოსწავლეთა საცდელი მუშაობის სანიმუშო ლაბორატორიებად იქცნენ;

დ) რადიკალურად გარდაიქმნას ხელმძღვანელობა და დახმარება სკოლების მუშაობაზე, სასწავლო წლის ბოლომდე საფუძვლიანად შეისწავლოს რაიონის ყველა სკოლის მუშაობა, შემოწმების მასალები პერიოდულად განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და შედეგები ბრძანებების სახით დაიყვანოს რაიონის სკოლებამდე. პრაქტიკაში შემოიღოს და სისტემატურად მოახდინოს სკოლებისათვის მიცემული მითითებების შესრულების შემოწმება.

განათლების განყოფილებისა და პედაგოგიური კაბინეტის მუშაკებს მეტი დრო რომ ჰქონდეთ სკოლების ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, დაეტოვოთ პედაგოგიური დატვირთვა არაუმეტეს 6 საათისა კვირაში;

ე) სასწავლო წლის მე-4 მეოთხედში შეისწავლოს მოხსენებით ბარათში აღნიშნული სუსტად მომუშავე სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობა და იმათ მიმართ, რომლებსაც საფუძვლიანად არ ექნებათ გარდაქმნილი მუშაობა, დააყენოს საკითხი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ;

ვ) მტკიცედ დაიცვას განათლების სამინისტროს 1968 წლის 11 სექტემბრის № 557 ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო დროის არასწორად გამოყენების ფაქტების შესახებ“. ამიერიდან არ დაუშვას სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოებზე გამოყენების, სამედიცინო შემოწმების, მხატვრული თვითშემოქმედების ოლიმპიადების, სპორტული შეჯიბრებისა და კლასგარეშე ხასიათის სხვა ღონისძიებების ჩატარების საბაბით სწავლებისაგან მოსწავლეთა და მასწავლებელთა მოწყვეტა; არ დაუშვას ამა თუ იმ საგნის შესწავლისათვის გათვალისწინებული სასწავლო



საათების თვითნებური შეკვეცა; უზრუნველყოს თვითეულ საგანში  
 სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გაკვეთილების ჩატარება.  
 სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გამო გაცდენილი საათების  
 ანაზღაურება მოახდინოს დამატებითი საათებისა და იანვრისა და  
 მარტის არდადეგების დღეების ხარჯზე;

ზ) საგნის უცოდინარობის გამო, სათანადო წესის დაცვით,  
 წარმოდგინოს პროექტი რუსული ენისა და ლიტერატურის მას-  
 წავლებლების ლ. ჩახვაძის (გუბის საშუალო სკოლა), რ. ჩხაიძის  
 (ქუტირის საშუალო სკოლა), პ. ლეთოდიანის (ივანდიდის საშუალო  
 სკოლა) და ქუტირის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებლის  
 გ. მუშკუდიანის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

თ) შეისწავლოს ქ. წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლის გერ-  
 მანული ენის მასწავლებლის მ. სანოძის სკოლაში გამოუცხადებ-  
 ლობის მიზეზი და დასკვნა წარმოუდგინოს განათლების სამი-  
 ნისტროს.

2. სკოლებზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის, რამაც გამოი-  
 წვია რაიონის სკოლების სასწავლო-აღმზრდევლობით მუშაობაში  
 სერიოზული ნაკლოვანებები წულუკიძის რაიონის განათლების  
 განყოფილების გამგე აშხ. გ. თედორაძე მკრაცრად იქნას გა-  
 ფრთხილებული;

3. ქუტირის საშუალო სკოლის დირექტორი ბ. ბუაძე, გუბის  
 საშუალო სკოლის დირექტორი ი. კაკაბაძე და ქ. წულუკიძის 1-ლი  
 საშუალო სკოლის დირექტორი კ. ცაცუა გაფრთხილებულ იქნან,  
 რათა მათ არსებითად გარდაქმნან მუშაობა და მკვეთრად აამლ-  
 ლონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდევლობითი მუშაობის დონე.

4. არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის დაწყებითი კლა-  
 სების მასწავლებლებს კ. შავლაყაძეს, თ. ვაშაკიძეს, კ. მოსეშვილს,  
 გ. შავლაყაძეს, მ. მოსეშვილს (გუბის საშუალო სკოლა), თ. ოკუ-  
 ჯავას, ფ. ბობოხიძეს, თ. ცოტაძეს (ქუტირის საშუალო სკოლა),  
 ი. შავლაძეს, ლ. ჯალაღანიას და დ. სულაბერიძეს, ე. კობეშვიძეს  
 (ნახახულევის საშუალო სკოლა); ქართული ენისა და ლიტერატურ-  
 ის მასწავლებლებს ვ. ვაშაკიძეს (გუბის საშუალო სკოლა); გ. სუ-  
 ლაბერიძეს (ნახახულევის საშუალო სკოლა), ნ. ქავზინაძეს (ივან-  
 დიდის საშუალო სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის მას-  
 წავლებელს დ. სულაბერიძეს (ნახახულევის საშუალო სკოლა), გერ-  
 მანული ენის მასწავლებლებს ქ. ბენდელიანს და ე. ბარაბაძეს  
 (ქუტირის საშუალო სკოლა); მათემატიკის მასწავლებლებს შ. ეძ-





გვერადეს, გ. შავლაყაძეს (გუბის საშუალო სკოლა), დ. ეფრემიძეს  
 ვ. შავლაყაძეს (ნახახულევის საშუალო სკოლა), ა. სანოძეს, შ. ბი-  
 წაძეს (ივანდიდის საშუალო სკოლა); ფიზიკის მასწავლებლებს  
 უ. გურაბანიძეს (გუბის საშუალო სკოლა), ა. შავდიას (ქუტირის  
 საშუალო სკოლა); ქიმიის მასწავლებელს ე. ბარაბაძეს (ნახახულე-  
 ვის საშუალო სკოლა); ბიოლოგიის მასწავლებლებს ნ. ქუთათე-  
 ლაძეს (ქ. წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლა), ე. ზვედელიძეს  
 (ქუტირის საშუალო სკოლა); ისტორიის მასწავლებელს გ. ჩიხლა-  
 ძეს (ნახახულევის საშუალო სკოლა); გეოგრაფიის მასწავლებლებს  
 ნ. კობალიანს (წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლა), დ. მოსეშვილს  
 (გუბის საშუალო სკოლა) მიეთითოთ.

5. აღნიშნული ბრძანება და მოხსენებითი ბარათი განხილუ-  
 ლი იქნას რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე  
 და დაისახოს პრაქტიკული ღონისძიებანი მოხსენებით ბარათში  
 აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით.

6. სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) სასწავლო წლის  
 მტ-4 მეოთხედში ადგილზე შეისწავლოს ამ ბრძანების შესრულება  
 და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
 კოლეგიის 1968 წლის 13 დეკემბრის დადგე-  
 ნილება.

საქართველოს სსრ განათლების  
 მინისტრის მოადგილე უშ. **ოზოლაძე**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს  
ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

### მოსხენებითი ბარათი

წულუკიძის რაიონის განათლების განყოფილებისა და ზოგიერთი  
სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების  
შედეგების შესახებ

1968 წლის 18 ნოემბრიდან 25 ნოემბრამდე ბრიგადამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორების შ. ლომიძის (ხელმძღვანელი), ე. ბასილაძის, მეთოდისტების — გ. გიორგობიანის, თ. ხურცილავას, ტ. ჩიგოვიძის, განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის მუშაკების ი. ვარლამიშვილის, გ. მირცხულავას, გ. ნამიჩიშვილის და ს. ჯინჯინაძის შემადგენლობით შეისწავლა წულუკიძის რაიონის განათლების განყოფილებისა და ამავე რაიონის ზოგიერთი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

რაიონის განათლების განყოფილება და მასთან არსებული პედაგოგიური კაბინეტი დაკომპლექტებულია სათანადო სტაჟისა და ცენზის მქონე მუშაკებით. ისინი სპეციალობების მიხედვით შერჩეული არიან კარგად. განყოფილების გამგე გ. თედორაძე (ისტორიკოსი), ინსპექტორები შ. ჩარვეიშვილი (ფიზიკა-მათემატიკოსი), აკ. ჩხენკელი (ქიმია-ბიოლოგი), პედაგოგიური კაბინეტის გამგე მ. ყუფარაძე (რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი).

შემოწმებით დადგინდა, რომ განათლების განყოფილება არა-დამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებს სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაზე. გასულ სასწავ-



ლო წელს შესწავლილია 6 საშუალო, 3 რვაწლიანი და 4 დაწყებითი სკოლის მუშაობა, მაშინ, როდესაც რაიონში არის—20 საშუალო, 11 რვაწლიანი და 14 დაწყებითი სკოლა. მიმდინარე სასწავლო წელს კი შესწავლილია 1 საშუალო, 1 რვაწლიანი და 3 დაწყებითი სკოლის მუშაობა, ანალიზები არ არის სრულყოფილი, არ ხდება შემოწმების შედეგების განზოგადება და დაყვანა სკოლებამდე, არ წარმოებს სკოლებისათვის მიცემული მითითებების შესრულების შემოწმება. რეგულარულად არ იწვევა სახალხო განათლების საბჭოს სხდომები, სხდომებზე იშვიათად იხილავენ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს, არ სახავენ და არ ახორციელებენ კონკრეტულ, ქმედით ღონისძიებებს სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. განათლების საბჭოს სხდომაზე არაა განხილული ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორცაა განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 21 აგვისტოს დადგენილება 1966/67 სასწავლო წლის შედეგებისა და 1967—1968 სასწავლო წლის ძირითადი ამოცანების შესახებ.

განათლების განყოფილებისა და პედაგოგიური კაბინეტის მუშაკებს პედაგოგიური დატვირთვა აქვთ 9—11 საათი და კვირაში 3—4 დღეს დაკავებული არიან გაკვეთილების ჩატარებით.

სკოლებისადმი განათლების განყოფილების სუსტი ხელმძღვანელობით აიხსნება ზოგიერთი სკოლისა და მასწავლებლის უბასუხისმგებლობა მოსწავლეების მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე, მყარი ცოდნით შეიარაღების საქმეში.

ღარიბია რაიონის სკოლების მატერიალური ბაზა, არ არის გაშლილი საინიციატივო მშენებლობა. სუსტად ეხმარებიან სკოლებს საშეფო ორგანიზაციები.

სპეციალობების მიხედვით სათანადოდ არ არიან შერჩეული სკოლების დირექტორები და მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში, მაგალითად, ქუტირისა და დედალაურის საშუალო სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები ისტორიკოსებია, ძეძილეთის საშუალო სკოლის დირექტორი და მისი მოადგილე გეოგრაფებია, ქ. წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი ისტორიკოსია, მისი მოადგილე—გეოგრაფი. ივანდიდის საშუალო სკოლის დირექტორი ლიტერატორია, მისი მოადგილე კი ისტორიკოსი და ა. შ.





სკოლებში არ არის განხილული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წლის 11 სექტემბრის № 557 ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო დროის არასწორად გამოყენების ფაქტების შესახებ“. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით რაიონის სკოლებში გაცდენილია 14—15 სასწავლო დღე, რითაც აიხსნება ნაწილობრივ მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობა.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ქ. წულუკიძის მე-3 და ნახახუღევის საშუალო სკოლების დირექტორები აკ. ძიძავა და თ. ბარაბაძე ბეჯითად და გულმოდგინედ მუშაობენ იმისათვის, რომ ღრმად და საფუძვლიანად ჩაწვდნენ ყველა მასწავლებლის მუშაობას, მათ მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები მოიცავენ გაკვეთილის მეცნიერულ-აკადემიურ, იდეურ და პედაგოგიურ-მეთოდურ მხარეებს და საქმიან დახმარებას უწევენ მასწავლებლებს და სხვა მუშაკებს მუშაობაში.

კარგად მუშაობენ დაწყებითი კლასების მასწავლებლები ყ. რუხაძე, ნ. მაჭარაძე, მ. უგულავა, ნ. ქავზინაძე (ივანდიდის საშუალო სკოლა); შ. მელქაძე, ლ. მოსევილი, ნ. მაჭარაძე (წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლა); ს. ადამია (ქუტირის საშუალო სკოლა), მ. სილაგაძე (ნახახუღევის საშუალო სკოლა); ლ. ჭავჭავაძე, ბ. კაკაბაძე, თ. ძიძიგური, გ. ფარცხალაძე, ლ. წივწივაძე (ქ. წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლა).

ეს მასწავლებლები მომზადებულად ატარებენ გაკვეთილებს, რაციონალურად იყენებენ დროს და აღწევენ მასალის ძირითადად გაკვეთილებზევე ათვისებას. ნაყოფიერად ატარებენ, როგორც ზეპირ, ისე წერით სამუშაოებს. მოსწავლეებს აქვთ პროგრამული მასალის კარგი ცოდნა, წერენ ფაქიზად, სწორად და ლამაზად; მასწავლებლები წერის კარგ ნიმუშებს აწვდიან მოსწავლეებს. ყველა სახის ნაწერს ყურადღებით ასწორებენ და თანმიმდევრულად ავარჯიშებენ ბავშვებს დაშვებული შეცდომების გასწორებაზე.

ქ. წულუკიძის მე-3 და ივანდიდის საშუალო სკოლების ყველა კლასი სავსებით აკმაყოფილებს სასწავლო-სააღმზრდელო და ესთეტიკურ მოთხოვნებს. ისინი უზრუნველყოფილი არიან საჭირო დახაზულობის დაფებით.

დამაკმაყოფილებლად ატარებენ ზეპირ გაკვეთილებს გ. მოსევილი (გუბის საშუალო სკოლა), ე. შავიძე (ნახახუღევის საშუალო სკოლა), მაგრამ მათი მუშაობა არადაამაკმაყოფილებელია

წერითი მეტყველების განვითარების საქმეში; მშობლიურ ენაში რუსულ ენაში და არითმეტიკაში არ იცავენ წერის ნორმებს, I კლასში საკლასო წერას ყოველდღე არ ატარებენ, სუფთა წერის თანმიმდევრობა დარღვეული აქვთ. არითმეტიკაში საშინაო წერის რვეულები 1-ლ კლასში თვითნებურად შემოუღიათ და მოწაფეებს შინ მეტი მოცულობის წერით სამუშაოებს ავალებენ, ვიდრე კლასში აწვდიან სავარჯიშოდ.

რუსულ ენაში (II კლასი) საკონტროლო წერას თვეში ერთხელ ატარებენ, ნაცვლად სამისა მეოთხედში. არითმეტიკაში მცირე მოცულობის სავარჯიშოებით კმაყოფილდებიან, აწვდიან მხოლოდ მაგალითებს, ამოცანის ამოხსნას თავს არიდებენ. არ აწარმოებენ ქართულ და რუსულ ენებში კარნახით წერას. ნაწერები გულდასმით არ სწორდება და მოსწავლეებსაც ნაკლებად ავარჯიშებენ დაშვებული შეცდომების გასწორებაზე. აღნიშნული მასწავლებლები წერის შესაფერის ნიმუშებს ვერ აწვდიან მოსწავლეებს.

სუსტად მუშაობენ მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების განვითარების საქმეში მასწავლებლები კ. შავლაყაძე, თ. ვაშაკიძე, ა. მოსეშვილი, გ. შავლაყაძე (გუბის საშუალო სკოლა), თ. ოკუჯაგა, ფ. ბობოხიძე (ქუტირის საშუალო სკოლა), ი. შავლაძე, ლ. ჯალაღანია და სულაბერიძე (ნახანულევის საშუალო სკოლა). ისინი სათანადოდ ვერ ფლობენ საგნებს და მისი სწავლების მეთოდებს. ი. შავლაძეს არ შეუძლია იმ ამოცანების ამოხსნა და მაგალითების გამოყვანა, რომელიც მოცემულია III და IV კლასების სახელმძღვანელოში. გ. შავლაყაძემ არ იცის, როგორ ჩაატაროს სუფთა წერა II კლასში. ასოთა გადაბმა 13 ნომბრიდან დაუწყია. ისინი ვერ აწვდიან წერის შესაფერის ნიმუშებს, არცერთ დაწყებით კლასს ვარგისი და შესაფერისი დახატულობის დაფა არ გააჩნია, რის გამოც მასწავლებლებს არ აქვთ საშუალება წერის ნორმებით გათვალისწინებული მოცულობის ტექსტი მთლიანად მოათავსონ დაფაზე, მასწავლებლები იძულებული არიან სრულიად აიღონ ხელი დაფიდან წერის ნიმუშების მიწოდებაზე.

წერითი მეტყველების კულტურა ამ სკოლების დაწყებით კლასებში ერთობ დაბალია, ღარიბია აღნიშნული სკოლები დიდაქტიური მასალებით.

ქუტირისა და ნახანულევის საშუალო სკოლების დაწყებით კლასებში სასწავლო-სააღმზრდელო გარემო მოუწესრიგებელია.

დირექციამ და მასწავლებლებმა ისიც კი ვერ მოაგვიარეს, რომ სკოლა კლასო ოთახების კარებები იხურებოდეს.

გუბის, ქუტირისა და ნახაზულევის საშუალო სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლები არ იცნობენ განათლების სამინისტროს საინსტრუქციო-მეთოდურ წერილებს წერითი მეტყველების განვითარების, დაფების დახაზულობისა და იმ სიახლეების შესახებ, რაც უკვე რამდენიმე წელია დანერგულია ჩვენი სკოლების მუშაობაში. ამ სკოლების მასწავლებლები აკადემიური საათიდან მეტ დროს (20--25 წ.) საშინაო დავალებების შემოწმებასა და მოსწავლის ცოდნის შეფასებას ანდომებენ და ახსნიან კითხვისათვის დრო მცირე რჩებათ; მოსწავლეებს შინ თითქმის გაუცნობიერებელი და შეუსწავლელი მასალა ეძლევათ გაკვეთილად.

მშობლიურ ენასა და ლიტერატურას კარგად ასწავლის ქ. წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი ვ. ბუღეიშვილი. მე-10 კლასის მოსწავლეებმა ეგ. ნინოშვილის შემოქმედების საფუძვლიანი ცოდნა გამოავლინეს. მხატვრული ნაწარმოებებიდან შესაფერისი ადგილების მოტანით მოსწავლეებმა დაახასიათეს კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ცხოვრებაში მომხდარი სოციალური ცვლილებანი, სათანადო სისრულით გადმოსცეს ღარიბ გლეხთა ყოფის მძიმე სურათები. ყურადღება გამაზვილდა იმ ჩაგრა-მონობაზე, რასაც მემამულე, კულაკები და მეფის ბიუროკრატი მოხელეები მიმართავდნენ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ გოგია უიშვილი სწორედ ასეთი გლეხკაცობის განზოგადებული სახეა. ამის საილუსტრაციოდ მოიტანეს ცოლქმრის საუბარი („გოგია-უიშვილი“), მნიშვნელოვანი ადგილები იქნა დამოწმებული აგრეთვე ადრე შესწავლილი სხვა მოთხრობებიდანაც („განკარგულება“, „პალიასტომის ტბა“).

გაკვეთილზე მეტი ადგილი დაეთმო ეგ. ნინოშვილის „სიმონას“ ანალიზს. მოსწავლეებმა დასახელებული ნაწარმოების მიხედვით გადმოსცეს იმდროინდელი სოციალური ვითარება, სწორად განსაზღვრეს ის პირობები, რამაც წარმოშვა დიფერენციაცია გლეხობაში, დაახასიათეს მთავარი პერსონაჟები სიმონა, დავით დროიძე, ილაპარაკეს სიმონა ძალადის სიმართლის მოყვარეობაზე, მის მებრძოლ ბუნებაზე, დაუპირისპირეს მას დავითი (გუშინდელი გლეხი), რომელიც უპატიოსნო გზებით გამდიდრდა და სოფლის მშრომელთ სულთაიხუთავად მოველინა.



გაკვეთილზე სწორად გაარკვეეს საკითხი იმის შესახებ, რატომ ვერ მოგვცა ეგ. ნინოშვილმა დასრულებული რეგლამენტაციონერის სახე.

ახალი მასალის სახით მასწავლებელმა კლასს მიაწოდა დ. კლდიაშვილის ბიოგრაფია. საკმაო სისრულით აღნიშნა მწერლის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ, მისი შემოქმედების რეალისტურ მიმართულებაზე, ყურადღება გამახვილდა საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებზე, რომლებიც განხორციელდა მწერლის სახელის უკვდავყოფისათვის.

ასევე კარგად მუშაობენ ამავე სკოლის მასწავლებლები თ. სანოძე და ლ. ჩაკვეტაძე.

თ. ბარბაძე (ნახახულევის საშუალო სკოლა) ყურადღებას უთმობს გაკვეთილზე მოსწავლეთა აქტივობას, აზრის დამოუკიდებლად გადმოცემის ჩვევის დანერგვას, მეტყველების განვითარებას, თეორიულ მასალას ენაში მჭიდროდ უკავშირებს პრაქტიკულ საკითხებს, მართლწერას.

მე-8 კლასს სათანადო ცოდნა გააჩნია საპროგრამო მასალაში. მოსწავლეებმა იციან რთულ წინადადებათა სახეები, შეერთების საშუალებანი, სწორად ასხვავებენ თანწყობილს ქვეწყობილსაგან; მიზნობრივად იყენებენ კავშირებს, მართებულად იმარჯვებენ სასვენ ნიშნებს და ა. შ.

ქ. წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნ. ჩინჩალაძემ მე-9 კლასში დააყენა საკვანძო საკითხები და მოითხოვა ავთანდილის დახასიათება „გეფხისტყაოსნის“ მიხედვით. მოსწავლეებმა ძირითადად თანმიმდევრულად შესძლეს პოემის ერთ-ერთი გმირის ფიზიკური და სულიერი თვისებების ჩამოყალიბება, ტექსტიდან შესაფერისი ადგილების დამოწმებით. რაინდული იდეალებიდან სათანადოდ გამოკვეთეს მეგობრობა.

მოსწავლეთა ერთ ნაწილს უძნელდება ნაწარმოებიდან პოეტური ხერხების სრულყოფილი გაანალიზება.

ამავე სკოლის მასწავლებელმა ლ. დოლობერიძემ თანმიმდევრულად გააოიკითხა მე-8 კლასში ქართული მწერლობის მეორე პერიოდი. მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებლად წარმოადგინეს საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების სურათი მე-11—12 საუკუნეებში; დაახასიათეს სწავლა-განათლების ცენტრები, აღნიშნეს საერო მოტივების შესახებ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით და ა. შ.



გაკვეთილზე საკმაო დრო დაეთმო საერო მხატვრული ტერატურის განვითარების ეტაპებზე საუბარს, მოსე ხონელის „ამირან დარეჯანიანის“ ავტორობისა და ნაწარმოების დაწერის დროის გარკვევას. სათანადოდ გამოიკვეთა სარაინდო ხასიათი, მასში ასახული სოციალური გარემო, კერძოდ პატრონყმური ურთიერთობის საკითხი.

მასწავლებელი დაკმაყოფილდა ძირითადი ეპიზოდების ზეპირსიტყვიერად გადაცემით, დაეყრდნო რა პროგრამაში მოცემულ შენიშვნას: „მწერლის შემოქმედების ზოგადი მიმოხილვისას ნაწარმოებთა ტექსტების შესწავლა-დამუშავება არ არის სავალდებულო“. ამ შემთხვევაში კი სასურველი იქნებოდა მისი თხრობა გამდიდრებელიყო ტექსტიდან უმნიშვნელოვანესი ადგილების წაკითხვით, რაც სრულიად არ ეწინააღმდეგება ზემოთ მოტანილ განმარტებას. დროის გადახარჯვის გამო (ძველი მასალის გამოკითხვისას) ახალი გაკვეთილის ათვისების შემოწმებას აკლდა სრულყოფა.

გუბის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ვ. ვაშაკიძემ შეამოწმა წერითი საშინაო დავალება ქართულ ენაში (VI კლასი). სავარჯიშო მოითხოვდა უასპექტო ზმნების ხაზგასმას. გარდა ამისა მოსწავლეებს უნდა დაესაბუთებინათ, მოცემულ მაგალითებში რით აიხსნება, რომ ზმნებს ასპექტის გაცემა არ აქვთ. მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილის მიერ ეს მოთხოვნა შეუსრულებელი იყო და არც გაკვეთილზე გამახვილებულა საკმაო ყურადღება ამ მიმართულებით. ასევე ითქმის უასპექტო ფორმებზე, რომლებიც ზმნისწინებს მხოლოდ მიმართულების გამოსახატავად დაერთვიან. კლასი საფუძვლიან მომზადებას ვერ ამჟღავნებს განვლილ მასალაში.

ნაკლოვანებები აქვთ მუშაობაში ვ. სულაბერიძეს (ნახანულების საშუალო სკოლა), ნ. ქავზინაძეს (ივანდიდის საშუალო სკოლა), დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე, საკონტროლო წერით ნამუშევრებში გვხვდება ორთოგრაფიული, სტილისტური, პუნქტუაციური, აზრობრივი და ფაქტობრივი შეცდომები, რომლებიც მასწავლებლებს გასწორების გარეშე აქვთ დატოვებული. მეთოდური დახელოვნების მხრივ პირველ რიგში ღირექციისაგან დახმარებას საჭიროებენ ახალგაზრდა მასწავლებლები ლ. გენძხაძე (ქუტირის საშუალო სკოლა), ვ. დევდარიანი (ივანდიდის საშუალო სკოლა), ქ. სანოძე, ნ. კაკაბაძე (გუბის საშუალო სკოლა), დამწყები

პედაგოგი ნ. ბარაბაძე (ნახახულევის საშუალო სკოლა), 18 ნოემბერს გუბის საშუალო სკოლის მე-10 კლასში ჩატარდა საკონტროლო წერა. საწერ თემად, მასწავლებელ ქ. სანოძესთან ერთად, შეირჩა თემა („თემისა და პიროვნების ურთიერთობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“).

დასახელებულ ვლასში 9 მოსწავლეა. საკონტროლო წერა ყველამ შეასრულა. შეფასება „3“ დაწერა ექვსს, ხოლო „2“ სამს. მიმდინარე სასწავლო წლის პირველი მეოთხედის ნიშნები წერაში შედარებით უკეთესია: სამ მოსწავლეს აქვს „4“, დანარჩენს „3“).

შემოწმებით გამოირკვა, რომ რუსულ ენას კარგად ასწავლიან მ. ყუფარაძე (მე-3 საშუალო სკოლა), მ. უგულავა (ივანდიდის საშუალო სკოლა), ბ. ბახტაძე (ნახახულევის საშუალო სკოლა).

წულუქიძის მე-3 საშუალო სკოლის მეათე კლასელებმა (მასწ. გ. ყუფარაძე) თანმიმდევრულად გადმოსცეს დედის რევოლუციური ზრდა მ. გორკის რომანის „დედის“ მიხედვით. ნაწარმოების უკანასკნელი თავის („Извнине матери“) თხრობისას ხაზი გაუსვეს პელაგეა ნილოვნას მოქმედებას სადგურზე, სადაც იგი არა მარტო ავრცელებს პროკლამაციებს, პავლე ვლასოვის სიტყვით სასამართლო პროცესზე, არამედ ავითატორადაც გვევლინება.

მასწავლებელმა მოსწავლეთა საშუალებით შეაჯამა მთელი რომანი და სწორად გააანალიზა ის. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რომანის შექმნის ისტორიას, მის იდეურ ანალიზს, რომანის მთავარი გმირების დედისა და პავლე ვლასოვის რევოლუციური ზრდას, მათი ხასიათების ჩამოყალიბებას, მიზანდასახულებას, ნებისყოფას, პარტიისა და ხალხისადმი თავდადებას.

მასწავლებელი მ. ყუფარაძე გულდასმით ასწორებს მოსწავლეთა წერით და ზეპირ მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებს, აბამს მუშაობაში მთელ კლასს, დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა მომზადება.

კარგად გამოიყენა მოსწავლეთა მეტყველებაზე ვარჯიშისათვის მოთხრობა „Письмо из Колхоза“ ივანდიდის საშუალო სკოლის მე-4 კლასის მასწავლებელმა მ. უგულავამ. მოსწავლეებმა საინტერესოდ გადმოსცეს მოთხრობის შინაარსი და აღნიშნეს უკრაინის სკოლების მოსწავლეებთან მიმოწერისა და მეგობრობის შესახებ.

საკმაო დრო დაუთმო მასწავლებელმა ტექსტის „Сторож“ დამუშავებას, სალექსიკონო მუშაობას, კარგად გამოიყენა ის





გრამატიკის ელემენტების შესწავლისათვის. მოსწავლეები სწორად უთანხმებენ ზედსართავ სახელებს არსებითს (Желтый мандарин, спелая груша, красное яблоко), გააჩნიათ საკმარისი ლექსიკური მარაგი, კარგად გამოიყენეს რუკა მოთხრობის შინაარსის გადმოცემისას, უჩვენეს მოსკოვი და შავი ზღვა. მოსწავლეები აქტიურნი არიან, დამაკმაყოფილებელია მათი ცოდნა. მასწავლებელი ფლობს რუსულ ენასა და მისი სწავლების მეთოდებს.

მომზადებულად ატარებს გაკვეთილებს ნახახულევის საშუალო სკოლის მე-3 კლასის მასწავლებელი ბ. ბახტაძე. იგი ავარჯიშებს მოსწავლეებს სასაუბრო ენაზე, აწვევს კითხვებზე პასუხების გაცემას, სწორ მეტყველებას, მიმართავს გუნდურ გამოცდებს, კარგია კითხვის ტექნიკა. მოსწავლეებმა კარგად აღწერეს სურათი „У больно́й“, ახსნეს სიტყვები და გამოთქმები.

მასწავლებელი მეთოდურად სწორად წარმართავს გაკვეთილს, საჭირო დროს უთმობს წერას, აძლევს სწორ ნიმუშს. მოსწავლეებმა იციან გავლილი მასალა.

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან რუსულ ენასა და ლიტერატურას ე. სვანიძე, ა. გიცბა (ივანდიდის საშუალო სკოლა), ნ. ბოლქვაძე (გუბის საშუალო სკოლა), ლ. ლოდობერიძე, ჯ. წიფწიაძე (წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლა), თ. ლომიშვილი, თ. ზობუა, თ. სულაბერიძე (წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლა), გ. გოგმეჩაძე (ქუტირის საშუალო სკოლა).

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება რაიონის ზოგიერთ სკოლაში.

ძალზე დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე გუბის საშუალო სკოლის მე-5 კლასში (მასწავლებელი ლ. ჩახვაძე). მიუხედავად იმისა, რომ კლასი ქვეჯგუფებად არის გაყოფილი. მოსწავლეებმა არ იცოდნენ გაკვეთილი „Как учился В. И. Ленин“ და გრამატიკული მასალა. მასწავლებელი ჩახვაძე ქართულად წარმართავს გაკვეთილს, ერევა მოსწავლეთა პასუხში, არასწორად აწარმოებს სალექსიკონო მუშაობას. მოსწავლეებს არ შესწევთ უნარი შეადგინონ მარტივი წინადადება. მათ ვერ გადათარგმნეს წინადადებები „მე ვუსმენ მასწავლებელს“, „ის ნიჭიერი ბიჭია“. ბევრი შეუმჩნეველი შეცდომაა საკონტროლო წერის რგებულებაში, ძალზე ცუდია მოსწავლეთა კალიგრაფია.

ვერ ფლობს რუსულ ენასა და მისი სწავლების მეთოდებს ქუტირის საშუალო სკოლის მე-5—7 კლასების მასწავლებელი



რ. ჩხაიძე, იგი არასპეციალისტია. გაკვეთილზე ქართულად ლაპარაკობს, მოსწავლეებს ეკითხება ქართულად, მათგან კი მოითხოვს პასუხს რუსულ ენაზე. მე-5 კლასის მოსწავლეები უამრავი შეცდომით გადმოსცემენ მოთხრობას „Юрка—маленький“. ცუდად გამოთქვამენ მახვილებს, ვერ ათანხმებენ სიტყვებს. მასწავლებელს კი არ შესწევს უნარი გაასწოროს ის.

მასწავლებელი ცოტა დროს უთმობს ახსნას. „ახსნა“ ცუდად წაკითხვითა და სიტყვა-სიტყვით თარგმნით ამოიწურება.

მე-7 კლასის მოსწავლეებს არ შესწევთ უნარი მოთხრობის— „Лошадь Казнича“ შინაარსი გადმოსცენ მესამე პირში. ამ კლასში მასწავლებელს არც ლექსიკური მუშაობა უწარმოებია და არც გრამატიკული. მოსწავლეებმა არ იციან ზედსართავი სახელი და მისი ჯგუფები. ტურგენევის ბიოგრაფიის ახსნისას მასწავლებელს არ გამოუყენებია მწერლის პორტრეტი და არც აღუნიშნავს, თუ როგორი ზემოთ იქნა ჩატარებული პოეტის დაბადების 150 წლის-თავი.

ამ კლასებში დაცულია წერის ნორმები, მაგრამ შეუნიშნავია შეცდომები. მასწავლებელი არავითარ ყურადღებას არ აქცევს კალიგრაფიას. ნამუშევრები შეფასებულია ლიბერალურად.

ნახახულევის საშუალო სკოლის მე-5—8 კლასის მასწავლებელი დ. სულაბერიძე გაკვეთილებზე იყენებს თვალსაჩინოებას, ავარჯიშებს მოსწავლეებს მეტყველების. განვითარებისათვის. აწარმოებს ლექსიკურ მუშაობას, მაგრამ სისტემატურად ერევა მოსწავლის პასუხებში, არ აძლევს საშუალებას დამოუკიდებლად მისცეს პასუხი კითხვებზე. მე-5 კლასის მოსწავლეებმა სუსტად იცოდნენ გამოსაკითხავი მასალა „Новое ремесло“, გადმოსცემდნენ მათ შეცდომებით. მოსწავლეები ვერ იყენებენ თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში. ახალი მასალის („Юрка—маленький“) ახსნას მასწავლებელი იწყებს გამომეტყველებითი კითხვის გარეშე.

მე-6 კლასის მოსწავლეებს არ შესწევთ უნარი ნაწარმოების შინაარსი გადმოსცენ მესამე პირში, ცუდად ერკვევიან სიტყვის შემადგენელ ნაწილებში, არ იციან თუ როგორ უნდა შემოწმდეს უმახვილო „ო“, ვერ ასახელებენ მონათესავე სიტყვებს.

მე-8 კლასის მოსწავლეები ნაწყვეტიდან „Вожатый“ ვერ გამოყოფენ ძირითადს, მთავარს, მეტ ყურადღებას უთმობენ მეორეხარისხოვან საკითხებს. არაღამაკმაყოფილებელია ტექსტზე მუშა-



ობა. მასწავლებელი დ. სულაბერიძე საჭიროებს ბევრ მუშაობას თაგის თავზე.

სრულებით ვერ ფლობს რუსულ ენას ივანდიდის საშუალო სკოლის მე-2 კლასის მასწავლებელი პ. ლეთოდიანი. იგი კლასის წინაშე აყენებს გაუმართავ კითხვებს: Кто рассказать урок! Как тебе зóвут? Кто ваша сóмья? Где работает девушка в этот уроке? Кто в сéме? და სხვ.

მასწავლებელი უშვებს უამრავ შეცდომას გამოთქმებში, მხვილებში Собíрает, бóлшая, Листо́чки. მასწავლებელს არ შესწევს უნარი გაასწოროს მოსწავლეების მიერ დაშვებული შეცდომები. არადამაკმაყოფილებელია მასწავლებლისა და მოსწავლეთა კითხვის ტექნიკა. მუშაობაში მასწავლებელი ვერ აბამს კლასს. არ ექცევა ყურადღება საკლასო და საშინაო წერებს.

კარგად მუშაობს ქ. წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი ლ. მაჭარაძე. იგი მოფიქრებულად ადგენს ყოველი გაკვეთილის გეგმას და მეთოდურად გამართულ გაკვეთილებს ატარებს. V კლასის მოსწავლეებმა გავლილი მასალის კარგი ცოდნა ჩამოაგვლინეს. იციან სწორი კითხვა და შეუძლიათ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემა. იგი მოხდენილად ავარჯიშებს მოსწავლეებს ზეპირმეტყველებაში, გაკვეთილზე ოსტატურად იყენებს სხვადასხვა სახის თამაშობებს სიტყვათა მარაგის გასამდიდრებლად.

ასევე კარგად მუშაობს ქ. წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი დ. წვერავა.

დამაკმაყოფილებელია გუბის (მასწავლებელი ვ. გორდაძე) და ივანდიდის (მასწავლებელი ვ. გოდერიძე) საშუალო სკოლების მოსწავლეთა მომზადების დონე გერმანულ ენაში, მაგრამ აღნიშნული მასწავლებლები კმაყოფილებიან ტექსტების კითხვითა და თარგმნით, არ ახდენენ ტექსტების ლექსიკურ ანალიზს, ნაკლებად აქცევენ ყურადღებას მოსწავლეთა სიტყვათა მარაგის გამდიდრებას და შემდეგ ამ სიტყვების პრაქტიკულად გამოყენებას მარტივ საუბრებში.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება გერმანული ენა ქუტიორის საშუალო სკოლის (მასწავლებლები ქ. ბენდელიანი და ე. ბარაბაძე) IX—X კლასებში. მოსწავლეებმა არ იციან საპროგრამო მასალა. უჭირთ კითხვა, არ გააჩნიათ სიტყვათა მარაგი, რათა





მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე გასცენ პასუხი. არ შეუძლიათ შესწავლილი გრამატიკული მასალა დაუკავშირონ ტექსტს ან გამოიყენონ მარტივი წინადადებების შესადგენად.

შემოწმებული სკოლების მასწავლებლები ყურადღებას არ აქცევენ საკლასო-საშინაო და საკონტროლო წერებისათვის განკუთვნილი რვეულების წარმოების საქმეს. უგულებელყოფილია სალექსიკონო რვეულების წარმოება.

სკოლებში არ არის შექმნილი უცხოური ენების კაბინეტები, არ გააჩნიათ საჭირო ტექნიკური საშუალებები.

ქ. წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი მ. სანოძე განზრახ არ გამოცხადდა სკოლაში, რომ მისი მუშაობა არ შეემოწმებინათ.

კარგად ჩაატარა ქ. წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლის IX კლასში ალგებრისა და ელემენტარული ფუნქციების გაკვეთილი მასწავლებელმა რ. შამათავამ. მან სწრაფად და მოკლე დროში მოახერხა საშინაო დავალების შემოწმება. გამოარკვია რამდენად დამოუკიდებლად ჰქონდათ შესრულებული მოსწავლეებს საშინაო დავალება, მისცა საჭირო შენიშვნები და მითითებანი, მასწავლებელმა ზუსტად და გასაგებად ახსნა ახალი მასალა, მოსწავლეებმა ვავლილი მასალის დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს. V კლასებში საკონტროლო წერა შეასრულა 29 მოსწავლემ. არა-დამაკმაყოფილებლად შეფასდა მხოლოდ 7 მოსწავლის წერითი ნამუშევარი.

ცუდადაა დაყენებული მათემატიკის სწავლება გუბის, ივანდიდის, ნახახულევის, ქუტირის, წულუკიძის 1-ლ საშუალო სკოლებში.

გუბის საშუალო სკოლის V კლასის (მასწავლებელი შ. ეძგვერაძე) მოსწავლეებმა არ იციან წილადის ძირითადი თვისებები, უმცირესი ჯერადის პოვნა, ვერ ასაბუთებენ რატომ არის 21-ისა და 28-ის საერთო უმცირესი ჯერადი 84, შეგნებულად არ იციან ნატურალურ რიცხვებზე არითმეტიკულ მოქმედებათა კანონები, გამოთქვამენ შეკრებისა და გამრავლების გადანაცვლებადობის კანონს და ვერ ახერხებენ ამ კანონის გამოყენებით მარტივი გამოწინგარიშების ზეპირად შესრულებას. ვერ გამოიანგარიშეს ზეპირად  $2 \cdot 29 \cdot 5 + 125 + 210 + 375$ . ანალოგიური მდგომარეობაა არითმეტიკის სწავლების საქმეში ნახახულევისა (მასწავლებელი ვ. შავლაყაძე) და ქუტირის (მასწავლებელი დ. ვაფრინდაშვილი) საშუა-



ლო სკოლებში. V კლასის მოსწავლეებს სუსტი წარმოდგენა ნატურალურ რიცხვებზე, ისინი უდიდეს ნატურალურ რიცხვებზე ასახელებენ 9,999 და სხვ. ვერ საზღვრავენ მარტივ და შედგენილ რიცხვებს, ვერ არკვევენ როგორი რიცხვებია 13, 17, 19, 23. ზერელე წარმოდგენა აქვთ ჩვეულებრივ წილადებზე. ქუტირის საშუალო სკოლის (მასწავლებელი დ. გაფრინდაშვილი) არ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს.

დაბალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს ნახაზულების საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი დ. ეფრემიძე. VII კლასში გეომეტრიის გაკვეთილი მხოლოდ ერთმა მოსწავლემ იცოდა. ხუთოსანმა მოსწავლემ ვერ განსაზღვრა ურთიერთპერპენდიკულარული და ურთიერთპარალელური წრფეები. მასწავლებლის დახმარების გარეშე მოსწავლეებმა ვერ ამოხსნეს ელემენტარული ამოცანა — პარალელოგრამის ორი კუთხე ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც 2:3, იპოვეთ პარალელოგრამის კუთხეები. — მოსწავლეებს არ ჰქონდათ გადაწყვეტილი საშინაო დავალებად მიცემული ამოცანა. ისინი არ არიან შეჩვეული სახაზავი ხელსაწყოების გამოყენებას, ვერ შესძლეს დაფაზე სახაზავისა და სამკუთხა სახაზავის გამოყენებით პარალელური წრფეების აგება. მასწავლებელმა ახალი მასალის — „სამკუთხედის შუახაზი და მისი თვისება“ — ახსნა არასწორად წარმართა, ააგო ნახაზი, შეადარა მიღებული სამკუთხედები, მაგრამ ვერ შესძლო საჭირო დასკვნების გამოტანა, ახდენდა ერთი და იგივე წინადადებების უმიზნო გამეორებას. გაკვეთილიც დამთავრდა, თეორემის დამტკიცება შემდგომი გაკვეთილისათვის გადადო. კლასისათვის საშინაო დავალება არ მიუცია.

ივანდიდის საშუალო სკოლის VI კლასის (მასწავლებელი ა. სანოძე) მოსწავლეებს არ ახსოვთ ჩვეულებრივი წილადების ათწილადებად მიახლოებით გადაქცევის ხერხი, მათ ვერ შესძლეს  $\frac{2}{7}$  და  $\frac{4}{9}$ -ის ათწილადებად მიახლოებით გადაქცევა. ვერ ახერხებენ უსასრულო ათწილადების გამრგვალებას, წარმოდგენა არ აქვთ აბსოლუტური ცდომილების შესახებ. მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ზეპირი ანგარიშის სწავლებას  $1\frac{4}{5}$ -ის 10 ზე გამრავლება და 1,125-ის 0,5-ზე გაყოფა რიგი საფეხურების ჩაწერით წარმართა.



არადამაკმაყოფილებლად იციან ალგებრაში გავლილი მასწავლებელი VIII კლასის (მასწავლებელი ე. სანოძე) მოსწავლეებმა. ისინი ერთმანეთში ურევენ განტოლებისა და იგივეობის ცნებებს, შემოკლებით ვერ ასრულებენ მოქმედებებს  $(x-1)(x-1)$ ;  $(x-7)(x-1)$ . წილადურ განტოლებათა ამოხსნისას არ განსაზღვრავენ მასში შემავალი უცნობის დასაშვებ მნიშვნელობებს.

დაბალი მომზადება გამოამყვანებს ალგებრაში გუბის საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი გ. შავლაყაძე) მოსწავლეებმა. მათ ზერელე და არამყარი წარმოდგენა აქვთ ირაციონალურ რიცხვებზე, ვერ ახერხებენ რიცხვის  $-\sqrt{2}$ -ის რიცხვთა წრფეზე წარმოდგენას, მასწავლებელი ვერ აძლევს მოსწავლეებს სწორ მიმართულებას და ცდილობს  $\sqrt{2}$ -ის რიცხვით ღერძზე წარმოდგენისათვის იპოვოს  $\sqrt{2}$ -ის მიახლოებითი მნიშვნელობანი აღებული სხვადასხვა სიზუსტით.

საკონტროლო წერის თემატიკა არ არის სწორად შერჩეული და ვერ პასუხობს მოთხოვნას. ქუტირის საშუალო სკოლის VI—VII კლასებში და ნახაჭულევის საშუალო სკოლის VI—VII კლასებში, აგრეთვე VIII და IX კლასებში გეომეტრიაში არცერთი საკონტროლო წერა არ არის ჩატარებული. დარღვეული აქვთ საკონტროლო წერის ნორმები და არა აქვთ დაცული თემატიკა გუბის საშუალო სკოლის VIII—X კლასებში (მასწავლებელი გ. შავლაყაძე).

მოუზმადებლად ატარებს საკონტროლო წერებს ნახაჭულევის საშუალო სკოლის მასწავლებელი დ. ევრემიძე. VII კლასში 17/X-ს საკონტროლო სამუშაო შეასრულა 19 მოსწავლემ, მათ შორის არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 14-მა, X კლასში ალგებრის საკონტროლო წერა შეასრულა 14-მა, არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 10-მა.

საკონტროლო წერების არარეგულარულად ჩატარებისა და მისი მომზადებისათვის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია ის, რომ შემოწმებული სკოლების X კლასებში ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა ძალზე ცუდი შედეგი გვიჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ საკონტროლო წერებისათვის საშუალოზე უფრო ნაკლები სიძნელის ამოცანები და მაგალითები მიეცათ, მისი ამოხსნა მაინც ვერ შესძლეს. ნახაჭულევის საშუალო სკოლის (მასწავლებელი დ. ევრემიძე) X კლასში 12 მოსწავლემ წერა და ყველამ არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო. ივანდიდის საშუალო სკოლის



(მასწავლებელი შ. ბენიძე) 23 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 22-მა. ქ. წულუკიძის 1-ლ საშუალო სკოლის (მასწავლებლები მ. ჯანელიძე და ო. ხაჭაპურიძე) 43 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 17-მა.

კარგადაა დაყენებული ფიზიკის სწავლება ქ. წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლაში, მასწავლებელი ე. გალდავა არ იფარგლება სასკოლო სახელმძღვანელოებით. მან მე-9 კლასში, ძნელად დასამუშავებელი მასალა „სიმტკიცე, სიმტკიცის მარაგი, სისალე“ ახსნა თვალსაჩინოდ, გამოიყენა ჰიდრავლიკური წნეხი (ჩაატარა ცდები). ვაკვეთილის თემა საგრძნობლად გაამდიდრა დამხმარე მასალებით. მოსწავლეები კარგად ერკვევიან საზომ ერთეულთა სისტემებში, სწორად ესმით სხვადასხვა სისტემის ერთეულებს შორის დამოკიდებულება, მექანიკის ძირითადი ცნებები (ძალა, მასა, ენერჯია და სხვ.). მათში გამომუშავებულია მათემატიკურ გამოანგარიშებათა კულტურა, ხსნიან ამოცანებს. ასევე კარგად მუშაობს ამავე სკოლის მასწავლებელი დ. უგულავა, ქ. წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი ს. ჩარგვიშვილი.

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ფიზიკას ნ. რამიშვილი (ივანდიდის საშუალო სკოლა) და ვ. შავლაყაძე (ნახახულევის საშუალო სკოლა).

სუსტად მუშაობენ უ. გურაბანიძე (გუბის საშუალო სკოლა), ა. შავდია (ქუტირის საშუალო სკოლა), დ. ეფრემიძე (ნახახულევის საშუალო სკოლა). ისინი სათანადოდ ვერ ფლობენ ცდების ჩატარების ტექნიკას, არ აწარმოებენ ვაკვეთილებზე ფიზიკის ძირითადი ცნებების სისტემატურ განმეორებას, დროს ვერ იყენებენ რაციონალურად, არასაკმარის მუშაობენ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან, დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. უ. გურაბანიძის კლასის მოსწავლეებმა საფუძვლიანად არ იციან წყვილი ძალის მოქმედება, მისი მომენტის მოძებნა, ძალის ერთეულები, საზომ ერთეულთა სისტემები და ა. შ. ახალი მასალის—„მყარი სხეულების დეფორმაცია და მათი სახეები“—ახსნისას ცდები მოუმზადებლად, ნაჩქარევად და არასრულყოფილად იყო ჩატარებული, თეორიული მასალა ღრმად და საფუძვლიანად არ იყო გაანალიზებული. ახსნილის ათვისება მოსწავლეებს გაუძნელდათ. ა. შავდია ვაკვეთილებს ატარებს ზეპირსიტყვიერად, ცდების, ნახაზებისა და სხვა დიდაქტიკური მასალების გარეშე. მე-10 კლასში საშინაო დავალების—„კათოდური სხივები და მისი ბუნება“—გამოკითხვი-



სას მოსწავლეებს არ აუგიათ ნახაზები, გაურკვეველი დარჩა თოდური სხივების წარმოშობის მიზეზები, არ აღუნიშნავთ სხივების გამოყენების შესახებ. ასევე მე-8 კლასში თემის—„გამტარების მიმდევრობითი შეერთების“ გამოკითხვისას არ ჩაუტარებია ცდები.

დ. ეფრემიძემ მე-9 კლასში ახალი მასალა—„წონასწორობის სახეები. სხეულთა მდგრადობა“—ცდების, ნახაზების გარეშე ნაჩქარევად ახსნა. დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. მათ არ იციან ვერტიკალური მიმართულება, ვერ ხსნიან ინერციასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ მავალითებს და სხვ.

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო ცდებისა და ლაბორატორიული პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო ხელსაწყოები და მასალები არ მოეპოვებათ გუბის (გამგე ჟ. გურაბანიძე), ქუტირის (გამგე ა. შავდია) და ნახაზულევის (გამგე ვ. შავლაყაძე) საშუალო სკოლების ფიზიკის კაბინეტებში.

გუბის საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტს უჭირავს ერთი ოთახი (50 მ<sup>2</sup>), ხელსაწყო-იარაღები 1.689 მანეთისაა, რაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისათვის. პრიმიტიულად არის მოწყობილი დაბნელება. ელექტროგაყვანილობა არასაკმარისია, ხელსაწყო-იარაღები მოუვლელია და აკლია ნაწილები (ოპტიკის ხელსაწყოს—ლინზები, სადემონსტრაციო დინამომეტრს—დამხმარე მოწყობილობა და სხვ.).

ქუტირის საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი მოთავსებულია ბნელ ოთახში (50/მ<sup>2</sup>) ხელსაწყო-იარაღები ღირებულებით 2.400 მანეთისაა და ვერ აკმაყოფილებს პროგრამულ მოთხოვნებს, არ არის დადგმული ელექტრული ფარი, დაბნელება კუსტარულია, ტექნიკური საშუალებებიდან აქვთ მხოლოდ კინოაპარატი და ეპიდიასკოპი, რომლებიც სათანადოდ არ არის გამოყენებული სწავლებაში.

ნახაზულევის საშუალო სკოლაში ფიზიკისა და ბიოლოგიის კაბინეტები ერთ ოთახშია (50 მ<sup>2</sup>) მოთავსებული. ფიზიკის ხელსაწყო-იარაღების ღირებულება 1.800 მანეთს შეადგენს: ტექნიკური საშუალებებიდან მხოლოდ კინოაპარატი აქვთ. კაბინეტში დადგმულია ელექტროფარი, არ არის დამონტაჟებული ელგაყვანილობა, მარტივად არის მოწყობილი დაბნელება.

დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქიმიის სწავლებელთა წულუკიძის 1-ლ (მასწავლებელი ქ. წვერავა), მე-3 (მასწავლებელი თ. კოლოკავა) და სოფელ ივანდიდის (მასწავლებელი ქ. სულაბერიძე) საშუალო სკოლებში. მასწავლებლები სისტემატურად ემზადებიან ვაკეეთილებისათვის, მოსწავლეთათვის ვასაგებად ხსნიან ახალ მასალას, იყენებენ თვალსაჩინო მასალებს, ატარებენ პრაქტიკულ ლაბორატორიულ სამუშაოებს, აწარმოებენ ჩათვლებს.

ქუტირის საშუალო სკოლის VII—VIII კლასებში ქიმიას ასწავლის აგრონომი გ. მუშუკუდიანი, რომელმაც არ აცის საგანი და მისი სწავლების მეთოდები, ვაკეეთილის ახსნისას მოურიდებლად იყურება სახელმძღვანელოში, ვერ ამჩნევს და არ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს, უფრო მეტიც მასწავლებელს უჭირს მარტივი ქიმიური ტოლობების შედგენა. მან ასეთი ტოლობა დაწერა— $2BaCl_2 + Ca_3(PO_4)_2 = Ba_2(PO_4)_2 + Ca_3PO_4$ .

დამწყებ მასწავლებელს ლ. კუბრეიშვილს IX—X კლასებში უძნელდება ქიმიის პროგრამული მასალის დაძლევა, იმის გამო, რომ მოსწავლეებს დაბალი მომზადება აქვთ მიღებული ამ საგანში წინა VII—VIII კლასებში.

ზეპირსიტყვიერად ისწავლება ქიმია სოფელ ნახახულევის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ე. ბარაბაძე). სკოლაში არ არის ქიმიის კაბინეტი, ქიმიისათვის გამოყოფილია კლასკაბინეტი, სადაც ხელსაწყო-იარაღები და რეაქტივები იმდენად მცირეა, რომ არა თუ პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოები, არამედ სადემონსტრაციო ცდების ჩატარებასაც კი ვერ უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლაში, სადაც ქიმიის სწავლებისათვის ელემენტარული პირობები არ არსებობს. IX—X კლასებში ფაქულტატური საათები ქიმიისათვის არის დათმობილი.

ქ. წულუკიძის 1-ლ, მე-3, გუბის, ივანდიდისა და ქუტირის საშუალო სკოლების ქიმიის კაბინეტებში საჭირო რაოდენობით არ აქვთ ხელსაწყო-იარაღები და რეაქტივები, რის გამოც ვერ ხერხდება პროგრამით გათვალისწინებული ყველა-პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარება. შემოწმებული სკოლების ქიმიის კაბინეტებში არ არის ამწოვი კარადები, ნაკლებად იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს სწავლებაში. ქიმიის წრეების სამუშაო გეგმებში, უმრავლეს შემთხვევაში, გათვალისწინებულია თეორიული ბასიათის მოხსენებების წაკითხვა, ნაკლები ყურადღება ეთმობა ტექნიკური საკითხების განხილვას, ექსპერიმენტალური ამოცანების





ამოხსნას, თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებას; არ წარმოადგენს მოსამზადებელი მუშაობა ქიმიის ოლქში მოსწავლეთა მონაწილეობის მისაღებად; ამასთან ერთად, გეგმებში არ არის გათვალისწინებული ისეთ სამუშაოთა შესრულება, რომელიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეთა მონაწილეობის მიღებას სხვადასხვა დონის ძიებებში, როგორცაა, მაგალითად, „ნორჩ-ქიმიკოსთა დახმარება სკოლას“ და სხვ.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას ბიოლოგიის სწავლება ქ. წულუკიძის 1-ლ საშუალო სკოლაში. მასწავლებელი ნ. ქუთათელაძე უგულვებელყოფს სადემონსტრაციო ცდებს და ლაბორატორიულ მეცადინეობებს. X კლასში ახალი მასალის „ხმელეთის ორგანიზმების განვითარება პალეოზოურ ერაში“—ახსნისას უჩვენა მოსწავლეებს მცირე ფორმატის და ესთეტიკური თვალსაზრისით მღარე ღირებულების პალეოზოურ ერაში არსებული ორგანიზმების ნახატები, მასწავლებელი არ იყენებს დაფას, არ წერს მასზე ძნელად დასამახსოვრებელ სახელებს, ამ თემის დამუშავებისას არ გამოუყენებია დიაფილმები, საპროექციო ფარანი. დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე ზოგად ბიოლოგიაში. მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მცენარეებისა და ცხოველების სუნთქვის მექანიზმზე, მცენარეთა კვების და სხვ. საკითხებზე.

ქუტირის (მასწავლებელი ე. ხვედელიძე), ივანდიდის (მასწავლებელი მ. ქუთათელაძე) საშუალო სკოლებში მასწავლებლები ნაკლებად იყენებენ სწავლებაში თვალსაჩინოებას, ღრმად არ აწვავლიან მოსწავლეებს პროგრამით მითითებულ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის ელემენტებს—თესვა, მცნობა, ნიადაგის დამუშავება, სანერგეების მოწყობა, შეწამვლა, გასხვლა და სხვ. დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე ბიოლოგიაში.

ქუტირის, ივანდიდის, ქ. წულუკიძის 1-ლ, მე-3, ნახახულევის საშუალო სკოლებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობას, არ აწარმოებენ ცდებსა და დაკვირვებებს, არ ახდენენ ჰერბარიუმების და პრეპარატების დამზადებას, არ ტარდება გეგმაზომიერად სასწავლო ექსკურსიები სოფლის მეურნეობის ობიექტებზე. არ აქვთ მოწყობილი სკოლებში ბუნების ცოცხალი კუთხეები და სხვ. ივანდიდისა და ქუტირის საშუალო სკოლებში აქვთ ქიმიო-ბიოლოგიის საერთო კაბინეტები, ნახახულევის საშუალო სკოლაში კი ფიზიკა-ბიოლოგიის კაბინეტი ერთად აქვთ. კაბინეტებში დგამ-ავეჯი მოძველებულია, თვალსაჩინო მა-

სალა, რომელიც კაბინეტებში სკოლებს გააჩნიათ, ელემენტარულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.



რაიონის ბიოლოგიის მასწავლებლები მოკლებულნი არიან მეთოდურ დახმარებას. რაიონის არც ერთ სკოლაში არ არის ბიოლოგიის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება (მასწავლებელთა მცირე რაოდენობის გამო) და არც სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებაა შექმნილი.

ქ. წულუკიძის 1-ლ საშუალო სკოლას დღემდე არ აქვს გამოყოფილი სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი.

ივანდიდის (ნაკვეთის გამგე მ. ქუთათელაძე), ქუტირის (ნაკვეთის გამგე ლ. ხვედელიძე) საშუალო სკოლების სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე პროგრამით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიდან მოსავლის აღება-აღრიცხვა, თესლის შერჩევა, ნიადაგის დამუშავება, სასუქების შეტანა, საშემოდგომო კულტურების თესვა და სხვ. არ არის ჩატარებული. არა აქვთ ნაკვეთის სამუშაო გეგმები და ცდების შედეგების აღრიცხვა-შეჯამება.

ივანდიდის საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი მ. ქუთათელაძე მოსწავლეთა შეფასებას ახდენს არასწორად. VII კლასის მოსწავლე ო. ქოროსანიძეს პირველ მეოთხედში ნიშანი „2“ დაუწერა გაკვეთილის ვაცდენისათვის.

შემოწმებული სკოლების IX—X კლასების მოსწავლეთათვის შერჩეულია პრაქტიკული მეცადინეობა მეჩაიეობაში, ძირითადად მათი მუშაობა მეჩაიეობაში გამოიხატება საკოლმეურნეო და სკოლის ნაკვეთებზე ჩაის კრეფაში, ხოლო პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალის შესწავლა არ მოუხდენიათ.

დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მუშაობა ქ. წულუკიძის 1-ლ და მე-3 საშუალო სკოლების სასწავლო-სახელოსნოებში. სახელოსნოები აღჭურვილია ყველა ტიპის სამამულო წარმოების დაზგა-დანადგარებით, მოწყობილია მოსწავლეთა მიერ საუკეთესო ნაკეთობათა გამოფენა, აქვთ საჭირო რაოდენობით სამუშაო იარაღები.

ქ. წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლის VIII კლასში მასწავლებელმა ბ. ბახტაძემ გასაგებად ახსნა. სახარატო დაზგების სახეობა და მუშაობის პრინციპები, ყველა მოსწავლეს შეასრულებინა პრაქტიკულად სხვადასხვა სამუშაოები. მოსწავლეებმა გავლილი მასალის საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს. მათ იციან ტი-

პობრივი დეტალები და მექანიზმები, მანქანათა კლასიფიკაცია, მოძრაობის გარდაქმნათა მექანიზმები, შიდაწვის ძრავები და სხვ.

ცული მდგომარეობა ივანდიდის (მასწავლებელი ა. სულამინიძე), გუბის (მასწავლებელი ო. კოპალიანი) და ქუტირის (მასწავლებელი ვ. ჯიქიძე) საშუალო სკოლებში. სასწავლო სახელოსნოები მოთავსებულია მცირე და უვარგის სადგომებში, არ აქვთ საკმარის რაოდენობით დაზგა-დანადგარები, სამუშაო-იარაღები, დასამუშავებელი მასალა, არაა დაცული უსაფრთხოების ტექნიკა და საწარმოო სანიტარია. საგნის სწავლება არ მიმდინარეობს მეცნიერებათა საფუძვლების მონაცემებზე დამყარებით. მოსწავლეებში არაა გამომუშავებული მუშაობის სწორი ჩვევები, ვერ ცნობენ იმ დაზგებს და სამუშაო იარაღებს, რომლებზეც მათ უხდებათ მუშაობა. მასწავლებლები ყოველგვარი გეგმებისა და სასწავლო პროგრამების გარეშე ატარებენ ვაკვეთილებს.

კარგადაა დაყენებული ისტორიის სწავლება ივანდიდის საშუალო სკოლაში. მასწავლებლები ვ. ჭოლოკავა და ნ. სიმონიძე გულმოდგინედ ემზადებიან ყოველი ვაკვეთილისათვის და მაღალ დონეზე ატარებენ მას. მოსწავლეებს ისტორიული ფაქტების და მოვლენების მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა გააჩნიათ. გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება ისტორიის სწავლება ქუტირის საშუალო სკოლაში. X კლასის (მასწავლებელი ბ. ბუაძე) მოსწავლეები უერ ერკვევიან უახლესი ისტორიის კურსიდან მთელ რიგ საკითხებში. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკური ძალების ახალი განლაგების საკითხებში, ვერ ახასიათებენ კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპს, ახალი სოციალისტური ქვეყნების წინამძღვრებს, საბჭოთა კავშირის, მისი შეფარადებული ძალების გადამწყვეტ როლს ფაშისმისა და მილიტარიზმისაგან ხალხთა განთავისუფლების საქმეში, ვერ ასახელებენ სახალხო დემოკრატიულ რევოლუციებს, მათ ხასიათსა და თავისებურებებს.

მასწავლებელმა ბ. ბუაძემ ახალი მასალა — „პოლონეთი“ — სრულყოფილად ვერ ახსნა. არაფერი უთქვამს დასავლეთის საზღვრების დაწესებაზე ოდერ-ნეისის მდინარეებზე, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის შექმნაზე, სოციალიზმის მშენებლობის მსვლელობის დროის წინააღმდეგობათა დაძლევაზე და სხვ. ასევე არაა დამაკმაყოფილებელი მომზადება გამოავლინეს ისტორიაში ნახაზულების საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი



გ. ჩიხლაძე) მოსწავლეებმა. სუსტად იციან საფრანგეთ-პრუსიის ომის მიზეზები, გერმანიის ვაერთიანება, მისი პოლიტიკუ-  
ბა, გერმანელი იმპერიალისტების მზადება ომისათვის, მსოფლიოს გადასანაწილებლად, ინგლისი, საფრანგეთი, აშშ, იაპონია XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში.

ახალი მასალის — „აზიის გამოღვიძება“ თემიდან ჩინეთის ახსნიას სრულად არ დაუხასიათებია ჩინეთის ეკონომიური და-  
კაბალების მიზეზები და ჩინეთის დაყოფა გავლენის სფეროებად იმ-  
პერიალისტური სახელმწიფოების მიერ. 1900 წლის სახალხო აჯან-  
ყება, 1905—1907 წლების რუსეთის რევოლუციის გავლენა რევო-  
ლუციური მოძრაობის აღმავლობაზე ჩინეთში. სუნ-იატ-სენი და მისი მოძღვრება. 1911—1913 წლების რევოლუცია და მისი მნიშვნე-  
ლობა.

ქ. წულუკიძის 1-ლ, მე-3, ქუტირის, ნახახუღევის, ივანდი-  
დის, გუბის საშუალო სკოლებში არ არის მოწყობილი ისტორიის კლასკაბინეტები, არ აქვთ საჭირო სახის ისტორიული რუ-  
კები და სხვა დიდაქტიკური მასალები. აღნიშნულ სკოლებში არ წარმოებს არავითარი სამხარეთმცოდნეო მუშაობა.

ქ. წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ზ. ხო-  
ბუამ დამაკმაყოფილებლად ჩაატარა გეოგრაფიის გაკვეთილი VII კლასში. მოსწავლეებმა კარგად შესძლეს გაკვეთილის — „ამერიკის ბუნებრივი ზონების“ — შინაარსის გადმოცემა. საჭირო ობიექტებს უჩვენებდნენ სწორად. მოსწავლეებმა გავლილი მასალის მკვიდრი ცოდნა გამოავლინეს, ზუსტად გადმოსცეს ამერიკის გეოგრაფიული მდებარეობა. ამერიკის განთენილობა ჩრდილოეთიდან სამხრეთი-  
საკენ, ტერიტორიის სიდიდე, ოკეანეები, რომლებიც ეკვრიან ამე-  
რიკას. ამერიკის აღმოჩენა. ამერიკის კოლონიზაცია ევროპელების მიერ. ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის მოხაზულობა. ზღვები, ნახევარკუნძულები და კუნძულები; რელიეფი, მთები, ვაკეები, სასარგებლო წიაღისეულის ძირითადი საბადოები და სხვ.

ახალი მასალა — „ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის მოსახ-  
ლეობა“ — მასწავლებელმა გადასცა თხრობის მეთოდით. მასალა მეცნიერულად სწორად იყო ახსნილი. გადაცემული მასალა მო-  
სწავლეებმა აითვისეს დამაკმაყოფილებლად.

ასევე კარგად ისწავლება გეოგრაფია ქუტირის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი თ. რუხაძე).



ქ. წულუკიძის 1-ლ (მასწავლებელი ნ. კობალიანი), ნახატი-  
 ლევის (მასწავლებელი მ. შავლაძე), ივანდიდის (მასწავლებელი  
 თ. მაჭარაძე), გუბის (მასწავლებელი დ. მოსეშვილი) საშუალო  
 სკოლებში ცალკე გეოგრაფიის კაბინეტი არ არის შექმნილი. გა-  
 კვეთილები საკლასო ოთახებში ტარდება. სკოლებს არ აქვთ სა-  
 ჭირო რუკები, რის გამო მასწავლებლები გაკვეთილებზე შეუფე-  
 რებელ რუკებს იყენებენ, სკოლები ღარიბია ატლასებით, სასარ-  
 გებლო წილისეული კოლექციებით, მოდელებით და სხვა საჭირო  
 დიდაქტიკური ხელსაწყო-იარაღებით. აღნიშნულ სკოლებში არ არის  
 მოწყობილი გეოგრაფიის მოედნები და არ სწარმოებს პროგრამით  
 გათვალისწინებული მეტეოროლოგიური, დაკვირვება ტემპერატუ-  
 რაზე, ამინდზე და სხვ.

დაბალია აკადემიური წარმატების დონე წულუკიძის რაიონის  
 სკოლებში. 1968—1969 სასწავლო წლის პირველი მეოთხედის  
 ბოლოს რაიონის სკოლებში შეფასებულ 6.076 მოსწავლიდან ვერ  
 ასწრებს 928 ბავშვი, ე. ი. 15,3%. უფრო ცუდი მდგომარეობაა  
 ცალკეულ სკოლებში. ქ. წულუკიძის 1-ლ საშუალო სკოლაში  
 (დირექტორი კ. ცაცუა) შეფასებული 538 მოსწავლიდან ვერ ასწ-  
 რებს 96 (18%), მათ შორის I—IV კლასებში 22, ხოლო პირველ  
 კლასში—5 მოსწავლე, მე-2 საშუალო სკოლაში (დირექტორი  
 ს. ქუთათელაძე) 519 მოსწავლიდან ვერ ასწრებს—100 (19,3%),  
 მათ შორის I—IV კლასებში—21, ხოლო პირველ კლასში 4 მო-  
 სწავლე, გორდის საშუალო სკოლაში 241-დან—48 (19,9%). სულ  
 რაიონის სკოლებში ვერ ასწრებს I—IV კლასების 229 მოსწავლე,  
 მათ შორის პირველ კლასში 28. არადამაკმაყოფილებლადაა დაყე-  
 ნებული მეორეწლიან მოსწავლეთა შორის მუშაობა: 152 მეორე-  
 წლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს 49, მათ შორის გორდის სა-  
 საშუალო სკოლაში (დირექტორი კ. ჩიქოვანი)—19, გუბის საშუა-  
 ლო სკოლაში—5, გორდის სკოლა-ინტერნატში 4.

შემოწმებული სკოლების ცალკეული საგნების სწავლებაში  
 გამოვლინებული სერიოზული ნაკლოვანებები პირველყოფლისა  
 იმითაა გამოწვეული, რომ სკოლის დირექტორები და მათი მოად-  
 გილეები საწავლო მუშაობის დარგში, საფუძვლიანად არ იცნობენ  
 სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს, განათლების სა-  
 მინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტებს და ქმედით დახმარე-  
 ბასა და კონტროლს არ უწევენ მასწავლებლებს მუშაობაში, არ  
 იჩენენ სათანადო მომთხვეწელობას და პრინციპულობას. სოფელ



ქუტირის საშუალო სკოლის დირექტორის ბ. ბუაძის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილების ანალიზები უწიგნურად არის დაწერილი, ზერელეა, მასში არ ჩანს გაკვეთილების აკადემიური, იდეური და მეთოდური მხარეები. ქ. წულუკიძის პირველი საშუალო სკოლის დირექტორმა კ. ცაცუამ 1968 წლის 5 სექტემბერს გამოსცა პედაგოგიურად გაუმართლებელი ბრძანება: ნაწილი სასწავლო დისციპლინები დასასწრებად დაიტოვა თვითონ და ნაწილი კი გააპიროვნა მის მოადგილეზე სასწავლო მუშაობის დარგში—გ. კალმახელიძეზე. 20 ნოემბრისათვის მას მოსმენილი აქვს მხოლოდ 11 გაკვეთილი, ანალიზები ზერელეა და ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს მასწავლებლებს მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

ასევე სათანადო კონტროლსა და დახმარებას არ ახორციელებენ მასწავლებელთა მუშაობაზე გუბის საშუალო სკოლის დირექტორი ი. კაკაბაძე და დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში გ. ცაგარეიშვილი, ნახახულევის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში მ. შავლაძე, ივანდიდის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში გ. ქაჯაია.

ქუტირის, ივანდიდის, გუბის, ნახახულევის (დირექტორი თ. ბარაბაძე), ქ. წულუკიძის 1-ლი და მე-3 საშუალო სკოლების გაკვეთილების ცხრილი პედაგოგიური თვალსაზრისით არასწორადაა შედგენილი. სასწავლო დღეებში გაკვეთილები თანაბარი სიძნელის მიხედვით არ არის განაწილებული, არის ძნელი და იოლი დღეები, სამ საათიანი სასწავლო დისციპლინები უშუალოდ და განაწილებული, ორ საათიანი დისციპლინები ზოგჯერ ერთი დღის, ზოგჯერ კი 4 დღის შუალედით არის მოთავსებული, ერთ საათიანი დისციპლინები ორშაბათსა და შაბათს ისიც მე-6 გაკვეთილებად არის მიცემული, ერთფეროვანი საგნები—ენები ან მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია ცხრილში მიჯრით, ერთმანეთზე მიყოლებითაა მოქცეული. ძნელადსათვისებელი საგნები ზოგჯერ უკანასკნელ მე-6 გაკვეთილებად არის შეტანილი. უფრო მეტიც. ქუტირის, ნახახულევის და ქ. წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლების გაკვეთილების ცხრილში ადგილი აქვს ზოგიერთ საგნის დაწყვილებულად მიცემის შემთხვევებს.

გუბის, ქუტირის საშუალო სკოლების დაწყებითი კლასების გაკვეთილების ცხრილი შედგენილია იმის მიხედვით, თუ როგორ სურს ამა თუ იმ მასწავლებელს, როგორ „აწყობს“ მას, და არა



პედაგოგიური პრინციპების დაცვით. II, III გაკვეთილებზე ფიზიკულტურაა, ხოლო მესამე-მეოთხეზე ქართული ენა ან რუსული ენა, რის გამოც ძნელდება წერითი სამუშაოების ჩატარება.

არადამაკმაყოფილებლად დაყენებული პედაგოგიური საბჭოების მუშაობა ქუტირის, გუბის და წულუკიძის პირველ საშუალო სკოლებში. სხდომებზე იშვიათად იხილება ცალკეული საგნების სწავლების და კლასის ხელმძღვანელების მუშაობის საკითხები, პირველი მეოთხედის შედეგების განხილვისას არ არის გაანალიზებული სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში არსებული მოუთმენელი ნაკლოვანებანი, დაუშვასაზრებლად და ნაქებ მასწავლებლები, რომელთა მუშაობაში შემოწმებისას სერიოზული ნაკლოვანებანი გამოვლინდა. პედსაბჭოს სხდომებზე საკითხები ზოგადადა განხილული. სრულიად უგულებელყოფილია კრიტიკა და თვითკრიტიკა, ღონისძიებები არაა კონკრეტული. მასწავლებლებს, კლასის ხელმძღვანელებს და სკოლის სხვა მუშაკებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად არ აქვთ ნიციემული დავალება-მითითებანი.

ივანდიდის (დირექტორი ვ. ჭოლოკავა), ქ. წულუკიძის 1-ლი, მე-3 (დირექტორი ა. ძიძავა), გუბის საშუალო სკოლების წლიურ გეგმებში არ ჩანს სასწავლო დისციპლინების სწავლების, საპროგრამო მასალების გავლისა და ათვისების ხარისხის, სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენების, მოსწავლეთა იდეური, ათვისტური და ესთეტიკური აღზრდის საკითხების შემოწმება. მას პედსაბჭოს სხდომებზე ფორმალურად იხილავენ, არ ჩანს მასწავლებლების საქმიანი წინადადებები თუ რა სახის საკითხები წამოაყენეს მათ დამატებით, ამგვარად გეგმა არ წარმოადგენს მასწავლებელთა კოლექტიური აზრის ნაყოფს. საერთოდ გეგმაში საკითხები კონკრეტულად არაა გამოკვეთილი, არ ჩანს რა უნდა გაკეთდეს, როდის უნდა გაკეთდეს და ვის მიერ უნდა შესრულდეს. ნაცვლად კალენდარული ვადებისა ჩაწერილია—„სისტემატურად“, „მეოთხედის განმავლობაში“ ან „სასწავლო წლის პერიოდში“. უფრო მეტიც ქუტირის საშუალო სკოლის წლიური გეგმა გასული სასწავლო წლის გეგმის ასლს წარმოადგენს.

ზოგადი და ტრაფარეტულია კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმებიც.

არ ახდენენ სასკოლო ასაკის ბავშვთა ზუსტ აღრიცხვას. გეგმით რაიონის სკოლებში უნდა სწავლობდეს 6.235 ბავშვი, ფაქტიურად სწავლობს 5.935. გეგმის შესრულებას დააკლდა 300



ბავშვი, მათ შორის I—IV კლასებში 109, V—VIII კლასებში 109 ბავშვი.

როგორც მოხსენებითი ბარათიდან ჩანს წულუკიძის რაიონის სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს და საჭიროა განათლების განყოფილებამ და სკოლებმა გადაჭრით გარდაქმნან მუშაობა და უზრუნველყონ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა.

- შ. ლომიძე (ხელმძღვანელი)
- ე. ბასილაძე
- გ. გიორგობიანი
- თ. ხურცილავა
- ტ. ჩიგოგიძე
- ივ. ვარლამიშვილი
- გ. მირცხულავა
- გ. ნარჩიშაშვილი
- ს. ჯინჯიხაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
23 დეკემბრის ბრძანება № 809

ქარელის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და  
ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლაში ფიზიკური აღზრ-  
დისა და სპორტის მუშაობის მდგომარეობის შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესასრულებლად ქარელის რაიონის სკოლებში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული. გაძლიერდა სკოლის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისადმი; რიგ სკოლებში, როგორც ფიზკულტურის გაკვეთილები, ასევე კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ტარდება საპროგრამო მოთხოვნათა შესაბამისად. ამ მხრივ გამოირჩევიან: ქარელის № 2 საშუალო სკოლა (დირექტორი ნ. კობახიძე, ფიზკულტურის მასწავლებლები კ. დავითაშვილი, კ. გოგალაძე), მოხისის საშუალო სკოლა (დირექტორი ა. ფოჩხუა, ფიზკულტურის მასწავლებელი მ. ამბოკაძე) და სხვა სკოლები.

აღნიშნულ სკოლებში მოსწავლეებს დამაკმაყოფილებლად აქვთ ათვისებული საპროგრამო მასალა, სისტემატურად ტარდება შინა სასკოლო შეჯიბრებები, მასობრივი ტურისტული ლაშქრობები, სასკოლო სპარტაკიადები და სხვა სახის გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.

ქარელის რაიონის ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლაში (დირექტორი—კ. გოგალაძე) სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი და მასობრივ-სპორტული მუშაობა მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. სპორტულ ჯგუფებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი





მწვრთნელები, რომლებსაც დაკომპლექტებული აქვთ ჯგუფები კარგი მონაცემების მქონე ბავშვებით; როგორც სასწავლო დოკუმენტაციას, ასევე მეცადინეობას კარგად აწარმოებენ.

ამასთან ერთად მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა რაიონის სკოლების საგრძნობ ნაწილში ჯერ კიდევ არაა დამაკმაყოფილებელია. არ ტარდება სათანადო ორგანიზაციული და მეთოდური მუშაობა, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1967 წლის 21 თებერვლის № 241 ბრძანების—„რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ“—განუხრელად შესრულებისათვის. ზოგიერთი მასწავლებელი წინასწარ საფუძვლიანად არ ემზადება გაკვეთილებისათვის და სასწავლო პროცესი არაორგანიზებულად მიმდინარეობს; ხშირად გაკვეთილები ისაზღვრება მხოლოდ ვარჯიშთა მექანიკური შესრულებით; მოსწავლეები ფიზკულტურის გაკვეთილებზე ცხადდებიან სპორტული ფორმის ვარეშე (სოფ. აბისის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. ოსაძე, ფიზკულტურის მასწავლებლები ს. ნოზაძე, გ. დაბრუნდაშვილი). რუისის საშუალო სკოლის ფიზიკური კულტურის მასწავლებელს დ. მაჭარაშვილს არ გააჩნია ჩატარებული კლასვარეშე მუშაობის დოკუმენტაცია, იგი უწიგნურად აწარმოებს დამუშავებული მასალის საკლასო ყურნალში ჩაწერას, მეოთხედური ნიშნები გამოჰყავს არასწორად. არასწორად აღრიცხავს განვლილ მასალას აგრეთვე ამავე სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ე. გვარამაძე. ზოგიერთ სკოლაში მზიან ამინდში ფიზკულტურის გაკვეთილები ტარდება დარბაზში, მაშინ როცა სკოლას აქვს ეზო და სპორტული მოედანი (სოფ. აგარის საშუალო სკოლა, ფიზკ. ვასწავლებელი მ. ნოზაძე); აგარის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა დასწრება გაკვეთილებზე არაა დამაკმაყოფილებელია, VI კლასში გაკვეთილზე 22 მოსწავლიდან დაესწრო მხოლოდ 15 მოსწავლე, არასაპატიო მიზეზით არ დაესწრო 7 მოსწავლე; მასწავლებელი მ. ნოზაძე ფიზიკური კულტურის გაკვეთილებს სხვადასხვა კლასებთან (V—VI—VII) მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებათა გაუთვალისწინებლად ატარებს.

რაიონის ბევრ სკოლაში არაა დამაკმაყოფილებლად დაყენებული შშთ ნიშნოსნებისა და სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადება. აგარის (დირექტორი ზამთარაძე), აბისის (დირექტორი გ. ოსაძე) საშუალო სკოლებში არა აქვთ ბრძანებები მე-8 კლასიდან მე-9 კლასში გადაყვანილ მოსწავლეებზე იშვით-ს და მე-10 კლასდამთავ-

რეზულტატების მშთ 1 საფეხურის ნიშნის მინიჭების შესახებ აღნიშნულ სკოლებს აგრეთვე არა აქვთ გაფორმებული დოკუმენტაცია მშთ ნიშნის მინიჭების მომზადების შესახებ.

რაიონის ცალკეულ სკოლებში არაღამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სპორტმასობრივი მუშაობა. სპორტულ სექციებში ჩაბმულ მოსწავლეთა რიცხვი დასახელებულ სკოლებში შეადგენს 25—35%-ს, ნაცვლად 70—80%-სა. ქარელის № 1 საშუალო (დირექტორი მ. გაგლოვეი, ფიზკულტურის მასწავლებლები კ. კახია, მ. ხარატიშვილი), ბრეთის საშუალო (დირექტორი ი. ბაბილოძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. წიქარიშვილი) და სხვა სკოლებში იშვიათად ტარდება შინა სასკოლო შეჯიბრებები.

ქარელის № 1 და აგარის საშუალო სკოლებში კლასგარეშე ფიზკულტურული და სპორტული მუშაობისათვის გათვალისწინებული ნაწილობრივ განაკვეთი განაწილებულია ორ მასწავლებელზე, რაც იწვევს სასკოლო კოლექტივის ორგანიზაციის დაქსაქსვას და მასწავლებლებს შორის უბასუხისმგებლობას.

კუდათ ტარდება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა მოსწავლეთა შორის. მიუხედავად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებებისა, რაიონის ზოგიერთ სკოლაში დიდ შესვენებებზე მოძრავი თამაშები არ ტარდება.

მოსწავლეები არ არიან გატარებული სამედიცინო შემოწმებაზე, არ არიან დაყოფილი სამედიცინო ჯგუფებად, არ სწარმოებს საუნივერსიტეტო პედაგოგიური მეთვალყურეობა მოსწავლეებზე (აგარის, აბისის და მოხისის საშუალო სკოლებში).

რაიონის უმეტეს სკოლებს არ გააჩნიათ სპორტული დარბაზები ან შეგუებული ტიპის კლას-დარბაზები.

შემოწმებულ სკოლებში (გარდა რუისის საშუალო სკოლისა) ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საკითხები იშვიათად იხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, (ქარელის № 1 საშუალო სკოლა, აბისის საშუალო სკოლა) და სხვა.

სისტემატურად არ ტარდება რაიონის სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებთან მეთოდური ჩასიათის თათბირ-სემინარები.

რაიონის სკოლები სუსტად მარაგდებიან სპორტული ინვენტარით. სკოლებს საჭირო რაოდენობით არა აქვთ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ბირთვები, ბურთები, ბადროები, ხელყუმბარები, ტანვარჯიშული და სხვა იარაღი. მიმდინარე სას



წავლო წელს მოხისის საშუალო სკოლას (დირექტორი ა. ფოჩხაძე),  
 ბრეთის საშუალო სკოლას (დირექტორი ი. ბაბილოძე), აგარის სა-  
 შუალო სკოლას (დირექტორი ზამთარაძე), ქარელის № 1 საშუა-  
 ლო სკოლას (დირექტორი გაგლოევი) საერთოდ სპორტული ინვენ-  
 ტარი არ შეუძენიათ.

მოუგვარებელია საჭირო ფიზკულტურული იარაღ-მოწყობი-  
 ლობებით სკოლების მომარაგების საქმე. თვალსაჩინო ხელსაწყო-  
 იარაღების საბაზო მდარია (დირექტორი ა. ქლენტი), ვერ უზრუნ-  
 ველყოფს სკოლებს აუცილებელი სასწავლო-სპორტული ინვენტა-  
 რით და ამავე დროს ზოგჯერ ადგილებზე გზავნის სასწავლო პრო-  
 გრამით გაუთვალისწინებელ ინვენტარს (კრივის ხელთათმანები  
 და „ლაპები“, შტანგა და სხვა).

ბავშვთა-მოზარდთა სპორტული სკოლა ნორმალური მეცა-  
 დინეობისათვის დღემდე არ არის უზრუნველყოფილი სათანადო  
 სპორტული ბაზებით.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქარელის რაიონის განათლების განყოფილებამ (ნ. გოგი-  
 ჩაიშვილი):

ა) პერიოდულად შეამოწმოს რაიონის ცალკეულ სკოლებში  
 ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობა, შედე-  
 გები განიხილოს განათლების განყოფილების საბჭოს სხდომებზე  
 და განახორციელოს ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმო-  
 საფხვრელად;

ბ) დახმარება აღმოუჩინოს სკოლებს სპორტული ბაზების  
 მოწყობისა და სასწავლო-სპორტული ინვენტარის შესაძენად სათა-  
 ნადო თანხების გამოყოფაში;

გ) მიიღოს ზომები ბავშვთა-მოზარდთა სპორტული სკოლის  
 მუშაობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად; მაქსიმალუ-  
 რად გამოიყენოს სპორტული სკოლა რაიონის ზოგადსაგანმანათ-  
 ლებლო სკოლებში მოსწავლეთა შორის მასობრივ-ფიზკულტურუ-  
 ლი და გამაჯანსაღებელ-სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად.

2. დაევალოს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების  
 დირექტორებს:

ა) განახორციელონ სისტემატური კონტროლი და დახმარე-  
 ბა ფიზიკური კულტურის მასწავლებლებისადმი. მიაღწიონ იმას,  
 რომ როგორც გაკვეთილები, ასევე კლასგარეშე და სკოლისგარეშე



მუშაობა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მიმდინარეობდეს საპროგრამო მოთხოვნებიდან სრული დაცვით;

ბ) ფიზკულტურის გაკვეთილებისა და კლასგარეშე სპორტული მუშაობის ნორმალურად ჩატარების მიზნით მიიღონ ზომები მარტივი ტიპის სპორტული მოედნებისა და სპორტული დარბაზების კეთილმოწყობისა და მათი სათანადო სპორტული ინვენტარით აღჭურვისათვის;

გ) რეგულარულად დაესწრონ, ფიზიკური კულტურის გაკვეთილებს და კლასგარეშე-სპორტულ მუშაობას; სისტემატურად განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ფიზიკური კულტურისა და სპორტული მუშაობის საკითხები და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმებას, ჯანმრთელობის მიხედვით მათი სამედიცინო ჯგუფებად დაყოფასა და სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოსწავლეებთან სპეციალური მეცადინეობის ჩატარების საკითხებს;

ე) ფიზიკური კულტურის სპეციალისტ-მასწავლებლების საშუალებით დაწყებითი კლასების მასწავლებლებს, ფიზიკური კულტურის გაკვეთილების მაღალ დონეზე ჩასატარებლად, გაუწიონ მეთოდური და პრაქტიკული დახმარება.

3. დაევალოს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს (ს. არველაძე) და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებას (ი. ბაცელაშვილი) უახლოეს დროში შეიმუშაონ ღონისძიებები რესპუბლიკის სკოლების სასწავლო-სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფისათვის, კერძოდ მოამარაგონ ქარელის რაიონის სკოლები სასწავლო-სპორტული ინვენტარით.

4. დაევალოს ფიზიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტს (გ. მერკვილაძე) კაპიტალური მშენებლობის განყოფილებასთან ერთად (მ. ანჯაფარიძე) ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს სკოლებთან მარტივი ტიპის კომპლექსური ღია მოედნების მშენებლობის სქემები; გაამრავლოს ისინი და დაუგზავნოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას სახელმძღვანელოდ.

5. სკოლაში ფიზიკური კულტურის სასწავლო და კლასგარეშე სპორტული მუშაობის სუსტად დაყენებისათვის ქარელის რაიონის აბისის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს ს. ნოზაძეს, რუისის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს დ. მაჭარაშვილს მიეთითოთ, ამასთან გაფრთხილებული იქნან



ისინი, რომ თუ არ გააუმჯობესებენ მუშაობას, მათ მიმართ <sup>განხილული</sup> ~~განხილული~~ ~~იქნება~~ ~~მკაცრი~~ ~~ზომები~~.

6. აღნიშნული ბრძანება განხილული იქნეს ქარელის რაიონის სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე.

7. განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 13 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე უშ. თბოლაძე

**ПРИКАЗ ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР  
№ 10 ОТ 9 ЯНВАРЯ 1969 ГОДА**

**О состоянии постановки учебно-воспитательной работы  
в Лайтурской и Квемонатанебской средних школах  
Махарадзевского района**

Ознакомившись с докладной запиской, представленной бригадой Управления школ, отмечаю, что в учебно-воспитательной работе Квемонатанебской и Лайтурской школ имеются серьезные недостатки.

Администрации этих школ не заботятся о повышении квалификации педагогов, мало внимания обращают на улучшение методов и приемов преподавания. Преподавание ряда предметов ведется неспециалистами и стоит на низком уровне, не проводятся предусмотренные программами опыты и лабораторные работы. Кабинеты и мастерские плохо оснащены. Слабо поставлена работа со второгодниками и отстающими учениками.

**ПРИКАЗЫВАЮ**

1. Докладную записку о состоянии постановки учебно-воспитательной работы в Лайтурской и Квемонатанебской средних школах, представленную бригадой Управления школ, по договоренности переслать для рассмотрения в Махарадзевский РК КП Грузии.

2. Зав. Махарадзевским РОНО т. Х. Хавтаси до конца января 1969 года доложить Министру просвещения Грузинской ССР о принятых мерах.

**Основание:** Решение коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 27 декабря 1968 года.

Министр просвещения Грузинской ССР **Т. Лашкарашвили**



МИНИСТРУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

тов. Лашкарашвили Т. В.

ДОКЛАДНАЯ ЗАПИСКА

**Зам. начальника Управления школ Николайшвили Т. А.  
о состоянии постановки учебно-воспитательной работы  
в Лайтурской и Квемонатанебской средних школах  
Махарадзевского района**

Бригада Министерства просвещения в составе зам. начальника Управления школ Николайшвили Т. А., школьных инспекторов Мелкадзе Т. Г., Двораковского В. Я., Гаджиларова К. Х., методиста-инспектора Республиканского института усовершенствования учителей Щервашидзе А. Г., сотрудника Центральной станции юных техников Унгиадзе К. Ф., методиста Республиканского кабинета эстетического воспитания Пхакадзе Т. С. 9—12 декабря проверила учебно-воспитательную работу в Лайтурской и Квемонатанебской средних школах.

Проверкой установлено, что в учебно-воспитательной работе данных школ имеются серьезные недостатки.

В конце истекшего учебного года работа Лайтурской средней школы была изучена районным отделом народного образования, а Квемонатанебская школа была проверена районным комитетом партии. Результаты проверки школ были заслушаны на заседании бюро райкома партии Махарадзевского района и на Совете народного образования РОНО.

За неудовлетворительное руководство школами директорам и заместителям директоров по учебной части был объявлен выговор. (Мкервали Г.—директору Лайтурской средней школы, Чавлеишвили М.—директору Квемонатанебской средней шко-



лы). Однако несмотря на это, обнаруженные недочеты все не изжиты. Это результат нецеленаправленной работы дирекции школ, педагогических коллективов, а также следствие того, что учащиеся школ Махарадзевского района в течение полутора месяцев были заняты на сборе чая и не посещали занятия.

В Лайтурской средней школе преподавателями русского языка и литературы на русском секторе работают Мзия Бурчуладзе, Нани Чанчибадзе, Лидия Шастун, Анна Гогиберидзе. На грузинском секторе в V—VIII классах работает Лейла Хеладзе.

В период проверки Бурчуладзе отсутствовала по уважительной причине, и ее уроки были распределены между остальными преподавателями русского языка.

Отсутствовала и преподавательница Чанчибадзе, которая с разрешения директора уехала в гор. Кутаиси за получением диплома.

Учительница Шастун работает в школе второй год. Ведет русский язык и литературу, а также английский язык. Она недостаточно работает над повышением своего методического уровня. Планы ее уроков или, очень схематичны, или отсутствуют. Нами были прослушаны у преподавательницы Шастун уроки русского языка в V классе и литературы в 9—10 классах. В пятом классе учительница провела опрос непродуманно, а объяснение нового материала носило бессистемный характер. Применение таблицы правописания сочетаний чк, чн, нч, нщ, рщ было неудачным, новый материал не был закреплен. Учительница Шастун не работает с отстающими учащимися, не организует для них дополнительных занятий.

При прохождении материала литературы в 9-м и 10-м классах учительница не придерживается программных указаний. Курс 9 класса она начала с творчества Н. Г. Чернышевского, в то время как программа предусматривает изучение творчества А. Н. Островского. В 10 классе она не познакомила учащихся с творчеством А. А. Блока и С. А. Есенина.

На грузинском секторе в 5 и 8 классах были прослушаны уроки русского языка у преподавательницы Хеладзе. Оба урока были характерны своей однотипностью, Хеладзе не вносит в



проведение уроков творческого начала. Неудовлетворительно ведется словарная работа, работа над выразительностью чтения не используется на уроках наглядность. Учительница сама допускает ошибки (сбсляли, отвечать еше, новые слова перепишите в словарях и т. д.).

В 8 классе изучалось произведение Лермонтова „Бородино“. Учительница прочла только половину стихотворения, тем самым нарушив целостность восприятия художественного произведения. Беседа воспитательного характера о героизме, воинской доблести, патриотизме русского народа, которую можно было развернуть на материале стихотворения, не была проведена. Учительница не использует на своих уроках тех заданий, которые имеются в учебнике.

В начальных классах русский язык ведет Гогиберидзе (стаж 5 лет, образование высшее), которая удовлетворительно владеет предметом, но допускает ошибки методического характера: увлекается индивидуальным опросом, объяснение нового материала проводит без вовлечения в работу учащихся, недостаточно закрепляет материал. Учащиеся на уроках пассивны.

В Квемонатанебской средней школе на грузинском секторе русский язык ведут учителя И. А. Такидзе и М. В. Васадзе, а на русском секторе в V—VIII классах—Ш. А. Дзвелая.

Несмотря на многолетнюю педагогическую работу учителей Такидзе и Васадзе, их уроки страдают целым рядом существенных методических недостатков. У этих преподавателей отсутствует творческий подход к проведению уроков. На уроках не используются наглядные пособия. Неудовлетворительно ведется словарная работа. Учителя не следят за речью учащихся. Часто и сами допускают ошибки. Не работают над выразительным чтением. Затягивают индивидуальный опрос. Не добиваются сознательного усвоения программного материала.

В результате всего этого учащиеся на уроках пассивны, слабо знают материал.

Особую тревогу вызывает положение с состоянием преподавания русского языка и литературы на русском секторе Натанебской средней школы.



Учитель Дзвеля Ш. А. безответственно относится к своим обязанностям, в школу является без поурочных планов, не работает над повышением своего профессионального уровня. Учитель слабо владеет русским языком, делает непростительные ошибки („гласная звука“, „На какой часть слова падает ударение?“, „Сколько слог здесь?“).

В 6 классе тема урока „Правописание безударных личных окончаний глаголов“ не была раскрыта. Учитель не объяснил нового материала. Предложения, данные учащимся, были вырваны из различных упражнений учебника. Домашнее задание не было объяснено. Вряд ли учащиеся смогли справиться с этим заданием, т. к. новый материал ими не был усвоен.

Приблизительно такая же картина наблюдалась и в 5 и 7 классах. Ученики лишь формулировали правила, не подтверждая их примерами. Словарная работа на уроках не велась. Учащиеся проявили неудовлетворительные знания.

Положение с письменными работами в обеих школах неудовлетворительное.

Нормы контрольных работ в некоторых классах не выполняются. Виды работ однообразны, часто как контрольная работа используются упражнения, данные в учебнике. Работы не проверяются в срок. Анализ ошибок не ведется.

В 5 классе Лайтурской школы (учительница Шастун) был проведен всего лишь один диктант. За все время с начала учебного года в 5 классе Натанебской школы (учитель Дзвеля) было проведено 3 работы, из них: один диктант и два упражнения, взятые из учебника.

Контроль за классными и домашними работами также неудовлетворительный. Внешний вид тетрадей неприглядный, ученики пишут шариковыми ручками и даже карандашом. Культура письма очень низкая.

Следует отметить либерализм в оценке контрольных работ. Так, за 14 ошибок в диктанте ученика 5 класса Н. Оганесяна учительница Шастун выставила оценку „3“. Работа ученицы 10 класса Л. К—дзе, где сделано 9 орфографических, 6 пунктуационных ошибок и литературный материал освещен очень плохо, оценена на 5/4.



За 8 ошибок в диктанте, написанном ученицей 8 класса Д. Х—дзе (учительница Васадзе) выставлена оценка 4, за 10 ошибок в работе ученицы 7 класса С. К—дзе—оценка „3“.

Нередки случаи, когда учителя пропускают ошибки, допущенные учениками.

Проведенные нами контрольные работы выявили низкий уровень знаний по русскому языку и литературе в обоих школах.

Так, например, в 9 классе Лайтурской средней школы была проведена контрольная работа (сочинение) по родной литературе на тему „Павел Кирсанов—идейный противник Базарова“ по роману Тургенева „Отцы и дети“. Несмотря на то, что произведение было только что изучено, учащиеся не справились с предложенной темой. Из 21 работы 19 были оценены неудовлетворительной оценкой.

В 5 классе русского сектора из 19 учащихся, писавших диктант, 1 ученик получил „4“, 1—„3“, 1—„2“ и 16 учеников—единицы.

В Квемонатанебской средней школе все 16 учеников 5 класса написали диктант на „2“ и „1“, в 7 классе из 13 работ только три были оценены на „3“, остальные же—на „2“ и „1“.

В Лайтурской школе имеется литературный кружок (рук. Шастун), который объединяет 10 учащихся 9 и 10 классов, но кроме плана, т. Шастун не смогла представить каких-либо документов (докладов, протоколов), подтверждающих работу кружка. В Квемонатанебской школе работают кружки русского языка и литературы (руководитель Такидзе) и художественного чтения (рук. Васадзе), в которых объединены учащиеся грузинского сектора. Кроме того, имеется кружок литературного чтения для учащихся 5—7 классов русского сектора (руководитель Дзвеляя). Составлены планы работы. Выпущены специальные художественно оформленные альбомы.

Важнейшим условием успешного обучения учащихся иностранному языку являются знания и навыки, приобретенные ими по родному языку.



Зачастую наши педагоги иностранного языка, преподающие на русском секторе, не владеют русской речью и плохо знают свой предмет. Именно такое положение в Лайтурской средней школе, где английский язык преподает Л. Каландаришвили, который в 1947 году заочно окончил ИН-ЯЗ, но английским языком он владеет слабо, допускает грубые ошибки в произношении и проявляет полное незнание грамматики. Неудивительно, что уровень знаний учащихся в VI—IX классах очень низок. Они не разбираются в элементарных правилах грамматики, не могут ответить на вопросы простейшей конструкции, культура чтения и письма этих учащихся очень низка. Не приносят пользы и наглядные пособия, которые из-за незнания русского языка учитель не может применить эффективно.

В V классах этой же школы преподает Л. Шастун—специалист русского языка и литературы, которая английским языком не владеет.

Учительница проводит уроки на русском языке, в иностранной речи допускает ошибки, уроки строит методически неправильно, следствием чего является низкий уровень подготовки учащихся.

В Квемонатанебской средней школе немецкий язык преподают три педагога (М. Тавадзе, З. Тавадзе и Н. Салуквадзе).

შემოწმებულ ყველა სომხურ სკოლაში გახსნილია გახანგრძლივებული დღის ჯგუფები, მაგრამ არ არსებობს სათანადო პირობები მათი ნორმალური მუშაობისათვის, მოუგვარებელია მოსწავლეებისათვის ცხელი საუზმის მიწოდება, არ არის გამოყოფილი ცალკე ოთახი დასვენებისა და გართობისათვის, სასკოლო ბუფეტში არ არის საჭირო ასორტიმენტის პროდუქტები.

შემოწმებული ზოგიერთი სკოლა მასწავლებელთა კადრებით არ არის უზრუნველყოფილი, ასე, მაგალითად, სიონის ქართულ რვაწლიან სკოლაში ქიმი-ბიოლოგიის მასწავლებელი ასწავლის შრომას, გეოგრაფიას, არითმეტიკას, ფიზიკას, ხაზესას და ფიზკულტურას, ხოლო წერაქვის ქართული რვაწლიანი სკოლის დაწყებით კლასებში მასწავლებლად მუშაობენ ზოგად-საგანმანათლებლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები. სომხურ სკოლებს აკლიათ მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, მშობლიური ენისა და ლიტერა-





ტურის, რუსული და უცხოური ენების, გეოგრაფიის და ისტორიის მასწავლებლები. ამ საგნებს ასწავლიან არასპეციალისტები. მირზოევკისა და წითელსოფლის რვაწლიან სკოლებში ყველა მასწავლებელი შეთავსებით მუშაობს. კიროვის რვაწლიან სკოლაში ფიზიკასა და გეოგრაფიას ასწავლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი შ. ვაბარიანი; მირზოევკის რვაწლიანი სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი მ. მიკრტიჩიანი სამ სკოლაში მუშაობს.

არასწორადაა შედგენილი გაკვეთილების ცხრილი მირზოევკისა და წითელსოფლის რვაწლიან სკოლებში, ზოგიერთ საგანში გაწყვილებულია გაკვეთილები. ხშირ შემთხვევაში დღეები გადატვირთულია ძნელად ასათვისებელი საგნებით და ზოგჯერ ეს საგნები ცხრილში მეხუთე-მეექვსე გაკვეთილებზეა მოქცეული.

მოუვლელია საკლასო ჟურნალები მირზოევკის, წითელსოფლის რვაწლიან სკოლებში. თითქმის ყველა შემოწმებული სკოლის საკლასო ჟურნალებში ყოველთვის არ იწერება დამუშავებული მასალა, ჩატარებული საკონტროლო წერის თემები და ნიშნები.

არ არის მოწესრიგებული ატესტატებისა და რვა კლასის დამთავრების მოწმობების მიღებისა და გაცემის სარეგისტრაციო წიგნები. შემოწმებულ არცერთ სკოლაში არ არის წიგნები დანომრილი, დალუქული, ზონარგაყრილი და შემოწმებული განათლების განყოფილების მიერ. თამარისის საშუალო სკოლაში რვაკლასის დამთავრების მოწმობების მიღებაზე მოსწავლეები ხელს არ აწერენ. ამავე სკოლაში გაუცემელია ერთი ცალი საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი.

შემოწმებულ სკოლებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. ზოგიერთ სკოლას მიღებული არა აქვს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორის დროებითი დებულება, რომელიც დიდი ხანია დაეგზავნა სკოლებს. სკოლებში საგნობრივი წრეების მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. მათ გვემბეჭდები უმეტესად შეტანილია საპროგრამო საკითხები.

სკოლებში, გარდა წერეთლისა და შაუმიანის საშუალო და ორჯონიკიძის, შაუმიანის I და II რვაწლიანი სკოლებისა, არ არსებობს საგნობრივი მეთოდური გაერთიანებები. მეთოდური მუშაობა სკოლებში ჩაშლილია. რიგ სკოლებში პედსაბჭოს მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. წითელსოფლის რვაწლიან სკოლაში 18 ნოემბრისათვის არ იყო პედსაბჭოს სხდომაზე განხილული პირველი



მეოთხედის შედეგები, ხოლო წერეთლის საშუალო სკოლაში ოქმად არ იყო გაფორმებული. თამარისის საშუალო და ორჯონიკიძის რვაწლიან სკოლებში რეგულარულად არ იწვევენ პედსაბჭოს სსდომებს. ზოგან პედსაბჭოს სხდომებზე საკითხებს განიხილავენ ზერეულედ და მიღებული დადგენილებები ზოგადია.

შემოწმებულ სკოლებში სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლებიდან წასვლის ფაქტებს აღვილი არ აქვს, მაგრამ თამარისის, მარნეულის საშუალო, სიონის, ორჯონიკიძის რვაწლიან სკოლებიდან რვაკლასდამთავრებულ ზოგიერთ წასულ მოსწავლეთა შესახებ სკოლებს ცნობები არ აქვთ. სოფ. წერეთელში აღრიცხულია სხვადასხვა დროს სკოლიდან გასული სასკოლო ასაკს გადაცილებული 61 ახალგაზრდა, რომლებსაც სურვილი აქვთ ისწავლონ საღამოს სკოლაში.

შემოწმებულ სკოლებში სუსტადაა დაყენებული შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. ზოგიერთი სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში სათანადო ხელმძღვანელობას და კონტროლს ვერ უწევს მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელების მუშაობას. ისინი მცირე რაოდენობით ისმენენ გაკვეთილებს, კმაყოფილებიან მხოლოდ მოსმენილი გაკვეთილების მსვლელობის ჩაწერით და არ ახდენენ მათ განალიზებას. ორჯონიკიძის რვაწლიანი სკოლის დირექტორს ა. ჯობაძეს შემოწმების დღისათვის (20 ნოემბერი) მოსმენილი ჰქონდა 14 გაკვეთილი, ხოლო ამავე სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ვ. ციხელაშვილს—7 გაკვეთილი, წითელსოფლის რვაწლიანი სკოლის დირექტორის მოადგილეს ა. თარიონს—6 გაკვეთილი, გიულბახის რვაწლიანი სკოლის დირექტორს ს. ჩიჩიანს—16 გაკვეთილი, შაუშიანის პირველი რვაწლიანი სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ქ. მხითარაიანს—10 გაკვეთილი.

რაიონის განათლების განყოფილების (გამგე ი. გვიდაროვი) და პედაგოგიური კაბინეტი (გამგე ქ. მამედოვი) არაღამაკმაყოფილებელ კონტროლსა და ხელმძღვანელობას უწევენ სკოლებს. მათ პირველ მეოთხედში არცერთი ქარფული და სომხური სკოლის მუშაობა არ შეუმოწმებიათ. განსაკუთრებით სუსტია მათი ხელმძღვანელობა ქართულ და სომხურ სკოლებზე, ვინაიდან როგორც სასკოლო ინსპექტორი, ასევე მეთოდისტი არ ჰყავთ ამ სკოლებისათვის.

რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ი. გეიდაროვმა:

ა) არსებითად გარდაქმნას მუშაობა და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი რაიონის სკოლებში სწავლებისა და აღზრდის საქმის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებით გააძლიეროს მუშაობა ჩამორჩენილ მოსწავლეებთან და აღკვეთოს სკოლებში მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უშიშვზოდ გაცდენები;

ბ) გააუმჯობესოს პედაგოგიური კაბინეტის მუშაობა, ჩამოაყალიბოს სკოლებსა და სასკოლათაშორისო საგნობრივი მეთოდ-გაერთიანებები და საჭირო დახმარება გაუწიოს სკოლებს მეთოდური მუშაობის დარგში;

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მიავლინოს მასწავლებლები დახელოვნების ინსტიტუტის კურსებზე;

ვ) ახალი სასწავლო წლისათვის გადასინჯოს რაიონის სკოლების მასწავლებელთა კადრების დაკომპლექტების საკითხი და სუსტად მომუშავე არასპეციალისტები გაათავისუფლოს სამუშაოდან;

სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლოს ამ მოხსენებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლების მუშაობა, ხოლო მათ მიმართ ვინც ვერ უზრუნველყოფს მუშაობის გამოსწორებას სათანადო წესის დაცვით, დააყენოს საკითხი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ;

დ) 1969 წლის პირველი იანვრისათვის ქართული და სომხური სკოლებისათვის სასკოლო ინსპექტორად ანდა პედაგოგებში მეთოდისტად შეარჩიოს შესაფერისი კანდიდატი;

ე) გაატაროს ღონისძიებანი სკოლებში სასწავლო კაბინეტების მოწყობისა და შევსებისათვის საჭირო იარაღ-ხელსაწყოებითა და მასალებით;

ვ) ყველა სკოლაში შექმნას ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები, ჩაატაროს რაიონის სკოლების ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტებში არსებული ხელსაწყო-იარაღების ზუსტი აღწერა და მოახდინოს სკოლებს შორის ერთგვაროვანი ხელსაწყოების გადანაწილება მათი საჭიროებისა და მოთხოვნილების მიხედვით;

ზ) შეისწავლოს სკოლებთან არსებული გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობა და დასახოს საჭირო ღონისძიებანი მუშაობის გასაუმჯობესებლად;



თ) გააუმჯობესოს სკოლებში პედსაბჭოს მუშაობა, მისცეს სკოლებს მითითებანი სხდომების რეგულარულად მოწვევისა და აქტუალური საკითხების განხილვის შესახებ;

ი) სრული წესრიგი დაამყაროს სასკოლო დოკუმენტების ხარისხიანად შედგენისა და წარმოების საქმეში;

კ) შეისწავლოს ახალი სასწავლო წლისათვის სოფ. წერეთელში საღამოს სკოლის გახსნის საკითხი და წინადადება წარუდგინოს განათლების სამინისტროს.

2. სოფ. სიონის რვაწლიან სკოლას გადაეცეს სკოლის გვერდით მდებარე სასოფლო კლუბის შენობა.

3. ახალი სასწავლო წლისათვის ყველა სკოლას, სადაც არ არის, გამოეყოს სასწავლო-საცდელი ნაკვეთი.

4. გაუმჯობესდეს სასკოლო ბუფეტების მუშაობა, განსაკუთრებით ყურადღება მიექცეს ცხელი საჭმელების მოსწავლეებისათვის მიწოდებასა და საჭირო ასორტიმენტის პროდუქტებით მომარაგებას.

5. რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგები განხილულ იქნეს ყველა სკოლის პედსაბჭოს სხდომაზე და დაისახოს საჭირო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

- ი. წოწონავა
- ხ. შანსუვარიანი
- ი. მელქაძე
- ვ. დვარაკოვსკი
- გ. შეყლაშვილი
- ტ. ფაჩუაშვილი
- ა. აბაშიძე
- გ. ჯავახიძე

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ.  
28 იანვრის ბრძანება № 25**

**ქ. ქ. თბილისის, რუსთავის, ლანჩხუთის, წულუკიძისა და გარდაბნის რაიონების სკოლებში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების ხელსაწყო-იარაღებით შევსებისა და მათი სწავლებაში გამოყენების შემოწმების შედეგების შესახებ**

აღვნიშნავ, რომ შემოწმებული ქალაქებისა და რაიონების სკოლების ერთ ნაწილში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების სასწავლო-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ხელსაწყო-იარაღებით შევსებისა და სწავლებაში მათი გამოყენების მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებებია განხორციელებული. მათ შედეგად ბევრ სკოლაში სანიმუშოდ მოეწყო ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიები და ფართოდ წარმოებს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ორგანიზება.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კაბინეტების შევსება ახალი კონსტრუქციის ხელსაწყოებით, მოქმედი მოდელებით და საჭირო მასალებით; მტკიცედ ინერგება სკოლებში არსებული ხელსაწყოების აწყობის, რეგულირების, შეკეთების, გამოყენებისა და მოვლის საქმე.

ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების მიერ გატარებულ ღონისძიებათა და შეფი ორგანიზაციების დახმარებით შემოწმებული ქალაქებისა და რაიონების 220 საშუალო სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი აქვს 220 და ქიმიის 209 საშუალო სკოლას. ამ მხრივ გამოირჩევა ქ. თბილისი და რუსთავი, სადაც თითქმის ყველა საშუალო სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კეთილმოწობილი კაბინეტები. ამასთან, უკანასკნელ ხანებში წინა წლებთან შედარებით სკოლებში უკეთ არის მოგვარებული კაბინეტებში არსებული ქონების აღრიცხვისა და მათი მოვლა-პატრონობის საქმე.



შემოწმებული ქალაქებისა და რაიონების რიგი სკოლებში ხელმძღვანელები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებს „საშუალო და რვაწლიან სკოლებში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“—შესრულებას და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს.

ქ. თბილისის 1-ლ საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. კიკვაძე, მასწავლებელი შ. აბაიშვილი) ფიზიკის კაბინეტისათვის გამოყოფილია სამი ოთახი, რომლებშიაც (შეფი ორგანიზაციის—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ვაზიფიკაციის მთავარ სამმართველოს მიერ, მმართველი გ. ბარძიშვილი, სკოლას გადაეცა 44000 მანეთი) მოწყობილია აუდიტორია ვაკეეთილების ჩასატარებლად, ლაბორატორია მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობისათვის და საპრეპარატორო, სადაც წარმოებს ხელსაწყო-იარაღების აწყობა, რეგულირება, სამუშაოდ მომზადება და მცირე დაზიანების შემთხვევაში შეკეთება. ამასთან ერთად, სკოლაში მოწყობილია ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენებისათვის ავტომატიზებული კაბინეტი, სადაც პულტიდან ცენტრალიზებულად ხდება ტექნიკურ საშუალებათა მართვა 77-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. კობახიძე, მასწავლებელი ლ. ჯაშიაშვილი) წლების მანძილზე ჩატარებული ნაყოფიერი მუშაობის შედეგად, მოწყობილია ტექნიკურად ყოველმხრივ აღჭურვილი და კეთილმოწყობილი ფიზიკის კაბინეტი, სადაც ტარდება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სადემონსტრაციო ცდა, ფრანტალური ლაბორატორიული სამუშაო და პრაქტიკუმი. 132-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. ძნელაძე, მასწავლებელი მ. ბურჭულაძე) მოკლე დროში მოწყობილ იქნა ყოველმხრივ გამართული ავტომატიზებული ფიზიკის კაბინეტი, ვარდაბნის რაიონის თბილგრესის რვაწლიანი სკოლისათვის (დირექტორი ა. იმნაძე). შეფმა, თბილისის სახელმწიფო სარაიონო ელექტროსადგურმა (დირექტორი ვ. ქინქლაძე) ააგო ორსართულიანი ახალი ტიპის სასკოლო შენობა, კაბინეტებისათვის ინვენტარის შესაძენად გამოჰყო 30000 მანეთი, ხელსაწყო-იარაღებისა და თვალსაჩინო მასალების შესაძენად 9000 მანეთი და საკუთარი ძალებით ფიზიკის კაბინეტში ელექტროგაყვანილობა და დაბნელება მოაწყო. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ქ. თბილისის მე-5 (დირექტორი ვ. კაშია, მასწავლებელი ა. ჯანეზაშვილი), მე-15 (დირექტორი





ა. მათითაიშვილი, მასწავლებელი პ. თუთბერიძე), 42-ე (დირექტორი ო. ლაღანიძე, მასწავლებელი შ. სურგულაძე), 53-ე (დირექტორი ლ. მარგველაშვილი, მასწავლებელი ნ. ქოჩიაშვილი), 55-ე (დირექტორი ო. ლომიძე, მასწავლებელი გ. შარიქაძე), 71-ე (დირექტორი გ. ჩხლაძე, მასწავლებელი კ. ქოჩიაშვილი), 112-ე (დირექტორი მ. გოგუაძე, მასწავლებელი ნ. კალმახელიძე), 123-ე (დირექტორი რ. სურგულაძე, მასწავლებელი ც. ბაკაშვილი), ქ. რუსთავის მე-15 (დირექტორი ლ. ლორთქიფანიძე, მასწავლებელი ნ. სულხანიშვილი), მე-17 (დირექტორი ა. შარვაშიძე, მასწავლებელი ე. კოჭლამაზაშვილი), წულუკიძის 1-ელ (დირექტორი კ. ცაცუა, მასწავლებელი ს. ჩარგვიშვილი) და სხვა საშუალო სკოლებში.

შემოწმებული ქალაქებისა და რაიონების რიგ სკოლებში მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ქიმიის კაბინეტების მოწყობის, ხელსაწყოებით, რეაქტივებით შევსებისა და გამოყენების საქმეში. ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. კუტუბიძე, მასწავლებელი თ. კაჭარავა) ქიმიის კაბინეტისათვის გამოყოფილია საკმაო ფართობის ორი ოთახი. ერთი გამოყენებულია ხელსაწყოებისა და რეაქტივების შესანახად, მეორე—გაკვეთილებისა და მოსწავლეთა ლაბორატორიულ-პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად; მოსწავლეთა ინდივიდუალურ სამუშაო მაგიდებთან მიყვანილია წყალი, ელექტროგაყვანილობა და მოწყობილია ამწოვი კარადა. კაბინეტი შევსებულია საჭირო ხელსაწყოებით, ჭურჭლით, რეაქტივებით, ჩატარებულია მათი ზუსტი აღრიცხვა და ინახება კარადებში სათანადო უსაფრთხოების წესების დაცვით. ასევე დამაკმაყოფილებელი პირობებია შექმნილი ქიმიის სწავლებისათვის ქ. თბილისის I-ელ (დირექტორი ნ. კაკვაძე, მასწავლებელი ნ. ვარდიაშვილი), 42-ე (დირექტორი ო. ლაღანიძე, მასწავლებელი ქ. ტუსკაია), 112-ე (დირექტორი მ. გოგუაძე, მასწავლებელი ნ. მაღლაფერიძე), რუსთავის მე-15 (დირექტორი ლ. ლორთქიფანიძე, მასწავლებელი ე. შუბითიძე), მე-17 (დირექტორი ა. შარვაშიძე, მასწავლებელი თ. ხიზანიშვილი), ლანჩხუთის რაიონის სუფსის (დირექტორი შ. გოგოლაძე, მასწავლებელი ო. ჩხარტიშვილი), წულუკიძის I-ელ (დირექტორი კ. ცაცუა, მასწავლებელი თ. წვერავეა), მე-3 (დირექტორი ა. ძიძავეა, მასწავლებელი თ. ხოჭოლავეა) საშუალო სკოლებში.



ბიოლოგიის სწავლებისათვის ნორმალური პირობები და თანადო მატერიალური ბაზაა შექმნილი ქ. თბილისის მე-4 (მასწავლებელი ე. შენგელია), 132-ე (მასწავლებელი პ. გამყრელიძე), ქ. რუსთავის მე-15 (მასწავლებლები ნ. ჭინჭველაშვილი, ე. კოკლამაზაშვილი), გარდაბნის რაიონის ახალი სამგორის (მასწავლებელი თ. ბუხრაშვილი), წავკისის (მასწავლებელი ნ. კობალიანი) და სხვა საშუალო სკოლებში. აღნიშნული სკოლების მასწავლებლები სისტემატურად ზრუნავენ კაბინეტის შევსებაზე, სწავლებაში იყენებენ თვალსაჩინოებას, რის შედეგადაც მოსწავლეებს აქვთ სათანადო მომზადება და შესწევთ უნარი მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისა.

შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი გულდასმით ემზადება გაკვეთილებისათვის, სწავლებაში ფართოდ იყენებს თვალსაჩინოებას, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კურსის ძირითადი კანონების სწავლებას უნარიანად უკავშირებს მოსწავლეთა პრაქტიკულ საქმიანობას, ატარებს საკონტროლო წერებს და საწარმოო ხასიათის ექსკურსიებს. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: ფიზიკაში—რ. მონიავა (გარდაბნის რაიონის წავკისის საშუალო სკოლა), ი. ტულუში (ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის საშუალო სკოლა), ე. ვალდავა (წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლა), ქიმიისში—ჯ. ნიკოლაიშვილი (გარდაბნის რაიონის წავკისის საშუალო სკოლა); ბიოლოგიაში—თ. ბუხრაშვილი (გარდაბნის რაიონის ახალი სამგორის საშუალო სკოლა) და სხვანი.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, შემოწმებული ქალაქებისა და რაიონების რიგ სკოლებში მოუწესრიგებელია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიები. კაბინეტები ბევრგან მინიმალურადაც კი არ არის უზრუნველყოფილი სასწავლო ხელსაწყოებითა და მასალებით; ზოგ სკოლაში კაბინეტებისათვის გამოყოფილია საკმარისი ფართობი, მაგრამ იგი კეთილმოუწყობელია.

წულუკიძის რაიონის ქუტირის საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. ბუაძე, მასწავლებელი ა. შავდია) ფიზიკის კაბინეტი მოთავსებულია ბნელ ოთახში და კეთილმოუწყობელია; ამავე რაიონის ნახაშლევის საშუალო სკოლაში (დირექტორი თ. ბარაბაძე, მასწავლებელი ვ. შავლაყაძე) ფიზიკისა და ბიოლოგიის კაბინეტები ერთ ოთახშია მოთავსებული, რის გამოც ფიზიკის ხელსაწყო-



ბი ზიანდება და ძნელდება მათი გამოყენება. ქ. თბილისის (დირექტორი დ. სახოკია, მასწავლებელი ნ. სითათიშვილი), 27-ე (დირექტორი გ. თუმანიშვილი; მასწავლებელი ვ. ქარდავა), 28-ე (დირექტორი თ. ნიკოლაიშვილი, მასწავლებელი ე. ლავრინსკი), მე-40 (დირექტორი პ. გასპარიანი, მასწავლებელი გ. მალერიანი) და 45-ე (დირექტორი ვ. სენოჟენსკაია, მასწავლებელი ა. გოგუაძე) საშუალო სკოლებში ფიზიკის კაბინეტები ქვეთილმოუწყობელია. ამ სკოლებში ფიზიკის ხელსაწყოები კარადებშია მოთავსებული ყოველგვარი წესრიგის გარეშე, დალაგებული არაა ფიზიკის განყოფილებების მიხედვით, მოუვლელია, ნაწილობრივ დაზიანებულია და გამოუყენებელი სწავლებაში. ანალოგიური მდგომარეობაა ამ მხრივ გარდაბნის აზერბაიჯანულ (დირექტორი ა. მუსტაფაევი, მასწავლებელი ი. მამედოვი) საშუალო სკოლაში.

ლანჩხუთის რაიონის შუხუთის (დირექტორი ა. ცხომელიძე, მასწავლებელი ნ. ფირცხალაიშვილი), ნიგოთის (დირექტორი გ. ჩხაიძე, მასწავლებელი ი. დოლიძე) და ლანჩხუთის I-ელ (დირექტორი მ. ჩხაიძე, მასწავლებელი თ. ასკურავა) საშუალო სკოლების ფიზიკის კაბინეტებში დგამ-ავეჯი უხარისხოა. პრიმიტიულადაა მოწყობილი დაბნელება, ელექტროგაყვანილობა და კაბინეტები შევსებული არაა საკმაო რაოდენობის ხელსაწყო-იარაღებითა და საჭირო მასალებით. თითქმის ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი წულუკიძის რაიონის გუბის (დირექტორი ი. კაკაბაძე, მასწავლებელი ყ. გურბანიძე), გარდაბნის რაიონის დიდმისა (დირექტორი ვ. სონღულაშვილი, მასწავლებელი შ. კოკოშვილი) და ახალი სამგორის (დირექტორი შ. ხუსკივაძე, მასწავლებელი გ. სუჯაშვილი) საშუალო სკოლებში.

ქიმიის კაბინეტების ხელსაწყო-იარაღებით, ჭურჭლით, რეაქტივებით შევსების, მოვლა-პატრონობისა და მათი სწავლებაში გამოყენების საქმე არაა დამაკმაყოფილებლად და დაყენებული ქ. თბილისის მე-10 (დირექტორი ს. მორჩილაძე, მასწავლებლები თ. ჯანელიძე, ნ. მაჭარაშვილი), მე-11 (დირექტორი დ. სახოკია, მასწავლებელი კ. აბრამიანი), მე-13 (დირექტორი გ. კვაჭაძე, მასწავლებელი ე. გედანიძე), მე-19 (დირექტორი ი. ხაჩიძე, მასწავლებელი ნ. ნონიკაშვილბ), მე-40 (დირექტორი პ. გასპარიანი, მასწავლებელი მ. მხითარაიანი), 45-ე (დირექტორი ვ. სენოჟენსკაია, მასწავლებელი მ. ნერსესოვა), წულუკიძის რაიონის ნახახულევის (დირექტორი თ. ბარაბაძე, მასწავლებელი თ. ბარაბაძე) და გარ-



დაბნის აზერბაიჯანულ (დირექტორი ა. მუსტაფაევი, მასწავლებელი მ. ეიუბოვა) საშუალო სკოლებში.

ბიოლოგიისათვის ცალკე კაბინეტები არაა მოწყობილი და თვალსაჩინო ხელსაწყოები და მასალები მოთავსებულია კლასკაბინეტებში წულუკიძის რაიონის ნახახულევის, ივანდიდის, ქუტირის, წულუკიძის მე-3, ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის, ლანჩხუთის 1-ელ, გარდაბნის რაიონის გლდანისა და წავკისის საშუალო სკოლებში.

სასწავლო-საცდელი ნაკვეთები არა აქვთ გამოყოფილი წულუკიძის 1-ელ და გარდაბნის რაიონის დიდმის საშუალო სკოლებს. გარდაბნის რაიონის გლდანის, ახალი სამგორის საშუალო და თბილგრესის რვაწლიანი სკოლებისათვის გამოყოფილი ნაკვეთი არაა დაცული, დაგეგმილი და გამოყენებული საცდელ-პრაქტიკული ხასიათის სამუშაოებისათვის.

ლანჩხუთის, წულუკიძის და გარდაბნის რაიონების შემოწმებულ სკოლებს არა აქვთ მოწყობილი სასათბურო მეურნეობა და არც უმარტივესი ტიპის კვალსათბურები; მოუწყობელია აგრეთვე ბუნების ცოცხალი კუთხეები და არ მზადდება თვითნაკეთი ხელსაწყოები, ჰერბარიუმები და პრეპარატები.

შემოწმებული სკოლების კაბინეტებში მოუგვარებელია ხელსაწყო-იარაღების, ჭურჭლისა და მასალების ზუსტი აღრიცხვის საქმე. არსებულ სააღრიცხვო ჟურნალებში ადგილი აქვს მოწყობილობის გამოტოვებასა და დასახელების არასწორად შეტანის შემთხვევებს. ინვენტარიზაციის დროს არ ხდება კაბინეტების აღწერა და შედარება საინვენტარო წიგნთან, კმაყოფილებიან მხოლოდ სიების გადაწერით, რიგ შემთხვევებში კაბინეტების ჩაბარება-გადაბარება სათანადო აქტით არ ფორმდება, რაც ხელს უწყობს ხელსაწყოების მწყობრიდან გამოსვლას და ძნელი დასადგენი ხდება, თუ რა ირიცხება კაბინეტებზე. კაბინეტის გაუპიროვნებულობის გამო ქ. თბილისის 28-ე (დირექტორი თ. ნიკოლაიშვილი) საშუალო სკოლაში დაიკარგა კინო აპარატი, ხოლო 57-ე (დირექტორი ა. კოროხაშვილი) საშუალო სკოლაში—ორი კინო აპარატის ბგერის გამაძლიერებელი და პასუხისმგებლობა არავისათვის არ დაუკისრებიათ. გარდაბნის რაიონის ახალი სამგორის საშუალო სკოლაში დაზიანებული აღმოჩნდა საპროექციო ფარანი ოპტიკური დგამით, ჰარტლის საყელური და ტინდალის ხელსაწყო სხვადასხვა ლითონების სითბოტევადობის სადემონსტრაციოდ.



რიგი სკოლების, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადოდ ვერ ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდებს, კაბინეტში არსებულ ხელსაწყოებზე მუშაობის ტექნიკას, არ სარგებლობს საჭირო დამხმარე ლიტერატურით, სუსტად ემზადება გაკვეთილებისათვის, სწავლებაში არ იყენებს თვალსაჩინოებას და დაბალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს,

ახალი სამგორის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა (გ. სუჯაშვილი) VII კლასში ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე მოახდინა საშინაო დავალებად მიცემული „ბერკეტი, ძალის მომენტი, ბერკეტის წონასწორობის პირობა“ გამოკითხვა და მცირე დროში მოსწავლეთათვის გაუგებრად მოახდინა ახალი მასალის— „ბლოკები“ გადაცემა. თუმცა გაკვეთილზე გამოტანილი იყო ბლოკები, მაგრამ მასწავლებელმა ვერ მოახერხა მათზე ცდის ჩატარება, რის შედეგად მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა დარჩათ ამ მექანიზმებზე და მათ გამოყენებაზე. გაუგებრად მოახდინა X კლასში ამავე მასწავლებელმა ახალი მასალის, —ორი ნახევარგამტარის კონტაქტი“ გადაცემა, რადგან თვით მასწავლებელსაც არ აქვს ნათელი წარმოდგენა აღნიშნულ საკითხებზე. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ამავე რაიონის თბილგურესის რვაწლიანი სკოლის VII კლასში (მასწავლებელი ა. პეტროსიანი).

ასევე თვალსაჩინოების გარეშე ჩაატარა გაკვეთილი გარდაბნის რ. საშუალო სკოლის IX, X კლასებში მასწავლებელმა შ. კიკოშვილმა (სპეციალობით ქიმიკოსი).

აგრეთვე სათანადოდ არ იყენებენ თვალსაჩინოებას ახალი მასალის ახსნისას ლანჩხუთის რაიონის შუტუთის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლები თ. კორძაძე (VI კლასში) და ნ. ფირცხალაიშვილი (IX კლასში).

წულუკიძის რაიონის ქუტირის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი გ. მუშუკუდიანი (აგრონომი) ვერ ფლობს საგანს, გაკვეთილის გადაცემის დროს სარგებლობს სახელმძღვანელოთი, უძნელდება მარტივი სახის ქიმიური ტოლობების შედგენა, გაკვეთილებს ატარებს თვალსაჩინოების გარეშე, რის შედეგადაც VIII კლასის მოსწავლეებს წარმოდგენა არა აქვთ რთული ნივთიერებების ძირითად ჯგუფებზე, ინდიკატორების გამოყენებაზე და სხვ. ანალოგიური მდგომარეობაა ქ. რუსთავის მე-15 საშუალო სკოლაში, სადაც IX კლასის (მასწავლებელი მ. სირბილაშვილი) მოსწავ-



ლებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ხსნარებზე, არ იცნობენ ხსნარების დამზადების წესებს და უჭირთ მარტივი სახის ამოცანების ამოხსნა.

ლანჩხუთის რაიონის ნიგოთის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი (შ. გოგეშვილი) გაკვეთილებს თვალსაჩინოების გარეშე ატარებს. მან მე-10 კლასში თემა „უჯრედის ძირითადი ნაწილები“ გადაცემა ზეპირსიტყვიერად მოახდინა. ამით არის გამოწვეული, რომ მოსწავლეებს წარმოდგენა არა აქვთ უჯრედის რკვევის ბიოქიმიურ მეთოდებზე და არ იციან რა დანიშნულება აქვს ცენტროფუგს. ამავე რაიონის სუფსის საშუალო სკოლის VI კლასის (მასწავლებელი ნ. ჩხარტიშვილი) მოსწავლეები არ იცნობენ პროფესორ ქ. ბახტაძის დამსახურებას საქართველოში მეჩაიობის განვითარების საქმეში, ისინი ვერ განმარტავენ, თუ რატომ არ ხარობს ეს კულტურა მთიან და არასუბტროპიკულ ზონაში. ანალოგიური მდგომარეობაა გარდაბნის რაიონის გლდანის საშუალო სკოლის VIII კლასში (მასწავლებელი ე. აბუაშვილი).

ზოგიერთ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არაა დაყენებული კლასგარეშე მუშაობა, ღარიბია საწრეო მუშაობის თემატიკა. წრეების სამუშაო გეგმებში უმეტესად შეტანილია წმინდა საპროგრამო საკითხები იმ მოცულობით, როგორც ის სახელმძღვანელოებშია მოცემული. წრეობრივი მუშაობის გეგმებში გათვალისწინებული არ არის პრაქტიკული ხასიათის საკითხები, რთულ ამოცანებზე ვარჯიში, თვითნაკეთი ხელსაწყოებისა და მოქმედი მოდელების დამზადება. სკოლებს სრუად გააჩნიათ ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობის ამსახველი მასალები. ფიზიკის წრე არ მუშაობს. გარდაბნის რაიონის დიდმის, ახალი სამგორისა და გლდანის საშუალო სკოლებში, ნორჩ ნატურალისტთა წრე—დიდმის საშუალო სკოლაში.

ბევრ სკოლაში სწორად არ ხდება ლაბორანტთა კადრების შერჩევა და ამ თანამდებობაზე ინიშნება შემთხვევითი პირები, რომლებიც ვერ ფლობენ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლებისას ექსპერიმენტის ტექნიკას; მათ დახელოვნებაზე არ ზრუნავენ მასწავლებლები, არ ეხმარებიან მათ ყოველდღიურ მუშაობაში; ნაწილობრივ ამითაცაა გამოწვეული, რომ სკოლებში გამოყენებული არაა ტექნიკური საშუალებანი სწავლებაში.

ზოგიერთ სკოლაში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას საგრძნობლად უშლის





ხელს ის გარემოება, რომ საათები დაქუცმაცებულია. ასე, მაგალითად, ლანჩხუთის რაიონის ნიგოთის საშუალო სკოლაში ბიოლოგიის 12 საათი განაწილებულია 4 მასწავლებელზე, გარდაბნის რაიონის დიღმის საშუალო სკოლაში ფიზიკის 41 საათი—4 მასწავლებელზე, გლდანის—29 საათი 3 მასწავლებელზე.

სკოლებში გამოვლინებული სერიოზული ნაკლოვანებები უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ გარდაბნის, წულუკიძისა და ლანჩხუთის რაიონების შემოწმებულ სკოლებში სუსტადაა დაყენებული შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. სკოლების დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში საჭირო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ვერ უწყვენ მასწავლებლის მუშაობას, ისინი იშვიათად ესწრებიან გაკვეთილებზე, კმაყოფილებიან მხოლოდ მოსმენილი გაკვეთილების მსვლელობის ჩაწერით, არ ახდენენ მოსმენილი გაკვეთილების გაანალიზებას, ღრმად ვერ სწვდებიან მასწავლებლის მუშაობის შინაარსს, არ აძლევენ მათ საჭირო მითითებებს საგნის სწავლების მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის.

გარდაბნის, წულუკიძისა და ლანჩხუთის რაიონების განათლების განყოფილებები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისათვის სათანადო მატერიალური ბაზის შექმნის, კაბინეტების უახლესი ტიპის ხელსაწყოებით, რეაქტივებითა და საჭირო მასალებით შევსებისა და სწავლებაში მათი გამოყენების საქმეს; ისინი იშვიათად ამოწმებენ სკოლებში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობას და არ სახავენ საჭირო ღონისძიებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე ა. ერტელიშვილი) მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში შესწავლილი აქვს 4 საშუალო, 2 რვაწლიანი სკოლის მუშაობა მაგრამ შემოწმების შედეგები გაუფორმებელია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საშუალო და რვაწლიანი სკოლის დირექტორებმა:
  - ა) მიიღონ საჭირო ზომები კაბინეტებისათვის აუცილებელი სათავსოების გამოყოფაზე, უზრუნველყონ კაბინეტები ახალი ნიმუ-



შის დგამ-აევეჯით, მოაწყონ ელექტროგაყვანილობა და დაბნელება სისტემატურად აწარმოონ კაბინეტების შევსება საჭირო ხელსაწყობებით, მოდულებით, სასწავლო პლაკატებით, სქემებით და სხვ.;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, თუ როგორ უკავშირდება სწავლება პრაქტიკულ საქმიანობას, რამდენად იყენებენ მასწავლებლები ხელსაწყო-იარაღებს სწავლებაში, ტარდება თუ არა პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო ცდები, ლაბორატორიული სამუშაოები და პრაქტიკუმები;

გ) ჩაატარონ კაბინეტებში არსებული მოწყობილობის ზუსტი აღწერა, გააპიროვნონ ის საგნის მასწავლებლებზე, არ დაუშვან კაბინეტის გამგის განთავისუფლების შემთხვევაში კაბინეტის გადაუბარებლობა, მასწავლებელთან ერთად კაბინეტში არსებულ მოწყობილობაზე მატერიალური პასუხისმგებლობა დააკისრონ ლაბორანტსაც.

2. ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლებმა:

ა) სრულ წესრიგში მოიყვანონ კაბინეტები, იზრუნონ მათი გეგმიანად შევსებისათვის, ზუსტად დაიცვან კაბინეტის მოვლისა და ხელსაწყო-იარაღების შენახვის უსაფრთხოების წესები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებას, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ სკოლის სახელოსნოები და წრეობრივი მუშაობა;

ბ) სისტემატურად იზრუნონ კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, საფუძვლიანად ემზადონ თითოეული გაკვეთილისათვის, მაქსიმალურად გამოიყენონ სწავლებაში თვალსაჩინოება და მეტი ადგილი დაუთმონ გამოთვლითი, თვისობრივი, ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიშს და მოსწავლეთა სასწავლო-საცდელ მუშაობას.

გ) აღმოფხვრან ფორმალიზმი სწავლებაში, მეტი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების უნარის გამომუშავებას. მოსწავლეთა წარმატების შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, თუ როგორ უკავშირებს მოსწავლე თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ საკითხებს.



3. ქ. ქ. თბილისის (თ. ევაძე), რუსთავის (ს. როსნაძე) და რაიონების გარდაბნის (ა. ერტელიშვილი), ლანჩხუთის (ვ. ჩიკაშუა) და წულუკიძის (გ. თედორაძე) განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გაითვალისწინონ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მათი აღმოფხვრის მიზნით;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლებზე ხელმძღვანელობა და კონტროლი საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისადმი, იზრუნონ კაბინეტების კეთილმოწყობისა და სასწავლო მუშაობაში მათ სისტემატურად გამოყენებაზე;

გ) ლაბორანტის თანამდებობაზე მიიღონ მხოლოდ კვალიფიციური მუშაკები და მათ დააკისრონ პასუხისმგებლობა კაბინეტების მოვლა-დაცვაზე;

დ) სასწავლო წლის ბოლოს შეისწავლონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლების მუშაობა და ისეთები, რომლებიც ვერ ახერხებენ არსებითად გარდაქმნან მუშაობა, სათანადო წესის დაცვით გაათავისუფლონ სამუშაოდან.

4. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის ყველა საშუალო და რვაწლიანი სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და დაისახოს ღონისძიებანი ამ მხრივ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი, პოლიტექნიკური და ტექნიკური საშუალებების მეთოდურმა კაბინეტმა (შ. ჟღენტი) უმოკლეს დროში უზრუნველყოს სპეციალიზირებული მანქანის მოწყობა და სკოლებზე მეთოდური დახმარების გაწვევისას მოახდინოს ხელსაწყო-იარაღების აწყობა, რეგულირება და დაზიანების შემთხვევაში მათი შეკეთება.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიამ და მისმა ფილიალებმა შემოზიდონ რესპუბლიკაში, სკოლების მოთხოვნილების შესაბამისად, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლებისათვის საჭირო უახლესი კონსტრუქციის ხელსაწყო-იარაღები და რეაქტივები, აღკვეთონ სკოლების ერთგვარი ხელსაწყოებით ზედმეტად მომარაგების პრაქტიკა.





საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
კოლეგიის 1968 წლის 27 დეკემბრის დადგე-  
ნილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. ბრძანება № 861

**აჭარის ასსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ბავშვთა, მოზარდთა სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგებს შესახებ**

შემოწმებით დადასტურდა, რომ აჭარის ასსრ სკოლებსა და ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლებს ერთგვარი წარმატებები აქვთ მოპოვებული სასწავლო-მატერიალური ბაზების განმტკიცების, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის, სპორტსმენ-თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების საქმეში.

აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა და ბავშვთა-მოზარდთა სპორტულმა სკოლებმა გადაჭარბებით შეასრულეს 1968 წლის ნიშნოსანთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების გეგმა.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აჭარის ასსრ მოსწავლეთა სპორტულმა კოლექტივმა რესპუბლიკურ XIX და XX სპარტაკიადებზე, ქ. თბილისის მოსწავლეთა კოლექტივის შემდეგ, დაიკავა საერთო საპრიზო მეორე ადგილი.

საქართველოს სსრ მოსწავლე-სპორტსმენთა ნაკრებ გუნდებში კანდიდატებად აჭარის სკოლებიდან და სპორტულ სკოლებიდან ჩარიცხულია 30-ზე მეტი ბავშვი.

1968 წელს აჭარის ასსრ სკოლებში საკუთარი ძალებით მოეწყო 27 მარტივი ტიპის სპორტული მოედანი; ახალი სპორტული დარბაზები მიიღეს ქ. ბათუმის № 8, 14, მახინჯაურისა და ნიგაზეულის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. მშენებლობის პროცესშია ჭვანის, ტბეთის, რიყეთის, ქობულეთის № 4 საშუალო და ბათუმის ბავშვთა-მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლების სპორტული დარბაზები.

ქ. ბათუმის ყველა სკოლის დაწყებით კლასებში ფიზკულტურას ასწავლიან სპეციალისტი მასწავლებლები.

მიუხედავად აღნიშნულისა, შემოწმებული სკოლებისა და სპორტული სკოლების მუშაობაში გამოვლინდა რიგი ნაკლოვანებანი. რიგ სკოლებში მოსწავლეთა დასწრება ფიზკულტურის გაკვეთილებზე არაა დამაკმაყოფილებელია. ქ. ბათუმის № 1 საშუალო სკოლის VII<sup>2</sup> კლასში 21 ნოემბერს 31 მოსწავლიდან გაკვეთილს ესწრებოდა 24 მოსწავლე; № 23 საშუალო სკოლის V კლასში 23 ნოემბერს 40 მოსწავლიდან—30 მოსწავლე; № 4 საშუალო სკოლის VI კლასში 25 ნოემბერს 30 მოსწავლიდან—24 მოსწავლე; № 14 საშუალო სკოლის VIII კლასში 23 ნოემბერს 24 მოსწავლიდან—19 მოსწავლე; ქობულეთის № 2 საშუალო სკოლის V კლასში 22 ნოემბერს 39 მოსწავლიდან—30 მოსწავლე; ბათუმის რაიონის ხელვაჩაურის საშუალო სკოლის V<sup>3</sup> კლასში 26 ნოემბერს 28 მოსწავლიდან—24 მოსწავლე.

ზოგიერთ სკოლაში სპორტულ სექციებსა და სპორტულ გამაჯანსაღებელ მუშაობაში მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა ჩაბმული. ნაკლები რაოდენობით ტარდება შინასასკოლო სპორტული ღონისძიებანი, ლაშქრობები და ექსკურსიები. ქობულეთის № 2 საშუალო სკოლის III—X კლასების საერთო კონტინგენტიდან ნაცვლად 70—80%-ისა, კლასგარეშე სპორტულ სექციებში ჩაბმულია 25%, ბათუმის რაიონის ხელვაჩაურის საშუალო სკოლაში—22%, მეჯინისწყლის საშუალო სკოლაში—15%, ქ. ბათუმის № 23 სკოლაში—30%, № 4 საშ. სკოლაში—32%, № 22 სკოლაში—21%.

არ არის ჩატარებული მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმება ქობულეთის № 2, ქ. ბათუმის № № 14, 15, 22, 23, ბათუმის რაიონის ხელვაჩაურის და მეჯინისწყლის საშუალო სკოლებში.

ქ. ბათუმის № 22 საშუალო სკოლაში (დირექტორი—მ. დიასამიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი—გ. ჩავლეიშვილი), ფიზიკური კულტურის გაკვეთილებიდან განთავისუფლებულია 88 მოსწავლე, რაზედაც არ არსებობს დირექციის ბრძანება. განთავისუფლებულ მოსწავლეებთან არავითარი მუშაობა არ ტარდება.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი სასკოლო ფიზკულტურული დოკუმენტების წარმოების საქმეში ქ. ბათუმის № 23 (დირექტორი ა. კაკაბაძე, მასწავლებელი ი. ქარჩავა) და ბათუმის რაიონის ხელვაჩაურის საშუალო სკოლებში (დირექტორი—დ. მახათაძე, მასწავლებელი ნ. მურადაშვილი).





მოუვლელია და შეკეთებას მოითხოვს ბათუმის რაიონის მეჯინისწყლის საშუალო სკოლის სპორტული მოედნები (დირექტორი ა. კალანდარაშვილი, მასწავლებელი ო. ართმელიძე).

საპროგრამო მასალა არ არის გავლილი და სუსტია მოსწავლეთა ფიზიკური მომზადება ბათუმის რაიონის ხელვაჩაურის საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში. მასწავლებლები მოსწავლეებს ვერ აძლევენ იმ აუცილებელ ცოდნა-ჩვევების მინიმუმს, რაც საპროგრამო მასალითაა გათვალისწინებული (მასწავლებლები ი. ჯაფარიძე, ტ. კომახიძე). ისინი ვერ ფლობენ საგანსა და გაკვეთილის ჩატარების მეთოდიკას, არ იციან მოძრავი თამაშები, მისი ჩატარების ხერხები, არ არიან დაუფლებული სამწყობრო მომზადების ელემენტებს.

არაორგანიზებულად ჩაატარა ფიზკულტურის გაკვეთილი ქობულეთის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ი. ამანათიშვილმა. მეცადინეობის პროცესში არ იყო დაცული სათანადო წესრიგი, მასწავლებელი არ უსწორებდა მოსწავლეებს დაშვებულ შეცდომებს და სხვ.

ქ. ბათუმის ბავშვთა-მოზარდთა ფეხბურთის სპორტულ სკოლაში (დირექტორი ვ. მეტრეველი) საწვრთნელი ვარჯიში ტარდება ექიმის დასწრების გარეშე. მეცადინეობის ცხრილი არ არის თანაზომიერად განაწილებული სამეცადინო დღეების მიხედვით. მეცადინეობები ტარდება ბავშვთა ასაკისათვის შეუფერებელი (მძიმე) ბურთებით.

ქ. ბათუმის მძლევსნობის ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლას (დირექტორი—შ. ჯიჯავაძე) წესრიგში არა აქვს მოყვანილი ჯგუფებში გაერთიანებულ მოსწავლეთა სიები და პირადი საქმეები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა (გ. წულუკიძე) გაატაროს ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, რისთვისაც:

ა) აამაღლოს განათლების განყოფილებებისა და სკოლის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში; სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე პერიოდულად განიხილოს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაო-

ბის საკითხები და მიიღოს ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) ყურადღება გაამახვილოს სკოლებში პროგრამით გათვალისწინებულ მეცადინეობათა ჩატარების ხარისხზე, მიაღწიოს იმას, რომ III—X კლასების მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან კლასგარეშე სპორტულ მუშაობაში ჩაბმული იქნეს არა უმცირესი 70%-ისა;

გ) სათანადო ყურადღება დაუთმოს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას. ფიზკულტურის საგნის მეთოდურ გაერთიანებაში ჩააბას დაწყებითი კლასების მასწავლებლები; იქ, სადაც დაწყებითი კლასების მასწავლებლებს არ შესწევთ უნარი ჩაატარონ გაკვეთილები პროგრამის მოთხოვნილების შესაბამისად, არსებული წესის დაცვით, ეს გაკვეთილები გადასცეს ამ საგნის სპეციალისტებს;

დ) აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად გაატაროს ღონისძიებანი მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად, როგორც წესი სკოლებში მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმება უნდა ტარდებოდეს წელიწადში ორჯერ. მიიღოს ზომები სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოსწავლეების სამედიცინო ჯგუფებად დაყოფისა და მათთან სათანადო მეცადინეობის ჩატარების შესახებ;

ე) განახორციელოს ღონისძიებანი სკოლების უზრუნველსაყოფად სათანადო სპორტული ბაზებით, ფართოდ ჩააბას ამ საქმეში საშეფო ორგანიზაციები.

## 2. სკოლების დირექტორებმა:

ა) სისტემატური დახმარება გაუწიონ და კონტროლი დააწესონ ფიზკულტურის მასწავლებლების მუშაობაზე, მიაღწიონ იმას, რომ როგორც გაკვეთილები, ასევე კლასგარეშე მუშაობა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მიმდინარეობდეს სრული ორგანიზებულობით და სათანადო პედაგოგიურ მოთხოვნილებათა დაცვით;

ბ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა ფიზკულტურის კოლექტივის მუშაობაზე; უზრუნველყონ ნიშნოსნებისა და სპორტსმენთა რიგოსნების მომზადების თვითვალდებულებათა შესრულება;

გ) წესრიგში მოიყვანონ სპორტული სასწავლო-მატერიალური ბაზები, უზრუნველყონ სკოლები საჭირო სპორტული ინვენტარით, სამეცადინო ადგილებში დაიცვან სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.



3. ფიზკულტურის საგნის სწავლების სუსტად დაყენების გაკვეთილების მოუმზადებლად ჩატარებისათვის მასწავლებლებს ი. ჯაფარიძეს, ტ. კომახიძეს (ბათუმის რაიონის ხელვაჩაურის საშუალო სკოლა), ი. ამანათიშვილს (ქობულეთის № 2 საშუალო სკოლა) მიეთითოთ.

4. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი) 1969—1970 სასწავლო წლისათვის გადასინჯონ რესპუბლიკის სპორტსკოლების ჯგუფების დაფინანსება და მოახდინონ სამტატო ერთეულების საჭირო გადანაწილება.

5. განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 27 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**



შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 3—საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . 3
2. ე. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების კონკურსის დებულება . . . . . 11
3. დადგენილება 1968—1969 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატების და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესო მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ . . . . . 16
4. ბრძანება № 730/2—454—მიხარაძის, გორისა და ცხაკაიას რაიონების სოფლად არსებულ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 19
5. Положение о работе школьного общественногo инструктора по безопасности движения . . . . . 25
6. ბრძანება № 695—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში სამხედრო-სასწავლო იარაღების მოვლისა და შენახვის შესახებ . . . . . 28
7. ბრძანება № 684—სხვადასხვა ასაკის პიონერებთან მუშაობის შინაარსის და მეთოდის (პროგრამა „ორიენტირი“) რეკომენდაციების შემოკმედებითი გამოყენების შესახებ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში . . . . . 30
8. დადგენილება სკკბ ცენტრალური კომიტეტის დადგენილები—„აღკ 50 წლისთავი და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანები“ შესრულების ღონისძიებათა შესახებ . . . . . 33
9. ბრძანება № 768—სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 37
10. ბრძანება № 795—წულუკიძის რაიონის განყოფილების და ზოგიერთი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 40
11. ბრძანება № 809—ქარელის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ბავშვთა მოზარდთა სპორტულ სკოლაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მუშაობის მდგომარეობის შესახებ . . . . . 69
12. Приказ № 10—О состоянии постановки учебно-воспитательной работы в Лайтурской и Квемонатаневской средних школах Махарадзевского района . . . . . 75



13. ბრძანება 832—მარნეულის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სსსრ-ის  
 აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 97
14. ბრძანება № 35—ქ. ქ. თბილისის, რუსთავეის, ლინჩუთის, წულუ-  
 კიძისა და ვარდახნის რაიონების სკოლებში ფიზიკის, ქიმიისა და  
 ბიოლოგიის კაბინეტების ხელსაწყო-იარაღებით შევსებისა და მათი  
 სწავლებაში გამოყენების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 110
15. ბრძანება 861—აჭარის ასსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა  
 და ბავშვთა-მონაწილთა სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკუ-  
 რი აღზრდისა და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების  
 შესახებ . . . . . 122